დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2023 წლის 20 - 26 მარტი

N 13 1477

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

## სააკაშვილმა ორი კვირით დაპაუზებული კვდომა განაახლა!

2-3

## გიული და ედუარდ-გიორგი ევრო-კაჭკაჭებთან ჩავიდნენ









საქართველოს ბედი 60-კილოგრამიან მძორზე არ უნდა იყოს დამოკიდებული!

### იგორ გიორგაძე:



10-14

ვიცი, ჩახმახს თითი ვინც გამოჰკრა!

უშიშროების ექს-მინისტრი სიმართლის დასადგენად სიცრუის დეტექტორის გამოყენებას ითხოვს!

## გინტურის გინტოური

20

### ემზარ კვიციანი:

თუ კრემლს ჩვენი ომში ჩათრევა დასჭირდება, ამას სწორედ საკუთარი აგენტების მეშვეობით გააკეთებს, რომელთაგანაც ერთ-ერთი ვანო მერაბიშვილი გახლავთ!



4-5



„შტირლიცი საბჭოთა დროშას აფრიალებდა? რა თქმა უნდა, არა, იგი კარგად იყო შენიღბული, როგორც ნაცისტური რეჟიმის ერთგული მსახური!“



გენერალისიმუსი

15-18

№16 (184) ★ 2023 წლის 20 მარტი ★ გამოდის 2003 წ

ისინიც და ესენიც!

ნანა კაკაბაძე

აჩრდილი დადის საქართველოში. აჩრდილი „ლიბერალური“ ფაშიზმისა!

ბერლინი. 1933 წლის 10 მაისი. ფაშისტები წვავენ არასასურველ წიგნებს!

ნეოლიბერალური ფაშიზმი

ფაშისტებსაც და კომუნისტებსაც ჰქონდათ საკუთარი იდეოლოგიის გამამართლებელი კონსტიტუციები და კანონები.

თბილისი. 2023 წლის 8 მარტი. ლიბერალები წვავენ არასასურველ წიგნებს!

## მიიღეთ ლუსტრაციის კანონი!

5

# სააკაშვილმა ორი კვირით დაპაუზებული კვდომა განაახლა!



ადვოკატმა ხაჭაპურიძე — მიშა უკვე 60 კილოგრამს იწონისო!

# საქართველოს ბედი 60-კილოგრამიან მძორზე არ უნდა იყოს დამოკიდებული!

***დედა ღორს 12 ძუძუ აქვს და ერთდროულად 12 გოჭის გამოკვება შეუძლია, მაგრამ, როცა მათი რაოდენობა 13-ია, ერთი გოჭი გარიყული და გამოუკვებავი რჩება. სწორედ აქედან წარმოდგება გამოთქმა „მე-13 გოჭი“, რომელსაც მავანის ზედმეტობისა და უადგილობის ხაზგასასმელად იყენებენ. მაგალითად: „გამოხტა მე-13 გოჭივით“, „ამ მე-13 გოჭს რაღა უნდა“ და ა.შ.***

მაშ, თუ **მე-13 გოჭი** ვიღაც ზედმეტს ნიშნავს, რას ნიშნავს **ევროდეპუტატების მე-13 რეკომენდაცია საქართველოსადმი?**

მოვუსმინოთ ევროპარლამენტარ **პეტრას აუსტრევიჩუსის** განცხადებას, რომელიც მან 2023 წლის 14 მარტს სტრასბურგში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა:

*„მათ **(საქართველოს ხელისუფლებას. რედ.)** შესასრულებელი აქვთ 12 რეკომენდაცია, მაგრამ მე მოვუწოდებ, არ უგულებელყონ **მე-13 რეკომენდაცია** და ამას უფრო დავარქმევდი დასავლური საზოგადოების მოთხოვნას, რომ გაათავისუფლონ **მიხეილ სააკაშვილი** მკურნალობისთვის. ეს უნდა მოხდეს რაც შეიძლება მალე, რადგან დრო გადის. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ მიხეილს ნებისმიერი რამ შეიძლება, მოუვიდეს.“*

აჰა, გასაგებია!

თუ საქართველოს უნდა, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიიღოს, არამხოლოდ ევროკომისიის მიერ გაცემული 12 რეკომენდაცია უნდა შეასრულოს, არამედ **მე-13 რეკომენდაციაც** გაითვალისწინოს და სისხლის სამართლის დამნაშავე **მიხეილ სააკაშვილი** პატიმრობიდან გაათავისუფლოს.

ცხადია, ეს მხოლოდ ერთი ევროდეპუტატის — **პეტრას აუსტრევიჩუსის** პოზიცია არ არის! სააკაშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებული **მე-13 რეკომენდაცია** იმ რამდენიმე ასეული ევროპარლამენტარის განწყობას გამოხატავს, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ რეზოლუციას რეზოლუციაზე აცხობენ და სისხლის სამართლის დამნაშავე სააკაშვილს „რუსი ოლიგარქი“ ივანიშვილის მხრიდან „პოლიტიკური ვენდეტის“ მსხვერპლად რაცხავენ!

კაცმა რომ თქვას, ეს **მე-13 რეკომენდაცია,** სინამდვილეში კი **მე-13 დირექტივა** ან **მე-13 ბრძანება,** რომელსაც ევროპარლამენტარები იძლევიან, რეალურად, მთავარი და უპირველესი პირობაა იმისათვის, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მისცენ.

„ქართულმა ოცნებამ“ ევროკომისიის მიერ მიცემული **12 რეკომენდაცია** ზედმიწევნით და უნაკლოდ რომ შეასრულოს, საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს მაინც არ აღირსებენ და შარად **მე-13 რეკომენდაციის** შეუსრულებლობას მოსდებენ — სააკაშვილი პატიმრობაში არ უნდა დაგეტოვებინათო!

ხაზგასასმელია ისიც, რომ **მე-13 რეკომენდაციის** შესრულება, ანუ დამნაშავე სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლება ავტომატურად გამორიცხავს **12 რეკომენდაციიდან** პირველივე პუნქტის შესრულებას, რაც ქვეყანაში პოლიტიკური პოლარიზაციის აღმოფხვრას გულისხმობს!

დიახ, თუ საქართველოს ხელისუფლება **მე-13 რეკომენდაციას** შეასრულებს და სააკაშვილს პატიმრობიდან გაათავისუფლებს, ეს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პოლარიზაციას ერთი ათად გაზრდის, რადგან ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილი დამნაშავე ნაცბელადის გათავისუფლებას არ შეეგუება, უზარმაზარ საპროტესტო ტალღად აზვირთდება და ქვეყანას აქამდე არნახული პოლიტიკური დესტაბილიზაცია შეაზანზარებს!

შეუძლებელია, ამას ვერ აცნობიერებდნენ თავად ის ევროპარლამენტარებიც, რომლებიც სააკაშვილის თავისუფლებასა და საქართველოს ევროპულ მომავალს შორის ტოლობის ნიშანს სვამენ, მაგრამ **კოლექტიური კუბილიუს-ფოტიგები** პროვოკაციაზე შეგნებულად მიდიან, რადგან მათთვის სააკაშვილის მომავალი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველოსა და ქართველი ხალხის ბედი!

ასე რომ არ იყოს, საქართველოს ევროპულ მომავალს იმ **პოლიტიკურ მძორზე** არ ჩამოჰკიდებდნენ, რომელიც, **ადვოკატ ხაჭაპურიძის** განცხადებით, უკვე 60 კილოგრამს იწონის!

ჰო, როგორც მოსალოდნელი იყო, **პატიმარ-პაციენტმა სააკაშვილმა ორი კვირით დაპაუზებული კვდომა განაახლა** და ახლა მისი კუჭ-ნაწლავის ამბები კვლავ აქტიურად ბრუნდება ქართული პოლიტიკის დღის წესრიგში.

რაკი რევოლუცია და ხელისუფლების დამხობა კვლავ არ გამოვიდა, რაკი რუსთაველის გამზირზე აგრესიული დემონსტრანტების მიერ ნასროლმა ქვებმა და „მოლოტოვის კოქტეილებმა“ ქართული სახელმწიფო ვერ ჩამოაქცია, რაკი მომიტინგეებმა ყური არ ათხოვეს უკრაინიდან ფეიგინისა და არესტოვიჩის მოწოდებებს — კლინიკასთან გადაინაცვლეთ და სააკაშვილი გაათავისუფლეთო, ნაცბელადს აღარაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ გამოცხადებული კვდომის ქრონიკა გააგრძელოს!

ჰოდა, **ადვოკატმა ხაჭაპურიძემ — მიშა უკვე 60 კილოგრამს იწონისო!**

**60-კილოგრამიანი პოლიტიკური მძორი!**

**არ არსებობს უფრო დიდი შეურაცხყოფა ქართული სახელმწიფოსათვის და უფრო დიდი დაცინვა ქართველი ხალხისათვის, ვიდრე საქართველოს მომავლის დაკავშირება 60-კილოგრამიან პოლიტიკურ მძორთან!**

ე.ი. თუ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატობა სურს, უარი უნდა თქვას მართლმსაჯულების აღსრულებაზე, თავზე გადაიხიოს კონსტიტუცია, საკუთარი ხელით გაიუქმოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და თავისუფლება აჩუქოს 60-კილოგრამიან პოლიტიკურ მძორს!

ევროპული მომავლის სანაცვლოდ, საქართველოსაგან სახელმწიფოებრივ თვითმკვლელობას ითხოვენ **მე-13 რეკომენდაციის** ავტორები!

**„ჩააწყვეთ რიგში 13 ტყვია, 13-ჯერ უნდა მოვიკლა თავი!“**

**მე-13 რეკომენდაცია,** რომელსაც ახლა ევროპარლამენტარები საქართველოს აძლევენ, სხვა არაფერია, თუ არა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მოსაკლავად რიგში ჩაწყობილი **მე-13 ტყვია!**

მოიკლავს თავს ქართული სახელმწიფო?

იქნებ გაბედოს და პირში მიახალოს ევროპელ ზედამხედველებს, რომ არ შეიძლება, საქართველოს მომავალი **60-კილოგრამიან პოლიტიკურ მძორზე** იყოს დამოკიდებული!

და თუ საქართველოს ევროპული მომავალი დამოკიდებული უნდა იყოს **60-კილოგრამიან პოლიტიკურ მძორზე,** რომელსაც ევროინტეგრაციის გზაზე **მე-13 გოჭად** გვტენიან, მაშინ **კოლექტიურმა კუბილიუს-ფოტიგებმა** ის კანდიდატის სტატუსი იმ ადგილას გაიკეთონ, რომელიც კარგად ერითმება სიტყვას — **გოჭი!**

**სულ ეს არის!**

# ევროდეპუტატების მე-13 რეკომენდაცია, როგორც დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მოსაკლავად რიგში ჩაწყობილი მე-13 ტყვია!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



კანონპროექტის უკან გაწვევის გადაწყვეტილება სახელმწიფოებრივად ყველაზე სწორი და გონივრული გადაწყვეტილება იყო — **მათი ამოცანა იყო ქაოსი, არეულობა, შეიძლებოდა, რამდენიმე ახალგაზრდა თავადვე მოეკლათ.** მერაბიშვილმა დაადასტურა, რომ **მათი ამოცანა არის ხელისუფლების გადატრიალება, შეცვლა და ომის დაწყება** — კაცმა აღიარა, რომ მათი მიზანი არის ომის წარმოება რუსეთის წინააღმდეგ.

„TV იმედი“

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



**კეზერაშვილი** არის ჩვენი ერთგვარი **სეკრეტ სანტა,** რომელმაც გვაჩუქა **ვანო მერაბიშვილი და ლევან ხაბეიშვილი.** დიდი მადლობა ამ ორი საჩუქრისთვის.

„რეზონანსი“

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას ვაჟი*



აბსოლუტურად გულწრფელი იყო **მერაბიშვილი,** ეს არის მათი მიზანი — **მიშას გათავისუფლება, პროცესის რადიკალიზაცია, ხელისუფლების ჩამოშლა და უბედურება.** ის მართავს პროცესს. ის არის „რუხი კარდინალი“.

„TV იმედი“

**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



**არ შეიძლება სააკაშვილის კუჭზე გადიოდეს საქართველოს ევროპული მომავალი.** ეს კაცი არის იმ სისტემის შემქმნელი, რომელიც პატიმრებს აწამებდა, აუპატიურებდა, კლავდა ციხეში. **ამ ადამიანის კუჭზე საქართველოს ევროპული მომავალი ვერ გავა.**

„იმედინიუსი“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



**ნაციონალური მოძრაობა არის დაშლილი** და ამას ვერაფერი გადაფარავს, სჯობს, 9 აპრილამდე თავიანთ პრობლემებს მიხედონ, ისინი იყვნენ **სიტყვით ევროპელები, საქმით კი — ანტიევროპელები.**

„პირველი არხი“

# გიული და ედუარდ-გიორგი ევროკაჭკაჭებთან ჩავიდნენ

***წინა კვირას ევროპარლამენტში დიდი სტუმრიანობა იყო... თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, აგიზგიზებული ხანძრის ფონზე, როცა საქართველოში ხელისუფლების დამხობისა და სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების ავისმაუწყებელი სცენარი მთელი თავისი საშინელებით გაცხადდა, გიული-ხანუმ ალასანია, მისი მეგობარი ეფენდი გიორგი ჩალაძე და გიული-ხანუმის თორუნი ედუარდ სააკაშვილი ევროპარლამენტს მიადგნენ!***



ევროპარლამენტში მათ დახვდათ ბრიტანელი ფინანსისტი და **მაგნიტსკის აქტის ავტორი ბილ ბროუდერი,** ასევე სააკაშვილის სტაჟიანი მეხოტბე **ანა ფოტიგა და სხვა ფოტიგები და ოროსპუები,** ანუ იგივე **ევრობოზები,** რომლებსაც სააკაშვილის ოჯახისგან და პირადად **თემურ ალასანიასგან,** სავარაუდოდ, დიდძალი ქრთამი აქვთ აღებული!

**ფოტიგამ,** რომელიც პოლონელია, ბრძანა — **პოლონეთი მზად არის, მკურნალობის მიზნით, სააკაშვილი მიიღოს და გადაარჩინოს! ამისათვის საუკეთესო ექიმები და კლინიკები მზად გვაქვს, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებისგან ჯერჯერობით არაფერი გვესმის, ოფიციალური თბილისი დუმსო!**

**ბილ ბროუდერმა,** რომელსაც იანვარში საავოვის კაგებეშნიკ-ცერეუშნიკი ბიძა **თემურ ალასანია** საგანგებოდ შეხვდა და სადღაც მოფარებულში, სავარაუდოდ, რახათლუხუმიც მოატლეკინა, ყველაზე ვრცელი „რეჩი“ დაარტყა — **მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ლიდერი იყო, როცა პუტინი საქართველოში შეიჭრა. ის პუტინს დაუპირისპირდა და მას შემდეგ პუტინი მასზე შურისძიებას ახორციელებს. ახლა ის პატიმრობაში კვდება და მან თავისი წონის ნახევარი დაკარგა და მოწამლულია, როგორც დასავლელი ექიმები ამბობენო!**

ცხადია, **მისტერ ბროუდერს** იმაზე არაფერი უთქვამს, სააკაშვილი თავის **პოლიტიკურ „ბროუდერს“ ზურაბ ჟვანიასაც** რომ დაუპირისპირდა და ამ დაპირისპირების შედეგად, **ვასასი მაღლაფერიძის** მიერ საიდუმლოდ დაქირავებულ ბინაში საწყალი პრემიერი ნახშირჟანგით არმოწამლული, მაგრამ მოწამლული იპოვეს!

ამის შემდეგ გამოვიდა **ედუარდ სააკაშვილიც, რომელიც ერთ-ერთ ნაცისტურ პროპაგანდისტულ საშუალებას ედუარდ შევარდნაძეში აერია** და ტიტრებში მიაწერა — **„ედუარდ შევარდნაძე“. ედუარდ მიხაილოვიჩმა** გათქვა და დაადასტურა ის, რის შესახებაც გიული ალასანიამ ერთ-ერთ ფარულ შეხვედრაზე უკვე ისაუბრა — **ვიყავით კიევში მე და ჩემი ძმა თემურ ალასანია და მიშას ვუთხარით, რომ თავიდან ამოეგდო საქართველოში შემოსვლაზე ფიქრი, მაგრამ ვერ გადავაფიქრებინეთო!** სწორედ იგივე გაიმეორა **ედუარდ სააკაშვილმაც** — **მამაჩემის საქართველოში დაბრუნებას არ ვიწონებდითო!** ამით დადასტურდა, რომ სააკაშვილის საქართველოში შემოპარვის გეგმა ოჯახის წევრებთანაც შეთანხმებული ყოფილა და იმ სპეცსამსახურებთანაც, რომლებმაც ის არაჟნის კონტეინერში ჩასვეს და უკრაინის ომის დაწყებამდე სამი თვით ადრე საქართველოში ხელისუფლების დასამხობად გამოუშვეს!

რაც შეეხება **გიული-ხანუმს,** მისი გამოსვლა მრავლისმეტყველი გახლდათ — **სანამ სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდოდა, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო კორუმპირებული ქვეყანა იყო... ჩემს შვილს, რომელსაც კლავენ, ექიმებმა 47 დაავადება დაუდგინესო! ცხადია, გიული-ხანუმს იმაზე არაფერი უთქვამს, იმ 47 დაავადებიდან რამდენი აწუხებდა და განსაკუთრებით რომელი უტევდა სააკაშვილს მაშინ, როცა 2008 წლის აგვისტოში ჯერ ომი დაიწყო და მერე ჰალსტუხის ღეჭვა...**

არც იმაზე მოგვისმენია განმარტება, სად იშოვა სააკაშვილმა **ლობისტებისთვის გადარიცხული მილიონები!** ერთიც საკითხავია — თუ 2003 წლამდე საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო კორუმპირებული ქვეყანა იყო და 2003 წლის შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა სააკაშვილმა და მისმა ხროვამ ის მილიონები და უძრავი ქონება დააგროვეს, რაც თავად ამერიკელებმა გაასაჯაროვეს, მაშინ გამოდის, რომ ქვეყანაში, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა და იმას, რასაც ადრე შევარდნაძე და მისი სიძე-ძმისშვილები იხვეჭდნენ, სააკაშვილისა და გიული-ხანუმის სახით სხვა მომხვეჭელები გამოუჩნდნენ! **დიდი ალბათობით, სწორედ ამ კორუფციისა და აღვირახსნილი მომხვეჭელობის შედეგია ის მილიონი დოლარიც, რომელიც „თემურმა და მისმა რაზმმა“ ამერიკულ ლობისტურ კომპანიებს გადაურიცხეს. აღარაფერს ვამბობთ იმ სრა-სახლებსა და პენტ-ჰაუსებზე, რომლებიც სააკაშვილმა კიევში, ფლორიდასა და ნიუ-იორკში შეიძინა.**

მოკლედ, საჭირბოროტო კითხვები ბევრია, მაგრამ ყველაზე მთავარი შეკითხვა მაინც ერთია — **რა უჯდება და რა დაუჯდა სააკაშვილს ამ ევროკაჭკაჭების — კუბილიუსების, ანა ფოტიგებისა და ვიოლა ფონ კრამონების სავარაუდო მოქრთამვა და მოღორება, რომლებიც უკადრებელს კადრულობენ და ევროპარლამენტში სააკაშვილის ლეღვის ფოთლობასაც არ თაკილობენ?**

აშკარაა, რომ **ევროპელი კაჭკაჭები** სააკაშვილის მიერ დაყრილ საკენკზე ახლა კი არა, დიდი ხანია, არიან მიჩვეული... სხვათაშორის, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სააკაშვილის ერთ-ერთი **კაჭკაჭის — ანა ფოტიგას** ორგანიზაცია **ლიაკა ხოშტარიას „დროას“** თავგადაკლული დამფინანსებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ **ფოტიგა** საქართველოს ხელისუფლების დასამხობად ძალ-ღონეს არ იშურებს.

ვიდრე **ევროკაჭკაჭები** სცენაზე გამოხტებოდნენ და სააკაშვილის ლეღვის ფოთლობას სიხარულით იკისრებდნენ, მანამდე ერთი კვირით ადრე საერთაშორისო პრესაში ძალზე მნიშვნელოვანი და საგულისხმო წერილი გამოჩნდა. ზუსტად იმ დროს, როცა **ანა ფოტიგების, კუბილიუსების, ვიოლა ფონ კრამონებისა და ლექსმანების** მიერ წახალისებული, დაფინანსებული და გაქეზებული ჯალალედინები საქართველოს პარლამენტის შენობასთან ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილებს“ ისროდნენ და სპეცრაზმელებსა და პოლიციელებს გადაბუგვით ემუქრებოდნენ, ამერიკულ **„ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნდა წერილი სათაურით — „დროა, ბაიდენმა სააკაშვილის გათავისუფლება მოითხოვოს!“**

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ 2023 წლის 7 მარტს პარლამენტის შენობაზე მიტანილი შტურმი და „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული ზემოხსენებული წერილი ერთმანეთთან არაფერ კავშირშია. ასეთი დამთხვევები საერთაშორისო პოლიტიკაში თითქმის არ არსებობს... ამდენად, მიგვაჩნია, რომ **სააკაშვილის მიერ დაქირავებული ევროკაჭკაჭები, რომლებსაც კონკრეტული დავალება აქვთ შესასრულებელი, ლევან ხაბეიშვილის დღეში არიან!** დიახ, თუ **ევროკაჭკაჭები** საქართველოს ხელისუფლების ჩამოსაშლელად და სააკაშვილის გასათავისუფლებლად ვერაფერს მოიმოქმედებენ, მაშინ ისინი აუცილებლად გაიზიარებენ **ლევან ხაბეიშვილის** ბედს, რომელსაც ქართველი ჯარისკაცების გვამებზე გამდიდრებული **კეზერაშვილი** უახლოეს მომავალში, დიდი ალბათობით, ჭიტლაყს ამოსცხებს და იმ დრაფის პალტოსაც გახდის, რომელიც ასე საგულდაგულოდ შეუკერეს!

საერთოდ, **კაჭკაჭი,** ცოტა არ იყოს, „არეული“ ფრინველია — **ბეღურასნაირთა რიგსა და ყორნისფერთა ოჯახს მიეკუთვნება, ანუ ბეღურასაც ჰგავს და ყორანსაც. ევროკაჭკაჭებიც** ასე არიან არეულები და დიდი ეჭვი მაქვს, რომ, სანამ სააკაშვილს გაათავისუფლებენ, მანამდე სწორედ ამ სამარცხვინო ხალხისგან გათავისუფლდება და დაისვენებს კორუფციის ჭაობში ჩამხრჩვალი ევროპა!

**ვინ ოხრები არიან და ასეთი რა ოხრობა მისცა სააკაშვილმა, რომ ევროდეპუტატები ევროკაჭკაჭებად გადაიქცნენ, საკითხავი სწორედ ეს არის!**

## ვინ ოხრები არიან და რა ოხრობა მისცა სააკაშვილმა?



ფონ-კრამონ-კუბილიუს-ფოტიგა

***დიტო ჩუბინიძე***

# ემზარ კვიციანი:

# ვინც ლუსტრაციის კანონის მიღების წინააღმდეგია, ის უკვე ავტომატურად ლუსტრირებულია, როგორც აგენტი!



***კულისებიდან გამომძვრალი ვანო მერაბიშვილი, რომელსაც ბოლო დროს პირში კუჭი აეშალა, აცხადებს, რომ ძალიან რცხვენია, რადგან საქართველო ომში არ არის ჩართული და უკრაინას სათანადოდ არ უდგას გვერდით.*** *სააკაშვილის რეჟიმის ყოფილი „ხერხემლისა“ და ნაცმოძრაობის ამჟამინდელი „რუხი კარდინალის“ ეს განცხადება ქართველი საზოგადოების დიდმა ნაწილმა იმის დასტურად აღიქვა, რომ ნაცებს საქართველოში ე.წ. მეორე ფრონტის გახსნა მართლაც ძალიან უნდათ და თუ ხელისუფლებაში დაბრუნება მოახერხეს, ქვეყანას აუცილებლად ჩააბამენ რუსეთ-უკრაინის ომში.* ***სწორედ ამ თემით დავიწყეთ საუბარი კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულთან, საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის დეპუტატ ემზარ კვიციანთან:***

— როცა **ვანო მერაბიშვილი და მისნაირი რუსეთის აგენტები** მსგავს განცხადებებს აკეთებენ, ეს იმის მანიშნებელია, რომ შესაძლოა, რუსეთს უკრაინის ომში საქართველოს ჩათრევა სურდეს! დიახ, თუ კრემლს ჩვენი ომში ჩათრევა დასჭირდება, ამას სწორედ საკუთარი აგენტების მეშვეობით გააკეთებს, რომელთაგანაც ერთ-ერთი ვანო მერაბიშვილი გახლავთ!

**— მერაბიშვილსა და ნაცებს საქართველოში მთავარ პროდასავლურ ძალად მოაქვთ თავი და თქვენ რუსეთის აგენტებს რის საფუძველზე უწოდებთ?**

— მრავალსერიიანი საბჭოთა ფილმი **„გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“,** ალბათ, ყველას აქვს ნანახი... გერმანიაში საბჭოთა კავშირის დაზვერვის აგენტი შტირლიცი საბჭოთა დროშას აფრიალებდა? რა თქმა უნდა, არა, იგი კარგად იყო შენიღბული, როგორც ნაცისტური რეჟიმის ერთგული მსახური. აგენტები რეალურ ცხოვრებაშიც ასე ინიღბებიან, თუმცა, მერაბიშვილსა და მისნაირებს შტირლიცის ჭკუა და გამჭრიახობა ვინ მისცა!

სახელებითა და გვარებით ვიცი, რომელ რუს გენერლებს ხვდებოდა მერაბიშვილი კოდორის ხეობაში და რა გარიგებებს დებდა მათთან... მერე სცენებს დგამდნენ, თითქოს კოდორის ხეობის დატოვებისას მერაბიშვილს რუსებმა ჩასაფრება მოუწყვეს და ესროლეს. მერაბიშვილს რუსულ სპეცსამსახურებთან ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდა და დღემდე აქვს.

**— კი მაგრამ, ნუთუ ზელენსკის ხელისუფლება ვანო მერაბიშვილის სახით რუსეთის აგენტთან თანამშრომლობს?**

— უკრაინის ხელისუფლებაში 90 პროცენტი რუსეთის ჯაშუშია! როგორ ფიქრობთ, ამერიკელებს უკრაინაში რუსეთისათვის ომის მოგება რომ უნდოდეთ, პრეზიდენტად და უმაღლეს მთავარსარდლად ზელენსკისნაირ მასხარას დააყენებდნენ? **გლობალისტების მიზანია, მეომრული და ეროვნული სულისკვეთების მატარებელ ყველა ერში, თუ ასეთები მსოფლიოში კიდევ დარჩნენ, მეომრული და ეროვნული სული ბოლომდე ჩაკლან. ამიტომაც არის, რომ უკრაინელებს აქეზებენ და „ბოლო ჯარისკაცამდე“ ბრძოლისაკენ მოუწოდებენ.** საერთოდ, უკრაინას, როგორც ევროპის შუაგულში მდებარე უზარმაზარ მართლმადიდებელ ქვეყანას, გლობალისტები დაუშლელს რომ არ დატოვებდნენ, ამას დიდი მიხვედრილობა არ სჭირდებოდა.

**— უკრაინაში ხომ მეორე დიდი მართლმადიდებელი სახელმწიფო — რუსეთი შეიჭრა და არა, ვთქვათ, ამერიკა ან ნატო?**

— ამერიკა და რუსეთი ერთმანეთის ზურგს უკან და ერთმანეთთან შეუთანხმებლად არცერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს არ დგამენ. თუნდაც, საქართველოს მაგალითი ავიღოთ — **სწორედ ამერიკელები ეხმარებოდნენ რუსებს, რომ კოდორის ხეობაზე კონტროლი დაემყარებინათ.**

**— ეს როგორ?**

— ამერიკელები „გვაწვებოდნენ“, რომ კოდორის ხეობა რუსეთისათვის ჩაგვებარებინა და ამას რომ არ ვთანხმდებოდი, რუსები და ამერიკელები ერთად დამიპირისპირდნენ. მათ საქართველოს ხელისუფლებაში სააკაშვილი იმიტომ მოიყვანეს, რომ პირობა ჰქონდა დადებული — კოდორის ხეობას, როგორც აფხაზეთის გასაკონტროლებელ ბოლო ბასტიონს, რომელზეც რუსებმა კონტროლი ვერ დაამყარეს, უბრძოლველად ჩაგვაბარებთო!

**— თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ, როცა ამბობთ — ამერიკელები „გვაწვებოდნენ“, რომ კოდორის ხეობა რუსებისათვის ჩაგვებარებინაო?**

— შევარდნაძის მმართველობის დროს საქართველო-ამერიკის სამხედრო თანამშრომლობის საკითხებში ამერიკის თავდაცვის მდივნის მრჩეველი იყო წარმოშობით ქართველი, გენერალი **ოთარ შალიკაშვილი,** რომელმაც ჩვენს თავდაცვის მინისტრს, გენერალ **დავით თევზაძეს** პირდაპირ უთხრა — **კოდორი რუსეთს უნდა ჩააბაროთო!** როცა დავით თევზაძემ მიზეზი ჰკითხა, შალიკაშვილმა უპასუხა — ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, რომ კოდორი საქართველოს იურისდიქციაში დარჩესო! კითხვაზე — რომელ ხელშეკრულებას გულისხმობდა — შალიკაშვილმა თევზაძეს უპასუხა — ეს შენი საქმე არ არისო!

**რუსეთსა და ამერიკას შორის არსებობდა შეთანხმება, რომ აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ კოდორის ხეობა საქართველოს კონტროლქვეშ არ უნდა დარჩენილიყო და ეს შეთანხმება სააკაშვილმა, მერაბიშვილმა და ოქრუაშვილმა აღასრულეს!**

დღეს უკრაინაშიც მსგავსი პროცესი მიმდინარეობს — ამ უზარმაზარ ქვეყანას რუსეთი და ამერიკა ნაწილ-ნაწილ დაშლიან და გავლენის ზონებად გადაინაწილებენ!

**— იმ დრამატულ მოვლენებშიც, რომელიც საქართველოში ე.წ. უცხოეთის გავლენის აგენტთა შესახებ კანონის მიღების მცდელობას მოჰყვა, რუსულ-ამერიკული კვალი ხომ არ იკვეთება?**

— თუ მართლა აგენტი არ ხარ, რატომ არ უნდა გინდოდეს ისეთი კანონის მიღება, რომელიც უცხო ქვეყნის აგენტთა ლუსტრაციას მოახდენს?! ჩემი აზრით, ე.წ. უცხოეთის გავლენის აგენტთა შესახებ კანონპროექტის ინიცირებაც და შემდეგ ამას მოყოლილი ვნებათაღელვაც ერთი სცენარის ნაწილი იყო, რათა ამ თემამ კარგა ხანს აღარ წამოიწიოს და საქართველოში ლუსტრაციის კანონის მიღება კიდევ 20-30 წლით შეაჩერონ. **არც რუსეთს, არც ამერიკას, არც თურქეთს და არცერთ უცხო ქვეყანას, რომელსაც საქართველოში საკუთარი ჯაშუშები და გავლენის აგენტები ჰყავს, ლუსტრაციის ან მასთან მიმსგავსებული კანონის მიღება არ აწყობს.**

## „თუ კრემლს ჩვენი ომში ჩათრევა დასჭირდება, ამას სწორედ საკუთარი აგენტების მეშვეობით გააკეთებს, რომელთაგანაც ერთ-ერთი ვანო მერაბიშვილი გახლავთ!“






## „რუსეთსა და ამერიკას შორის არსებობდა შეთანხმება, რომ აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ კოდორის ხეობა საქართველოს კონტროლქვეშ არ უნდა დარჩენილიყო და ეს შეთანხმება სააკაშვილმა, მერაბიშვილმა და ოქრუაშვილმა აღასრულეს!“

## კვირგვინოსნები

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*



ძაღლი შინ არ ვარგოდა და გარეთ გარბოდაო — **ხაბეიშვილმა** არაერთი ე.წ. საპროტესტო აქცია დააანონსა და **20 ადამიანის შეგროვებაც კი უჭირს.**

„რეზონანსი“

**დავით ზარდიაშვილი**
*ანალიტიკოსი*



50 წლის კაცს ეუბნებოდა ერთი ე.წ. სტუდენტი: **შენ მალე მოკვდები და ჩვენ გვაცალეთ ევროპაში შესვლაო** — ესაა ფაშიზმი!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**გიორგი ჩალაძე**
*მიხეილ სააკაშვილის შტაბის ხელმძღვანელი*



**მიხეილ სააკაშვილმა** მთხოვა, მის მაგივრად საჯაროდ მეთქვა — **ის ამაყობს იმით, რომ ევროპისა და თავისუფალი სამყაროს აგენტია.**

„ინტერპრესნიუსი“

**ანრი ოხანაშვილი**
*პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე*



**ყველა უკანონობას გაეცემა შესაბამისი პასუხი** — დაიმახსოვროს ყველამ!

„ინტერპრესნიუსი“

**პერმან საბო**
*„გირჩის“ წევრი*



**მერაბიშვილსა** და ნაციონალურ მოძრაობას აქციებით **მიხეილ სააკაშვილის** გამოხსნა რომ შეეძლოს, ამას აქამდე იზამდნენ, **ეს დამუქრება ან თავის მოტყუებაა, ან — შეცდომა.**

„იმედინიუსი“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



**მერაბიშვილმა და კეზერაშვილმა** რამდენი ნაძარცვი შავი ფულიც არ უნდა არიგონ, საქართველოს ძალიან კარგად ახსოვს საკუთარი წარსული.

„იმედინიუსი“



# სანდრო ბრეგაძე:

# მიიღეთ ლუსტრაციის კანონი!

***პარტია „ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე ჰააგის სასამართლოს მიერ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის დაპატიმრებაზე სანქციის გაცემას ეხმაურება და აცხადებს, რომ ეს ფაქტი საქართველოსათვის სერიოზული საფრთხის შემცველია:***

— მას შემდეგ, რაც ჰააგის სასამართლომ **ვლადიმერ პუტინის** დაპატიმრების სანქცია გასცა, რუსეთის მხრიდან გარდაუვალია უკრაინაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებების გამწვავება და კიდევ უფრო განვრცობა, ყველაზე დიდი საფრთხის ქვეშ კი საქართველო და მოლდოვა დგებიან.

**— იმის თქმა გინდათ, რომ საქართველოს რუსული სამხედრო აგრესიის ახალი ტალღა ემუქრება?**

— დიახ, ეს საფრთხე იმაზე ბევრად რეალურია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება, ჩანდეს. **ბოლო დროს საეჭვოდ გააქტიურებული მერაბიშვილის, კეზერაშვილისა და სხვა ე.წ. პოლიტიკური ლიდერების მხრიდან მოსალოდნელია პროვოკაციების მთელი სერია, რაც, დიდი ალბათობით, რუსეთს საქართველოზე ახალი სამხედრო აგრესიისა და ოკუპაციის განვრცობის საბაბს მისცემს.** თუ ეს მოხდება, აბა, ერთი ის ხალხი არ გვინახავს ფრონტის წინა ხაზზე, ვინც დღეს გაიძახის — სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს, თუ საომარია, ვეომოთ რუსებსო! აბა, ერთი იარაღი არ აუღიათ ხელში და სანგრებში არ ჩამსხდარან, ჩემი ხელით დავაჭედებ ტყვიას, ახალგაზრდა იქნება თუ ძველგაზრდა!

**— ჰააგის სასამართლოს მიერ სანქციის გაცემის მიუხედავად, რუსეთის პრეზიდენტის დაპატიმრება რამდენად რეალურად მიგაჩნიათ?**

— **ქართველი ლიბერალებისა და ნაცების გარდა, მსოფლიოში არავის სჯერა, რომ პუტინს დააპატიმრებენ,** თუმცა, ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილება პოლიტიკურ და სამხედრო ვითარებას რომ ძალზე გაამწვავებს, ეს ცხადზე უცხადესია.

**— სხვათაშორის, ქართველი ლიბერალები და ნაცები პრორუსად და ბნელად რაცხავენ**

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## „უკრაინის ხელისუფლებაში 90 პროცენტი რუსეთის ჯაშუშია!“



**„როცა ამერიკელებს ხელისუფლებაში ზელენსკი მოჰყავდათ, რუსებს ამისათვის არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, რადგან პუტინსა და მის სპეცსამსახურებსაც აწყობდათ, რომ უკრაინის მმართველად არა ძლიერი პოლიტიკური ფიგურა, არამედ ტაკიმასხარა დამჯდარიყო!“**

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, გადახედეთ ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების“ რიგებს — ორივეგან ბევრი ადამიანია, ვისაც ქვეყნის გარეთ ერთი და იგივე პატრონი ჰყავს! მაგალითად, ნაცმოძრაობაშიც და ხელისუფლებაშიც ძალიან ბევრი სოროსელია!

საერთოდ, ვინც ლუსტრაციის კანონის მიღების წინააღმდეგია, ის უკვე ავტომატურად არის ლუსტრირებული, როგორც აგენტი!

**— აგენტები არიან თუ არა, ფაქტია — ნაცოპოზიციასა და მის მონათესავე არასამთავრობო ორგანიზაციებს დასავლეთის პოლიტიკური წრეები ღია მხარდაჭერას უცხადებენ და არცთუ შეფარულად აქეზებენ საქართველოში რევოლუციის მოსაწყობად. როგორ ფიქრობთ, მიზანს მიაღწევენ?**

— თუ რევოლუციისა და ე.წ. მაიდნის მოწყობა მოინდომეს, ე.ი. ნაცები და მათი უცხოელი პატრონები საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებული არიან და ძალაუფლების გადასაბარებლად სპექტაკლს გაითამაშებენ, მაგრამ გარანტიას ვაძლევ, რომ არ გამოუვათ. ხელისუფლების გადაბარება ერთია, მაგრამ მის ლეგიტიმაციას გარკვეული დრო სჭირდება, არჩევნები ფორმალურად მაინც უნდა ჩატარდეს, რათა რევოლუციით მოსული ძალა კონსტიტუციის ჩარჩოებში მოექცეს... აი, სწორედ მაშინ აჯანყდება ქართველი ხალხი, წალდებით გამოვარდება ქუჩაში და ნაცების მობრუნებას არ დაუშვებს!

**— კი მაგრამ, რატომ უნდა უნდოდეს „ქართულ ოცნებას“, რომ ხელისუფლება ნაცებს გადააბაროს?**

— ეს „ქართული ოცნების“ ნება-სურვილზე სულაც არ არის დამოკიდებული! მართალია, კონსტიტუციაში გვიწერია, რომ ხელისუფლების წყარო ხალხია, მაგრამ, რეალურად, ასე არ არის, რადგან რა ხანია, საქართველოში არჩევნების შედეგები არჩევნებამდე 2-3 თვით ადრე ამერიკის საელჩოში იწერება, რუსეთთან შეთანხმებით. ისინი ანაწილებენ საპარლამენტო კვოტებს და წყვეტენ, რომელი ძალა რა პროპორციით იყოს წარმოდგენილი პარლამენტში. ბევრს უკვირს — ნაცმოძრაობა არჩევნებში 500 ათასზე მეტ ხმას იღებს, მიტინგებზე კი 5 000 კაციც ვერ გამოჰყავსო... რეალურად, ნაცების 500 ათასი ამომრჩეველი ფიქციაა და მათ ყოველ არჩევნებზე გაყალბებულ ხმებს უწერენ. **2024 წელს, როცა მაჟორიტარული სისტემა გაუქმდება და არჩევნები მთლიანად პროპორციული სისტემით ჩატარდება, პარლამენტში გასულ დეპუტატთა 80 პროცენტი ამერიკის, დასავლეთისა და რუსეთის აგენტურა იქნება.**

**— ზემოთაც ახსენეთ — ამერიკა და რუსეთი ერთმანეთთან შეუთანხმებლად არცერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს არ დგამენო! საქართველოსთან მიმართებაშიც ასე იქცევიან?**

— რა თქმა უნდა, **საქართველოში ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროექტს ამერიკა და რუსეთი ერთმანეთთან შეთანხმებულად და ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებენ, მათ საქართველოს ხელისუფლებაში კვოტებიც კი განაწილებული აქვთ – რომელი უწყების ხელმძღვანელად ვისი კაცი უნდა დაჯდეს!** ვფიქრობ, უკრაინაშიც სწორედ ასე ხდება. როცა ამერიკელებს ხელისუფლებაში ზელენსკი მოჰყავდათ, რუსებს ამისათვის არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, რადგან პუტინსა და მის სპეცსამსახურებსაც აწყობდათ, რომ უკრაინის მმართველად არა ძლიერი პოლიტიკური ფიგურა, არამედ ტაკიმასხარა დამჯდარიყო!

**— დაბოლოს: როგორ ფიქრობთ, ქვეყნის გარედან სულ უფრო მზარდი პოლიტიკური წნეხის ფონზე, მოუწევს თუ არა საქართველოს ხელისუფლებას სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლება?**

— სააკაშვილის თემამ ძალიან დიდი ლუსტრაცია მოახდინა — ნათლად გამოჩნდა, რომ სააკაშვილი მთელი 9 წლის განმავლობაში ქართველების ხოცვა-ჟლეტას, წამებასა და ციხეებში გაუპატიურებას სწორედ იმათი დავალებითა და მხარდაჭერით სჩადიოდა, ვინც დღეს თავგამოდებით ითხოვს პატიმრობიდან მის გათავისუფლებას!

რაც შეეხება სააკაშვილის გაშვება-არგაშვების საკითხს, პირდაპირ გეტყვით: **მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება გამიმწარა და ოჯახში უბედურება დამიტრიალა, სულ ფეხებზე მკიდია, სააკაშვილი ციხეში ეგდება თუ ციხის გარეთ! ეგ არაკაცი ჩემთვის აღარ არსებობს!**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



შტირლიცი. კადრი მრავალსერიიანი ფილმიდან „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“

**„გერმანიაში საბჭოთა კავშირის დაზვერვის აგენტი შტირლიცი საბჭოთა დროშას აფრიალებდა? რა თქმა უნდა, არა, იგი კარგად იყო შენიღბული, როგორც ნაცისტური რეჟიმის ერთგული მსახური. აგენტები რეალურ ცხოვრებაშიც ასე ინიღბებიან!“**

## კვირგვინოსნები

### რატი იონათამიშვილი

*პარლამენტარი*



თურმე, ამ ქვეყანაში არსებობს მასწავლებელი, თან არაერთი, რომელსაც **შეუძლია, თავისი მოსწავლე დააბულინგოს მისი მშობლის პოლიტიკური შეხედულებისა თუ პოლიტიკური საქმიანობის გამო.** ასეთი რამ მხოლოდ ნაცმოძრაობის აქტივისტ მასწავლებელს შეუძლია იკადროს.

„ინტერპრესნიუსი“

### ოლივერ ვარჰეი

*სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარი*



**12 პრიორიტეტი** საკვანძოა, ერთადერთი გზაა ქვეყნისთვის, რომ არჩეულ ევროპულ გზაზე წინ წაიწიოს — ჩვენ გვერდში ვუდგავართ, მაგრამ არ შეგეშალოთ: **ეს მხოლოდ საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიერ შეიძლება იქნეს შესრულებული.**

„ინტერპრესნიუსი“

### მიხეილ ყაველაშვილი

*„ხალხის ძალის“ წევრი*



**ჩემს შეურაცხყოფას ყველას ვაპატიებ და შევუნდობ, მაგრამ ჩემი შვილისას — არავის!** საფლავში ჩაგყვებით ყველას, სიმართლეს ბოლომდე მივიყვანთ; შეცდნენ? **გამობრძანდნენ და ბოდიში მოიხადონ ან არადა, დაგვიმტკიცონ, რომ ეს რუსული კანონია.** დაგინებაც მოჰყვება ბოლოს, როგორც ვიცი ხოლმე, რადგან სხვა ენა არ ესმით.

„რეზონანსი“

### დიტო სამხარაძე

*„ქართული ოცნების“ ორგანიზაციული მდივანი*



**დიმა ჩიქოვანი** არის **კეზერაშვილის ცოლისძმა.** კეზერაშვილი და **მერაბიშვილი** სხვა ტელევიზიებთან და ორგანიზაციებთან ერთად **დიმა ჩიქოვანის ხელით აფინანსებენ ორგანიზაციას „ნაბიჯი“,** რომელიც აქტიურად ყოფილა ჩართული ბოლო დღეების მოვლენებში და **მიბარებული აქვთ სტუდენტების და ლექტორების ბულინგის მიმართულება.**

„ახალი თაობა“

# სანდრო ბრეგაძე: ქართველი ლიბერალებისა და ნაცების გარდა, მსოფლიოში არავის სჯერა, რომ პუტინს დააპატიმრებენ!

*დასაწყისი მე-5 გვერდზე*

*დასაწყისი მე-5 გვერდზე*

**ყველას, ვინც ჰააგის სასამართლოს მიერ პუტინის დაპატიმრების სანქციის გაცემას ირონიით უყურებს და მიაჩნია, რომ რუსეთის პრეზიდენტის დაკავება ფანტასმაგორიაა!**

— აბსოლუტურად არ მანაღვლებს, ნაც-სოროსელ-ლიბერალები რა იარლიყს მომაკერებენ, რადგან ისინი ისეთივე მარგინალები არიან, როგორც **პრორუს-დუგინისტები.** დიახ, როგორც ნაც-სოროსელ-ლიბერალები ახდენენ ნამდვილი დასავლური ფასეულობების დისკრედიტაციას, სწორედ იმავენაირად რყვნიან და აუფასურებენ ეროვნულობის ცნებას პრორუსული ძალები, რომლებიც რადიკალურად ეწინააღმდეგებიან ჭეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეას, **ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გზას.** ჩემთვის სოროსელი და კრემლელი ერთნაირი ჭუჭყი და ერთი მედლის ორი მხარეა.

დღეს ხშირად გაიგონებთ ფრაზას — **„ისტორიის ნათელ მხარეს დადექი!"** — და ამას ყველაზე აქტიურად ის ხალხი იმეორებს, ვინც თავად იდგა და დგას ისტორიის ბნელ მხარეს, ვინც ზვიად გამსახურდიას „ბნელსა" და „პროვინციელ ფაშისტს" უწოდებდა, ხოლო კიტოვან-სიგუა-იოსელიანის ტრიოს დემოკრატიის შუქურად და პროგრესულ ძალად მიიჩნევდა. მე ასეთებს **„ამხანაგი ტურაშვილები"** დავარქვი.

**— თუ შეიძლება, გაშიფრეთ, რას გულისხმობთ?**

— **დათო ტურაშვილი,** რომელიც ახლა ტელევიზიიდან ტელევიზიაში დარბის და ერს დიდი „პროდასავლელი მწერლის" პოზიციიდან მოძღვრავს, იმ პუტჩისტ-პრორუსების ერთ-ერთი კრებსითი სახეა, რომლებსაც ზვიად გამსახურდიას დამხობასა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ტყვიის სროლაში დიდი წვლილი მიუძღვით. **დღევანდელი დღესავით მახსოვს, ტურაშვილი მიტინგებზე რომ გამოდიოდა და გაჰყვიროდა — დიქტატორო გამსახურდიავ, უდანაშაულო ჯაბა იოსელიანი გამოუშვი და მის მაგივრად მე დამიჭირეო!** მახსოვს, ტურაშვილი და უნივერსიტეტის ე.წ. პრესკლუბის წევრები ვახტანგ გოგუაძის კაბინეტის ფანჯრებიდან გამარჯვებული და კმაყოფილი სახეებით როგორ ადევნებდნენ თვალს თსუ-ს პირველი კორპუსის ბაღში ავტომატიანი ავაზაკების მიერ ჩვენი — ზვიად გამსახურდიას მომხრე სტუდენტების დარბევასა და დაპატიმრებას.

ასეთებს, რომელ ბანაკშიც არ უნდა იყვნენ დღეს, მორალური უფლება არა აქვთ, არათუ საზოგადოება დამოძღვრონ, არამედ, საერთოდ, ხმა ამოიღონ! დიახ, **როცა უდიდეს ღალატში, ძმათამკვლელ ომში, ქვეყნის დანგრევაში, პირველი პრეზიდენტის დამხობაში, ბალტინის ტანკების შემოყვანასა და კრიმინალური ბანდის ხელისუფლებაში მოყვანაში გაქვს მონაწილეობა მიღებული, უნდა დადუმდე, გულწრფელ სინანულში ჩავარდე და ქართველი ხალხისთვის ჭკუის სწავლებას თავი დაანებო!**

**— აშკარად ჩანს, რომ ხელისუფლების მიერ უკან დახევისა და ე.წ. უცხოეთის გავლენის აგენტთა შესახებ კანონის გაუქმების შემდეგ ნაცლიბერალები თავს გამარჯვებულად გრძნობენ, დიდ გულზე არიან და რევოლუციითაც კი იმუქრებიან!**

**— ის, რომ უვარგისი კანონი გააპროტესტეს და შეშინებულ ხელისუფლებას უკან დაახევინეს, სულაც არ ნიშნავს, რომ ქვეყანას ლიბერალ-სოროსელები და ნაც-გირჩები უნდა დაასხდნენ თავზე.**

ახლა მათ სურთ, რომ დრო იხელთონ და ეროვნულობისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გენერალურ შეტევაზე გადავიდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდებიან, რადგან პრორუსულ მარგინალურ დაჯგუფებებთან კი არა, ქართველ ერთან მოუწევთ დაპირისპირება, რომელიც ნაც-ლიბერალებს წელში გადატეხავს!

**ან რა „გამარჯვებას" ზეიმობენ ეს ნაც-ლიბერალები?! ხელისუფლებამ უთავმოყვარეობა რომ გამოიჩინა და წინა დღეს 76 დეპუტატის მიერ ზარ-ზეიმით მიღებული კანონი ზუსტად მეორე დღეს იმავე 76 დეპუტატს ზარ-ზეიმით რომ გააუქმებინა, ეს არის საქართველოსა და ქართველი ხალხის გამარჯვება?!** აღარ არის ე.წ. აგენტების უვარგისი კანონი და მერე რა, რას ზეიმობენ — აფხაზეთი დავიბრუნეთ და რუსის ჯარი აღარ დგას საქართველოში? ეკონომიკა აყვავდა, სამუშაო ადგილები შეიქმნა და ლუკმაპურისთვის სამშობლოდან გადახვეწილი ემიგრანტები დაგვიბრუნდნენ? გნებავთ, ოპოზიციის და, გნებავთ, ხელისუფლის მხრიდან ეს ყალბი „გამარჯვებები" და „ზეიმები" გულის ამრევია!

**— და მაინც, არ ფიქრობთ, რომ აუცილებელია ისეთი კანონის მიღება, რომელიც უცხოეთის გავლენის აგენტურას გამოააშკარავებს?**

— უცხო ქვეყნების აგენტების გამოვლენას „ახალი ველოსიპედის" გამოგონება არაფერში სჭირდება — **საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ქართული სპეცსამსახურების პირდაპირი ვალდებულებაა, გაშიფრონ და პასუხი აგებინონ ნებისმიერი უცხო ქვეყნის აგენტსა თუ აგენტურულ ორგანიზაციას, რომელიც ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებს!**

ასე რომ, ხელისუფლებას მივმართავ — თუ რეალური საქმე გინდათ და არა ხალხის დასაზაფრი პოლიტიკური სპექტაკლები, მიიღეთ ლუსტრაციის კანონი და მაშინ გავიგონებთ იმათ განწირულ წკმუტუნს, ვინც დღეს ყელყელაობს და საკუთარი თავის შესანიღბავად სხვას აწებებს აგენტის იარლიყს!

**ნაცებმაც და ქოცებმაც თავი დაანებეთ უნიჭო სანახაობების მოწყობას, კმარა, უკვე ყელში ამოუვიდა ქართველ ხალხს!**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***





**„ბოლო დროს საეჭვოდ გააქტიურებული მერაბიშვილის, კეზერაშვილისა და სხვა ე.წ. პოლიტიკური ლიდერების მხრიდან მოსალოდნელია პროვოკაციების მთელი სერია, რაც რუსეთს საქართველოზე ახალი სამხედრო აგრესიისა და ოკუპაციის განვრცობის საბაბს მისცემს!"**





# მირიან მირიანაშვილი: საქართველოში მოქმედი ვითომ პროდასავლური არასამთავრობო ორგანიზაციები რუსეთის აგენტურით არიან გაჟღენთილი!

***საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყოფილი წევრი, საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის ერთ-ერთი ორგანიზატორი, პოლიტიკოსი და იურისტი მირიან მირიანაშვილი „უცხოეთის გავლენის აგენტთა" შესახებ კანონის გარშემო ჯერ კიდევ ჩაუმცხრალ ვნებათაღელვას ეხმიანება და აცხადებს:***

— უკვე 20 წელზე მეტია, საქართველოში გაბატონდა მცდარი შეხედულება, თითქოს არასამთავრობო სექტორი აშშ-ისა და დასავლეთის დასაყრდენს წარმოადგენს, რეალურად კი, **მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები რუსეთის აგენტურით არიან გაჟღენთილი.** ჩემთვის ძალიან სანდო წრიდან მაქვს მოსმენილი პუტინის ყოფილი თანაშემწის **ვლადისლავ სურკოვის** სიტყვები — ქართულ არასამთავრობო სექტორში ჩანერგილმა ჩვენმა აგენტურამ შეძლო, საქართველოში ამერიკული ფულით რუსული გავლენები გაეძლიერებინაო!

**— მაინც რაში გამოიხატება, რომ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამერიკისა და დასავლეთის ადეპტებად ითვლებიან, რუსულ საქმეს აკეთებენ?**

— **ყველაზე დიდი რუსული საქმე, რასაც საქართველოში პროდასავლურობის ნიღაბს ამოფარებული არასამთავრობო ორგანიზაციები აკეთებენ, ეს არის ამერიკისა და დასავლეთის დისკრედიტაცია საქართველოს მოსახლეობის თვალში. თუ უკანასკნელი 15-20 წლის განმავლობაში საქართველოში პროამერიკული და პროდასავლური განწყობები შესუსტდა, ხოლო პრორუსული განწყობა გაძლიერდა, ეს, დიდწილად, სწორედ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შედეგია, რა თქმა უნდა, სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის „მოღვაწეობასთან" ტანდემში.**

**— სააკაშვილსა და ნაცმოძრაობასაც რუსულ ძალად განიხილავთ?**

— რასაკვირველია! **ხელისუფლებაში მყოფი სააკაშვილი იყო ამერიკისა და დასავლეთის მთავარი დისკრე-**

## კვირგვინოსნები

### გიული ალასანია
*მიხეილ სააკაშვილის დედა*



ჩემი შვილის საქართველოში ჩამოსვლის თემას არ ვეხები და ველოდები, რომ ის თავად ალაპარაკდება, **ვფიქრობ, სცენარი ჯერ ბოლომდე არ დაწერილა.** ადამიანი უკვე წელიწად-ნახევარია, გამოკეტილია, მზე არ უნახავს, ჟანგბადის უკმარისობა აქვს, **ფანჯრებზე, რომლებიც ციხეში აქვს, შიგნიდან ჟალუზებია და ოდნავ იღება.** ჯანმრთელი ადამიანიც რომ განათავსო ამ პირობებში, ისიც ავად გახდება.

„პირველი არხი"

### ირაკლი ზარქუა
*პარლამენტარი*



**მერაბიშვილი** ამბობს, რომ მთავარი ამოცანაა, **გადატრიალება მოახდინონ,** რათა შემდეგ პროუკრაინული მთავრობა მოვიდეს, ეს ნიშნავს, რომ **მეორე ფრონტი გაიხსნას,** ვერ ეღირსებიან.

„პირველი არხი"

### ნაჩო სანჩეს ამორი
*ევროპარლამენტარი*



შეცდომა იყო, როდესაც საქართველო არ დავაყენეთ ერთ რიგში სხვა ქვეყნებთან, რომლებსაც **კანდიდატის სტატუსი** შევთავაზეთ.

„პირველი არხი"

### გიორგი მარგველაშვილი
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



ამ შემოდგომაზე **ვადამდელი არჩევნები** უნდა ჩატარდეს! **ივანიშვილი** არ არის სულელი კაცი. **ის ერთადერთი პოლიტიკოსია მაგ ჯგუფში, რომელსაც სტრატეგიულად აზროვნების უნარი გააჩნია.** ბუნებრივია, ის რაღაცას გათვლის. დღეს თუ ოპოზიციამ ხელები ჩამოუშვა, მაშინ ხელისუფლებას არც დასჭირდება ვადამდელის დანიშვნა და, თუ დანიშნავს, მოიგებს კიდეც.

„ახალი თაობა"

დიქტატორი საქართველოში, ხოლო ნაციონალური მოძრაობა თავიდან ბოლომდე „კაგებეს“ აგენტურის — თემურ ალასანიასა და მისი „ბრაშკის“ მიერ იმართება!

**— თუმცა, ფაქტია, რომ ამერიკისა და ევროპის პოლიტიკური ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოითხოვდა, არ მიეღო კანონი ე.წ. უცხოური გავლენის აგენტთა შესახებ!**

— საქართველოს ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, როცა მთელი არასამთავრობო სპექტრის ერთ ქვაბში მოხარშვა მოინდომა, არადა, მიზანში მხოლოდ ის არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა ამოეღო, რომლებიც წლებია, უცხოური ფონდებიდან მიღებულ დიდძალ ფულს არამიზნობრივად ხარჯავენ და კორუფციის ჭაობში არიან ჩაფლული. სულაც არ იყო საჭირო ახალი კანონის მიღება, რადგან სახელმწიფოს უკვე არსებული კანონმდებლობის ბაზაზე შეეძლო, რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური გამჭვირვალობა შეემოწმებინა და კორუფციული ფაქტები გამოევლინა.

ე.წ. უცხოეთის გავლენის აგენტთა შესახებ კანონპროექტის ინიციატორ და მხარდამჭერ დეპუტატებს შორის არაერთია ისეთი, ვინც ხელისუფლებაში სწორედ არასამთავრობო სექტორიდან მოვიდა და ისინი ძალიან კარგად იცნობენ არასამთავრობო ორგანიზაციების „შიდა სამზარეულოს“, შესანიშნავად იციან მათი **კორუფციული შიგთავსი,** რამაც საქართველოში დასავლეთზე რეალურად ორიენტირებული ახალგაზრდების დიდი ნაწილი გარყვნა. შესაბამისად, ვსვამ კითხვას — **რატომ არ „დაარტყა“ ხელისუფლებამ სწორედ ამ კორუფციულ შიგთავსს? რაში სჭირდებოდა სახელმწიფოს, ფაქტობრივად, ქმედუუნარო კანონის მიღება, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების კორუფციულ საქმიანობას ვერ აღკვეთდა და მათ მიერ დიდძალი ფულის არამიზნობრივ ხარჯვას წერტილს ვერ დაუსვამდა?**

ხელისუფლების წარმომადგენლები საზოგადოებას ეუბნებიან, რომ უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობით არიან დაკავებული — ებრძვიან ეკლესიას, ებრძვიან ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას და ა.შ... კი მაგრამ, **მთელი ამ წლების განმავლობაში, სამართალდამცავმა ორგანოებმა ერთი სისხლის სამართლის საქმე მაინც რატომ არ აღძრეს რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ გრანტების არამიზნობრივი ხარჯვისა და სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო საქმიანობის მუხლით?**

აი, ეს იქნებოდა რეალური საქმე და არა ისეთი კანონის მიღება, რომელიც ვილაცებს აგენტის იარლიყს მიაწებებდა, აგენტურულ საქმიანობას კი არ აუკრძალავდა!



ვლადისლავ სურკოვი და ვლადიმერ პუტინი

## „ჩემთვის ძალიან სანდო წრიდან მაქვს მოსმენილი პუტინის ყოფილი თანაშემწის ვლადისლავ სურკოვის სიტყვები — ქართულ არასამთავრობო სპექტრში ჩანერგილმა ჩვენმა აგენტურამ შეძლო, საქართველოში ამერიკული ფულით რუსული გავლენები გაეძლიერებინაო!“

და კიდევ: ე.წ. უცხოეთის გავლენის აგენტთა შესახებ კანონი საქართველოში დასავლეთის აგენტურად მონათლავდა იმათ, ვინც, რეალურად, ანტიდასავლურ საქმიანობას ეწევა და რუსეთის ინტერესებს ემსახურება! აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ამერიკისა და ევროპის პოლიტიკური ელიტის ნაწილი საქართველოში ამ კანონის მიღებას მძაფრად შეეწინააღმდეგა!

**— ვფიქრობ, არცთუ მცირე რაოდენობის მოწინააღმდეგე ეყოლება თქვენს განცხადებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ნაცმოძრაობაც და ე.წ. ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციებიც პროდასავლურად შენიღბული რუსული ძალები არიან!**

— ჩვენი საზოგადოებისა და პოლიტიკური სპექტრის პრორუსული ნაწილი სააკაშვილისა და მისი ამქრისათვის პროდასავლური იარლიყის მიწებებით არის დაკავებული, მაგრამ ვეკითხები მათ — **გადახედეთ ნაციონალური მოძრაობის რიგებს და მითხარით, რუსული სპეცსამსახურების საკადრო ლაბორატორიებად ცნობილი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულნი ასე მასობრივად როგორ გადაკვალიფიცირდნენ ამერიკის აგენტებად?** გადახედეთ სააკაშვილის, თემურ ალასანიას, ძმები ბეჟუაშვილების, ნაყოფიას, ხოშტარიას ბიოგრაფიებს და მიპასუხეთ — როგორ შეიძლება, ეს ხალხი ამერიკისა და დასავლეთის ინტერესებს ემსახურებოდეს, ხოლო რუსეთს ებრძოდეს? ასე რომ იყოს, რუსეთში მათ პოლიტიკურ კურატორებს დაჭერასაც არ აკმარებდნენ და პირდაპირ დახვრეტდნენ!






## „ნაციონალური მოძრაობა თავიდან ბოლომდე „კაგებეს“ აგენტურის — თემურ ალასანიასა და მისი „ბრაშკის“ მიერ იმართება!“

**— 8-9 მარტს თბილისში განვითარებული დრამატული მოვლენების კვალდაკვალ, პოლიტიკურ ავანსცენაზე გააქტიურდა ვანო მერაბიშვილი, რომელიც პერმანენტული საპროტესტო აქციებითა და ხელისუფლების შეცვლით იმუქრება! ამასთან დაკავშირებით რისი თქმა შეგიძლიათ?**

— ვანო მერაბიშვილი რუსული სპეცსამსახურების პირწავარდნილი აგენტია, პოლიტიკურ ასპარეზზე მისი ხელახლა გააქტიურება კი საქართველოს ხელისუფლების დანაშაული გახლავთ! დიახ, **როგორც სააკაშვილი გაასამართლეს სასაცილო ბრალდებებით და 10-წლიანი ტირანიის მთავარ ორგანიზატორს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მერაბიშვილიც სწორედ ასეთი უბადრუკი ბრალდებებით — უფლებამოსილების გადამეტების მუხლით გაასამართლეს,** არადა, იგი სააკაშვილის მიერ ქართველი ხალხის წინააღმდეგ ორგანიზებული სისხლიანი ეგზეკუციის მთავარი აღმსრულებელი იყო! ვანო მერაბიშვილი სხვა ბრალდებებით უნდა გასამართლებულიყო და ძალიან დიდხანს უნდა მჯდარიყო ციხეში, დღეს კი **ნაცმოძრაობის კურატორად** გვევლინება და პოლიტიკის ზედაპირზე ტივტივებს, რაც, კიდევ ერთხელ ვამბობ, ხელისუფლების ბრალია!

**— მერაბიშვილს რუსული სპეცსამსახურების აგენტად რის საფუძველზე მოიხსენიებთ?**

— **ვანო მერაბიშვილი რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი რომ არის, ამას ჯერ კიდევ 2005 წლიდან ვამბობ, როცა მას უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობა ეკავა.** ვიცი, რუსეთში ვისთან ჰქონდა კავშირი, ვინ იყვნენ მისი კურატორები და ვის დავალებებს ასრულებდა. სხვათაშორის, მერაბიშვილს რუსულ სპეცსამსახურებთან დამოუკიდებელი საკომუნიკაციო არხი ჰქონდა გაჭრილი, რის გამოც სააკაშვილის ბიძასთან მუდმივ კონფლიქტში იყო, რადგან **თემურ ალასანიას** არ უნდოდა, საქართველოს ხელისუფლებიდან ვინმეს მის ზურგს უკან ჰქონოდა კავშირი რუსულ სპეცსამსახურებთან!

**— მაინც ვისთან ჰქონდა თუ აქვს კავშირი ვანო მერაბიშვილს რუსეთში?**

— როგორც ჩემთვის არის ცნობილი, მერაბიშვილი უშუალოდ „ფეესბესთან“ იყო კომუნიკაციაში და მე-5 განყოფილების მაშინდელი უფროსის, გენერალ-პოლკოვნიკ **სერგეი ბესედას** ხელქვეითი გახლდათ! სხვათაშორის, „ფეესბეს“ არაერთმა თანამშრომელმა, რომლებიც უშუალოდ ბესედას კადრები იყვნენ, პოლკოვნიკისა და გენერლის ჩინი საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ წარმატებით ორგანიზებისათვის მიიღო!

## „ვანო მერაბიშვილი რუსული სპეცსამსახურების პირწავარდნილი აგენტია, რომელიც უშუალოდ „ფეესბესთან“ იყო კომუნიკაციაში და მე-5 განყოფილების მაშინდელი უფროსის, გენერალ-პოლკოვნიკ სერგეი ბესედას ხელქვეითი გახლდათ!“

**— როგორ ფიქრობთ, გამოუვათ ნაცებს „ვარდების რევოლუცია-2“, რისი განზრახვაც აშკარად აქვთ?**

— ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური გაცოცხლება აბსოლუტურად გამორიცხულია! ხომ ნახეთ, ნაცებმა რუსთაველის გამზირზე შეკრებილი მომიტინგეების წინაშე სააკაშვილის გვარის ხსენებაც კი ვერ გაბედეს, არადა, თუ სააკაშვილი პროდასავლელი ლიდერია, მაშინ პროდასავლური ნიშნით გამართულ მიტინგზე მისი გათავისუფლება ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა უნდა ყოფილიყო!

ხომ ამბობენ, რომ 8-9 მარტის პროტესტის ფარული დირიჟორი ამერიკის ელჩი იყო... თუ ეს მართალია, იმავე „დირიჟორს“ შეეძლო, მომიტინგეებისათვის მითითება მიეცა, რომ რუსთაველის გამზირიდან კლინიკა „ვივამედთან“ წასულიყვნენ და სააკაშვილის გათავისუფლება მოეთხოვათ. რატომ არ მოხდა ეს? იმიტომ, რომ **ამერიკის პოლიტიკურ ელიტას სააკაშვილის ციხიდან გამოყვანა და პოლიტიკურად გაცოცხლება არაფერში სჭირდება!**

აქვე მინდა, საქართველოს ხელისუფლებას მივმართო, რომ კეთილი ინებოს და საკუთარი ფუნქცია შეასრულოს!

**— დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ?**

— **სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას გიორგი ვაშაძისა და სხვა პოლიტიკური თაღლითების მიმართ, რომლებმაც ახალგაზრდები ძალადობრივი ქმედებებისკენ წააქეზეს!** დიახ, ვიღაც 20 წლის ბიჭმა რუსთაველზე გაჩერებული ავტომანქანა რომ გადაატრიალა, იმას კი არ უნდა სდიოს ხელისუფლებამ, არამედ კანონის ძალით მიხედოს ყველას, ვინც მოწოდებებს აკეთებდა — პარლამენტის შენობას ალყა შემოვარტყათ, დაუმორჩილებლობა გამოვაცხადოთ და ა.შ.

**თავისი სახელი უნდა დაერქვას ყველას, პირველ რიგში კი, ნაცმოძრაობაში ჩაბუდებულ რუსეთის აგენტურას!**

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

### კვირგვინოსნები

**მიკ უოლასი**
*ევროპარლამენტარი*



**„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონი დაგმეს ევროკავშირმა და სხვებმა, ვისაც მიღებული აქვს ან სიხარულით მიიღებდა ანალოგიურ ზომებს, **ეს არის ფარისევლობა.** საქართველოში არასამთავრობო სექტორი გაერთიანდა და მიაღწია ინიციატივის გაუქმებას, ბრალი დასდო საქართველოს სახელმწიფოს ბნელი, ავტორიტარული მიმართულებით სვლაში იმის გამო, **რომ განიხილავდა კანონებს, რომელთა მსგავსი არსებობს რუსეთში, ავსტრალიაში, აშშ-ში 1938 წლიდან და შესაძლოა, მალე ევროკავშირშიც გაჩნდეს.**

„პირველი არხი“

**ვლადიმერ ბოჟაძე**
*თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წევრი*



დღეს მარტივი არჩევანი აქვს გასაკეთებელი საქართველოს მოსახლეობას — ან **კეზერაშვილისა და მერაბიშვილის** გეგმის განხორციელება, ან „ქართული ოცნების“ პოლიტიკის მხარდაჭერა. „იმედინიუსი“

**ლევან იოსელიანი**
*სახალხო დამცველი*



სააკაშვილი **არ მიგვაჩნია პოლიტპატიმრად,** თუმცა, სახელმწიფომ ყველაფერი უნდა გააკეთოს მისი ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად.

„კვირის პალიტრა“

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ტაბულას“ დამფუძნებელი*



**ხვალ რომ არჩევნები ჩატარდეს და ოპოზიციამ მოიგოს,** ხელისუფლებაში **მიშა სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, დავით კეზერაშვილი, ხაბეიშვილი და ვაშაძე** მოვლენ. „იმედინიუსი“

***1993 წლის 15-16 მარტს აფხაზეთში, შრომა-ახალშენთან, ქართველებმა წარმატებით მოიგერიეს აფსუების, რუსების, ბაგრამიანელების, ჩრდილოკავკასიელი ველურების, კაზაკებისა და დნესტრისპირეთიდან გადმოსროლილი „ომონელების“ შეტევა და მტერს სოხუმისკენ გაჭრის საშუალება არ მისცეს!***

ის დღეები ქართული არტილერიის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა, რადგან შრომა-ახალშენთან რუსეთის 700-კაციანი დესანტი „ტაპირი“ და ჩრდილოკავკასიელ კონფედერატთა ჭარბი ძალები, რომლებსაც ბაგრამიანელებთან ერთად აფსუებიც უმაგრებდნენ ზურგს, სწორედ ქართულმა არტილერიამ მოცელა და გუმისთის ფრონტი მთლიანად გაიწმინდა. **მიუხედავად იმისა, რომ აფსუების რიგებში პანიკა იყო, შევარდნაძემ ქართული ჯარი შეტევაზე მაინც არ გადაიყვანა და პოზიციების გასამყარებლად ბრწყინვალე შესაძლებლობა მოგვისპო.**

იმ გმირული და სისხლიანი დღეებიდან 30 წლის შემდეგ, შრომა-ახალშენთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად და დაღუპულთათვის პატივის მისაგებად, სოხუმის უნივერსიტეტში აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და პროფესორ-მასწავლებლების ერთობლივი ღონისძიება გაიმართა.

**სოხუმის უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ზურაბ ხონელიძის ინიციატივით დაგეგმილი ეს საჭირო და მომავალზე გათვლილი შეხვედრა,** სამწუხაროდ, შარად და უბედურებად იქცა, რადგან ისეთ უფშვიტინე და ცუნდრუკ მოხუცთან ერთად, როგორიც გახლავთ **ჯემალ საჯაია,** ანუ იგივე **„ბეხო“,** რომელიც ქელეხებში იგინება და ხალხს ელარჯით სავსე თეფშებს ესვრის, შეკრებას ესწრებოდა **საეჭვოდ ამჩატებული მიშმადიდებელი ისტორიკოსი, პროფესორი ზურაბ პაპასქირი,** რომელსაც დღევანდელ ხელისუფალთა დანახვაზე ნაწლავების გადახლართვა ემართება.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ 30 წლის წინათ, 1993 წლის 27 სექტემბერს, **ნაცპროფესორ ზურაბ პაპასქირის** ერთმა მოგვარემ, 18 წლის **ალეშკა პაპასქირმა,** გუდაუთისკენ მიმავალ გზაზე **ჟიული შარტავა** დახვრიტა! ხოლო **კოლექტიურმა ზურაბ პაპასქირებმა** 2023 წლის 2 მარტს, გურამ გაბესკირიას დაბადების დღეს, საქართველოს პარლამენტში, ჟიული შარტავას სახელობის დარბაზში, კიდევ ერთხელ მოკლეს ჟიული შარტავა, როცა **სამი ატეხილი ქალის მიერ ატეხილი წივილ-კივილისა და ლანძღვა-გინე**


ზურაბ პაპასქირი




ჟიული შარტავა

## 30 წლის წინათ, 1993 წლის 27 სექტემბერს, ნაცპროფესორ ზურაბ პაპასქირის მოგვარემ ალეშკა პაპასქირმა ჟიული შარტავა დახვრიტა!

# 2023 წლის 16 მარტს ნაცპროფესორი ზურაბ პაპასქირი სოხუმის უნივერსიტეტში ისევ შევარდნაძეს ელოდა!

**ბის ფონზე** იქაურობა მილეწ-მოლეწეს.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, **16 მარტს სოხუმის უნივერსიტეტში აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლებს მოჰყვა საქართველოს პარლამენტის წევრი, ცნობილი ექიმი ლადო კახაძე. ნაცპროფესორმა ზურაბ პაპასქირმა „ქართული ოცნების“ წევრი ლადო კახაძე დაინახა თუ არა, მაშინვე ტლინკები ყარა, წამოენთო, პიტკინივით წამოხტა და აღრიალდა — ამ სამშობლოს მოღალატეს აქ რა უნდა, ჩემი ფეხი ამ დარბაზში არ იქნებაო!**

**ლადო კახაძე** ქალაქელი კაცია, უამრავი პატარა ქართველის სიცოცხლე მის ხელშია ნასათუთები და კარგი ქნა, რომ **შარაზე გამომხტარ ნაცპროფესორ პაპასქირს** არ აჰყვა, თუმცა, მის ადგილზე ზოგიერთი პაპასქირს ან სილას გააწნავდა, ანდა უკანალში ჭიტლაყს ამოსცხებდა და ამ ყველაფერს არისტოტელესეული შეგონებით ახსნიდა, რომელიც 2400 წელია, ასე ჟღერს — **„უსინდისოს სინდისი რომ გაუღვიძო, სილა უნდა გააწნა!“**

მოკლედ, ატყდა ერთი ამბავი...

სოხუმის უნივერსიტეტის რექტორმა, **პროფესორმა ზურაბ ხონელიძემ, რომელიც კეთილშობილი და ეროვნული კაცია,** სიტუაციის განმუხტვა მალე შეძლო, თუმცა, ინციდენტმა შეხვედრას მაინც მძიმე დაღი დაასვა და განწყობა ყველას გაუფუჭა.

**ლადო კახაძეს** ჩვენი დაცვა არ სჭირდება, რადგან მთელი ქალაქი და საქართველო იცნობს და ენა არავის მოუბრუნდება, თქვას, რომ მან სამშობლოს უღალატა! მაგრამ **ნაცპროფესორი ზურაბ პაპასქირი ნამდვილად ღალატობდა საქართველოს, როცა საერთო-სახალხო პროტესტს ზურგი აქცია, სოხუმის სტუდენტობას გაემიჯნა და გულის ფანცქალით დაელოდა იმ დროს, როცა სოხუმში კიტოვანის ტანკებით ედუარდ შევარდნაძე შეგრიალდებოდა!**

დიახ, სწორედ ასე იყო...

1992 წლის 6 იანვრიდან, როცა საქართველოში ბანდიტებმა ეროვნული ხელისუფლება დაამხეს და ზვიად გამსახურდია ქვეყნიდან განდევნეს, სოხუმში მთელი სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლობა გაიფიცა და თავს დატეხილი ეროვნული ტრაგედიის გამო, პროტესტის ნიშნად, სწავლა შეწყდა. **სოხუმის უნივერსიტეტში მხოლოდ შვიდი პროფესორი არ შეუერთდა საერთო პროტესტს, რადგან შვიდივეს ეზიზღებოდა ზვიად გამსახურდია და ყოველღამე ესიზმრებოდა ედუარდ შევარდნაძე.** შვიდ კაცში, რომელთა გვარ-სახელებიც ცნობილია, მაგრამ მიზეზთა გამო ახლა არ დავასახელებ, **ზურაბ პაპასქირი** პირველი იყო, რომელიც სოხუმიდან სწორედ შევარდნაძემ გამოაგდო...

ახლა **ზურაბ პაპასქირს** თავის ნაცსექტანტ და **ძალად პროფესორ შვილთან ერთად** სააკაშვილი, გიული და შიშველი თემურ ჭყონია ესიზმრება და მზად არის, მთელი საქართველო ან გადაბუგოს, ანდა რუსის ჯარს ამოაჟლეტინოს უკრაინაში, ოღონდაც სააკაშვილი დაიხსნას!

**ნათქვამია, ძაღლის კუდი არ გასწორდებაო!** — და სოხუმის უნივერსიტეტშიც, იმ შეკრებაზე, **ზურაბ პაპასქირი** ისევ ედუარდ შევარდნაძის მოსვლას ელოდა, ვინ იცის, იქნებ დაესრულებინა თავისი საძრახისი საქმე.

პროფესორი **ზურაბ ხონელიძე** პატრიოტი კაცია და ინიციატივას ვუქებთ, 30 წლის წინათ ქართველების მიერ შრომა-ახალშენთან ჩადენილი გმირობა რომ არ დაივიწყა! თუმცა, **ვფიქრობთ,**

**არც ნაცპროფესორ ზურაბ პაპასქირისა და მისი „ტრუსიკიანი“ ფიურერის – სააკაშვილის ღალატია დასავიწყებელი, რომლებმაც საქართველოს საზღვრები ენგურთან და სამთავისის მისადგომებთან გადმოიტანეს!**

***დიტო ჩუბინიძე***


ლადო კახაძეს მთელი ქალაქი და საქართველო იცნობს და ენა არავის მოუბრუნდება, თქვას, რომ მან სამშობლოს უღალატა!

## ლადო კახაძე ქალაქელი კაცია, უამრავი პატარა ქართველის სიცოცხლე მის ხელშია ნასათუთები და კარგი ქნა, რომ შარაზე გამომხტარ ნაცპროფესორს არ აჰყვა!

## კვირგვინოსნები

**ვიოლა ფონ კრამონი**
*ევროპარლამენტარი*



ყველა ნიღაბი მოხსნილია — **საქართველოს მოსახლეობა იმსახურებს, გახდეს ევროკავშირის წევრი,** მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა არ იმსახურებს.

„ინტერპრესნიუსი“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



თქვენ, **ქალბატონო ვიოლა ფონ კრამონ,** ვინ მოგცათ უფლება, ქართული სახელმწიფო შეურაცხყოთ და საზოგადოება დაყოთ?! საზოგადოების სახელით ისაუბროთ?! **თქვენ უკვე მერამდენედ შეურაცხყოფთ ქართველ ხალხსა და ქართულ სახელმწიფოს.**

„იმედინიუსი“

**თამარ ჩიბურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ათეული წლის წინ გვითხრა: **„თუკი ოდესმე ფაშიზმი დაბრუნდება მსოფლიოში, დაბრუნდება ლიბერალიზმის სახით“.** დღეს ფაშიზმი დაბრუნდა. **ნინო ლომჯარიას, ხაბეიშვილისა** და სხვა მათი თანამოაზრეების მხრიდან გაკეთებული ღია მოწოდებები განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირების, ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების წინააღმდეგ სხვა არაფერია, თუ არა **ფაშისტური იდეოლოგიის** გამოხატულება.

„იმედინიუსი“

**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



მოვითხოვ ქალბატონი **კელი დეგნანისგან** საჯარო ახსნა-განმარტებას: რით განსხვავდება კანადის საკანონმდებლო ინიციატივა **„რუსული კანონისგან“** და „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული პროექტისგან?

„საქართველოს რესპუბლიკა“

# ირაკლი ზაქარეიშვილი:
# ეს კაცი არის ბიძინა ივანიშვილი!

***ადვოკატი ირაკლი ზაქარეიშვილი ქვეყანაში მიმდინარე უმძიმეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და იმ საფრთხეების შესახებ მიგვანიშნებს, რომელიც საქართველოში მშვიდობასა და სტაბილურობას ემუქრება:***

— თუ საქართველოს ხელისუფლება არ გააკეთებს არჩევანს დასავლეთსა და დამოუკიდებელ პოლიტიკას შორის, თუ მკვეთრად არ შეცვლის საგარეო ვექტორს, მაშინ საქართველოში დღევანდელი მწვავე პოლიტიკური პროცესები ჩვენდა სავალალოდ დასრულდება. კერძოდ, **ამერიკის შეერთებული შტატები თავისი აგენტურის მეშვეობით დაამხობს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას და ქვეყანას ჩაითრევს უკრაინის წინააღმდეგ ომში!** ეს ომი უკრაინაში დიდი ხნის წინათ იყო დაგეგმილი, მაგრამ პუტინმა დაასწრო. სხვანაირად ამერიკელები უბრძანებდნენ უკრაინელებს და დონბასისა და ყირიმის მიმართულებით ერთობლივად შეუტევდნენ!

**— გადატრიალებას ხალხი რომ მხარს არ უჭერს, რანაირად მოახდენენ?**

— ამერიკას საქართველოში გადატრიალების მოსაწყობად მეომრები კი არა, გამოთაყვანებული ხალხი სჭირდება, რაც მას უკვე ჰყავს! დიახ, **კოლექტიურმა დასავლეთმა თავისი ენჯეო-აგენტურისა და უშუალოდ სპეცსამსახურების თანამშრომლების მეშვეობით ხალხის გამოშტერება და გამოთაყვანება მოახერხა და ხელისუფლება კარგა გვარიანადაც შეარყია...** ხომ ვნახეთ, საზოგადოების ნაწილი ისე ჰყავთ დამონებული და ზომბირებული, ამერიკულ კანონზე ხალხს აძახებინეს, რუსულიაო! დასავლეთს აქ სჭირდება მხოლოდ ტერიტორია და მომსახურე მასა, დანარჩენი ხალხი უნდა გაიკრიფოს და ქვეყნიდან წავიდეს, რაც კეთდება კიდეც! ხალხი საწყენად ნუ მიიღებს, რასაც ახლა ვიტყვი: **2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებს სააკაშვილი არ დათმობდა. სააკაშვილსა და მერაბიშვილს გამზადებული ჰყავდათ შეიარაღებული ძალები, სპეცრაზმი, „ბოევიკები“, პოლიცია, ზონდერები და ადმინისტრაციული რესურსი, რათა ხალხის პროტესტი ჩაეხშოთ!** ეს ასეც მოხდებოდა და დასავლეთს მომხდარზე არავითარი განსაკუთრებული რეაქცია არ ექნებოდა, მაგრამ ამერიკაში კლინტონების პოლიტიკურ კლანზე ვიღაცამ სერიოზულად იმუშავა და ისინი გადმოიბირა, რათა ხმა აემაღლებინათ და სააკაშვილის ჯალათების მიერ ქართველი ხალხის გვამებზე გადავლა არ დაეშვათ!

**— ვინ არის ეს „ვიღაცა“?**

— ეს კაცი არის **ბიძინა ივანიშვილი,** რომელმაც, ჩემი ინფორმაციით, ძალიან დიდი რესურსი გაიღო იმისათვის, რათა ქართველი ხალხის გამარჯვება საერთაშორისო საზოგადოების წინაშე დაეფიქსირებინა! სწორედ ამის შედეგად მოხდა ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ თავისი მონა-მორჩილი სააკაშვილის ხელისუფლება გვერდზე გასწია და „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში მოსვლის ნება დართო! სამაგიეროდ, სააკაშვილი და მისი ბანდა გადაისროლეს უკრაინაში, სადაც მას შეუქმნეს ბრწყინვალე პლაცდარმი და დაუსაქმეს მთელი ხროვა.

**— ახლა ისევ სააკაშვილის უკან მოტრიალება უნდათ?**

— დიახ, **ახლა უნდათ, სააკაშვილი და ნაცმოძრაობა ისევ უკან მოატრიალონ, რათა საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ომში გახვიონ!** ამის გასაკეთებლად მათ საჭირო დესანტი უკრაინიდან უკვე გადმოსროლილი ჰყავთ!

**— ვინ არის ეს ხალხი?**

— **ესენი არიან უკრაინაში მებრძოლი ნაცები, რომლებიც 7-8 მარტის მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე საქართველოში შემოვიდნენ.** სულ ლაპარაკია ათას კაცზე, რომელიც, ჩემი ინფორმაციით, ხუთ დივერსიულ ჯგუფად არის დაყოფილი... უკრაინიდან შემოსული ხუთი დივერსიული ჯგუფიდან სამი თბილისშია, ერთი — ქუთაისში, ხოლო ერთიც — ბათუმში!

**— ამ ჯგუფებს შეიარაღება აქვთ?**

— დიახ, აქვთ!

**— საიდან, როგორ?**

— **შეიარაღება მათ აქვთ სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ახალაიების მიერ დატოვებული სამალავებიდან და კასრებიდან, რომელიც საქართველოში იმდენი აქვთ დამარხული, ღმერთმა უწყის.**

**— უშიშროებამ ამის შესახებ არ იცის?**

— ყველაფერი კარგად იციან! ამ დღეებში ვინ შემოვიდა საქართველოში უკრაინიდან ნამდვილი პასპორტით და ვინ ყალბით, ისიც იციან, მაგრამ განიცდიან ამერიკის უდიდეს პოლიტიკურ ზეწოლას და ჯერჯერობით ხელს ვერავის ჰკიდებენ! ვერ აპატიმრებენ ვერც ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილების“ მსროლელებსა და დამამზადებლებს... **ირაკლი ღარიბაშვილმა სწორად დასვა შეკითხვა — „მოლოტოვის კოქტეილები“ რუსთაველზე როგორ აღმოჩნდა? ის ხომ იქ ვიღაცამ მიიტანა? აგენტურა რას აკეთებდა, საქართველოს დაზვერვა და კონტრდაზვერვა საერთოდ ჰყავს?**

**— რა იქნება აწი?**

**– ესენი არ მოისვენებენ! გამორიცხულია, გაჩერდნენ, რადგან ამერიკისაგან დავალება აქვთ მიღებული, მოაწყონ გადატრიალება!**

ხომ ხედავთ, ამერიკის ხელის აქნევაზე მთელი ევროსტრუქტურები დაუპირისპირდნენ საქართველოს ხელისუფლებას, არყევენ სიტუაციას და მხარს უჭერენ ნაცსექტას. ახლა ცდილობენ, ხელისუფლება დაიყოლიონ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე, თუ არადა, მერე ისევ მისცემენ ნიშანს და ისევ დაიწყებენ ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლას. თუ ამანაც არ გაჭრა, მერე უკვე ასპარეზზე გამოუშვებენ თავიანთ გაწვრთნილ იმ **ათას კაცს,** რომელიც საქართველოში შემოიყვანეს და პირდაპირ ტყვიით დაიწყებენ გადატრიალებას!

**— რა უნდა ვქნათ, ეს რომ არ მოხდეს?**

— ეს რომ არ მოხდეს, ხალხი უნდა გამოვიდეს ქუჩაში, დაგმოს მოსალოდნელი სახელმწიფო გადატრიალება და მოითხოვოს რეფერენდუმის უფლება, რომელიც ამერიკელებმა ჩამოგვართვეს! კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **მთელი ეს ძიძგილაობა და ხელისუფლების რყევა ემსახურება ერთადერთ მიზანს — საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ომში უნდა ჩაითრიონ!** რუსეთის წინააღმდეგ ომში მოლდოვის ჩათრევას არ ჩქარობენ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს ვერ მოუხერხეს ჯერჯერობით ვერაფერი. **როგორც კი ჩვენთან ხელისუფლებას შეცვლიან და ომში გაგვხვევენ, მოლდოვის ბედიც მაშინვე გადაწყდება და ისიც რუსეთის წინააღმდეგ აღმოჩნდება სისხლიან ბრძოლაში.** ის, რომ **ვიქტორ ყიფიანის** თემა შემოაგდეს, არასერიოზულად არ უნდა აღვიქვათ. ამერიკელები ყველაფერს ტესტავენ და სინჯავენ... ხომ გეუბნებით, ახლა მთავარია, ქართველმა ხალხმა დააფიქსიროს თავისი ნება და მთელ მსოფლიოს დაანახოს, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას არ დაუშვებს! **მხოლოდ ეს თუ გადაგვარჩენს, თორემ იცოდეთ, ამ ხელისუფლებას დაამხობენ და ქვეყანას რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩააბამენ!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



**„ამერიკას საქართველოში გადატრიალების მოსაწყობად მეომრები კი არა, გამოთაყვანებული ხალხი სჭირდება!“**

**„უკრაინიდან შემოსული ხუთი დივერსიული ჯგუფიდან სამი თბილისშია, ერთი – ქუთაისში, ხოლო ერთიც – ბათუმში!“**



**„ეს რომ არ მოხდეს, ხალხი უნდა გამოვიდეს ქუჩაში, დაგმოს მოსალოდნელი სახელმწიფო გადატრიალება და მოითხოვოს რეფერენდუმის უფლება, რომელიც ამერიკელებმა ჩამოგვართვეს!“**



**„ის, რომ ვიქტორ ყიფიანის თემა შემოაგდეს, არასერიოზულად არ უნდა აღვიქვათ. ამერიკელები ყველაფერს ტესტავენ და სინჯავენ!“**

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



**კობახიძეები, მდინარაძეები, ოხანაშვილები** ნამდვილად აღარ იქნებიან ახალ სიაში. ეს ხალხი ბორტს მიღმა აღმოჩნდება. **ვიქტორ ყიფიანი გახდება პარტიის თავმჯდომარე** და ძირითადად მისი გუნდით დაკომპლექტდება სიაც. რა თქმა უნდა, სიას თავიდან ბოლომდე **ივანიშვილი** დააკომპლექტებს ან შეათანხმებს მასთან.

ხელისუფლებამ **გონივრული და დროული გადაწყვეტილება** მიიღო, როდესაც უკან დაიხია. საათები გვაშორებდა კრიტიკულ ზღვარს, რომლის იქით უკვე ფართომასშტაბიანი დაპირისპირება იყო.

„ახალი თაობა“

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



ძალიან მალე დავინახავთ, რომ **არამხოლოდ კანადა, ყველა ევროპული ქვეყანა ეტაპობრივად მიიღებს უცხო ქვეყნიდან მომავალი თანხების აღრიცხვის შესახებ,** თუ არადა, კონტროლის შესახებ კანონს.

„იმედინიუსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ჩვენ ხომ გავიწვიეთ ეს კანონპროექტი, ხომ ამბობდნენ, გამჭვირვალე ვართო და **გამოაქვეყნონ ახლა, საიდან ფინანსდებიან არასამთავრობო ორგანიზაციები.**

„პირველი არხი“

**გიორგი გობრონიძე**
*საერთაშორისო საკითხების ექსპერტი*



მე არ ვიზიარებ კონსპირაციებს იმის თაობაზე, რომ **ეს არის კრემლისგან, პუტინისგან ან კიდევ ვიღაც სხვისგან ნაკარნახევი კანონი,** არა, ის „ქართული ოცნების“ ლიდერების გუმანის ნაყოფია.

„კვირის პალიტრა“

დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2023 წლის №12

**2009-2011 წლებში ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმეზე პარლამენტში დროებითმა სპეციალურმა კომისიამ იმუშავა, რომელსაც დეპუტატი კონსტანტინე გამსახურდია ხელმძღვანელობდა. მუშაობის დასრულების შემდეგ მიღებულ იქნა დადგენილება, რომლითაც პარლამენტი მიმართავდა მთავარ პროკურატურას, „სათანადო რეაგირება“ მოეხდინა საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების საქმეზე გამოვლენილ „ახალ ფაქტებსა და გარემოებებზე“.**



# იგორ გიორგაძე:

# ვიცი, ჩახმახს თითი ვინც გამოჰკრა! მაგრამ არ ვიცი, რა მოტივაციით ჩაიდინა!

## სწორედ ასეთი დეტალების დასადგენად არის აუცილებელი პოლიგრაფი!

*გამსახურდიას ოჯახმა ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2014 წელს, მთავრობას გამოძიების დასრულების თხოვნით მიმართა. წერილში გამსახურდიები აღნიშნავდნენ, რომ ყოფილმა მმართველმა ძალამ — ნაციონალურმა მოძრაობამ — არ გამოავლინა პოლიტიკური ნება, მსვლელობა მისცემოდა ქვეყნის პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების გარემოებათა გამოძიებას.* ***მოგვიანებით საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საქმე გადააკვალიფიცირა და გამოძიება „განზრახ მკვლელობის“ მუხლით დაიწყო, თუმცა, საქმე არც ამჯერად წასულა წინ და დღემდე კონკრეტულად არაფერია გარკვეული.***

*და აი, მიმდინარე წლის დეკემბერში იწურება საბოლოო ვადა, რომელშიც თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ფუძემდებლის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების დღემდე იდუმალებით მოცული გარემოებების გამოძიება უნდა დასრულდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში,* ***საქმე ხანდაზმულობის გამო სამუდამოდ დაიხურება*** *და მომავალი თაობები ვერასოდეს შეიტყობენ, ვინ და რა მოტივაციით მოკლა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტი.*

***უშიშროების ყოფილ მინისტრთან, გენერალ-ლეიტენანტ იგორ გიორგაძესთან ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაბეჭდილმა ინტერვიუს პირველმა ნაწილმა მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. იგორ გიორგაძე სამშობლოდან პოლიტიკურ დევნილობაში იმყოფება და ქართულ მედიასთან, რომელიც მის მიმართ ცილისწამების მაღალი ხარისხით გამოირჩევა, კომუნიკაცია გაწყვეტილი აქვს, თუმცა, მაღალი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით დაუყოვნებლივ დამთანხმდა სატელეფონო ინტერვიუზე, როგორც კი შეიტყო, რომ საუბარი ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებებს უნდა შეხებოდა. მკითხველს ეხსომება, ინტერვიუს პირველი ნაწილი დასრულდა იგორ გიორგაძის განცხადებით, რომ მისთვის ცნობილია ზვიად გამსახურდიას მკვლელის ვინაობა და საუბარს ზუსტად ამ ეპიზოდიდან ვაგრძელებთ:***

*„1 დეკემბერს, ღამით, დაახლოებით 2 საათზე, გავიგონე გასროლის ხმა (მე და ჩემს მეუღლეს პირველ სართულზე გვეძინა). ვიფიქრე, „შკაფი“ ხომ არ დაეცა-მეთქი. უცებ ზემოდან შემომესმა ყვირილი — კარლო ბიძია, პრეზიდენტმა თავი მოიკლაო. მაშინვე მაღლა ავვარდი. დავინახე, რომ სამივე —* ***ბესო გუგუშვილი, ბაჩუკი გვანცელაძე და რობიზონ მარგველანი*** *— კედელს თავს ურტყამდა. ოთახში მხოლოდ ერთი ლამპა და სანთელი ენთო. ბიჭებმა მთხოვეს, გააპატიოსნეო, მაგრამ ცუდად გავხდი, მერე, როგორც იქნა, მივედი მიცვალებულთან და გავაპატიოსნე. ტყვიის მასრა მაშინვე იპოვეს, თუმცა, რომელმა აიღო, არ მახსოვს. ტყვიის გულას მოძებნა ვერ შეძლეს. პრეზიდენტის ხელში იარაღი არ შემინიშნავს“,* — ასე იხსენებდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის უკანასკნელი მასპინძელი, ხიბულელი **კარლო ღურწკაია** 1993 წლის 31 დეკემბრის ღამის ტრაგიკულ მოვლენას“.

**— ბატონო იგორ, თქვენთვის ცნობილია მკვლელების ვინაობა?**

— დიახ, ცნობილია! ზვიად გამსახურდიას დაღუპვის ინფორმაციის მომწოდებელი გამოცდილი ოპერატიული მუშაკი იყო, მის მიერვე მოპოვებული ინფორმაცია ტექნიკურადაც გაამყარა აუდიოჩანაწერით, რაც მაძლევს საშუალებას, თქვენს კითხვაზე დაბეჯითებით გიპასუხოთ. სამწუხაროდ, საქართველოდან ჩემი იძულებითი გამგზავრების შემდეგ ამ ინფორმაციის და აუდიოჩანაწერის ბედიღბალი ჩემთვის უცნობია. თანაც, მოგეხსენებათ, რომ ყოველი ახალი ხელისუფლება, პირველ რიგში, არქივში იქექება და, ღმერთმა უწყის, ვინ და რა პირობებში ჩაიგდო ეს მასალები ხელში. ამას გარდა, მე სხვა პიროვნებებისგანაც მივიღე უფრო დეტალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, თუმცა, არც თავდაპირველი და არც მეორე ინფორმაციის ჩემთვის მომწოდებლები ამჟამად ცოცხლები აღარ არიან. ამიტომ საქართველოსთვის ისტორიულად ასეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე **„ამან თქვა, იმან თქვა“-ს დონეზე ვერ ვისაუბრებ.** ჩემგან არასერიოზული იქნება, ასეთი მნიშვნელობის ინფორმაციის წყაროდ გარდაცვლილი ადამიანები დავასახელო, რომლებიც ჩემს ნათქვამს ვერ დაადასტურებენ.

**— არადა, გამოძიებისთვის ამას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ექნებოდა...**

— ზაზა, 1995 წლიდან ჯერ ინტერპოლით მეძებდნენ. 2016 წელს იმავე ინტერპოლმა, როგორც კი დეტალურად გაეცნენ ჩემს საქმეს, ძებნიდან მომხსნა, რადგან ჩემ მიმართ პოლიტიკურ დევნაში დარწმუნდნენ. **რათა ერთხელ და სამუდამოდ გამერკვია, რას მედავებიან საქართველოს მმართველები — შევარდნაძით დაწყებული და დღევანდელი ხელისუფლებით დამთავრებული — 8 წლის წინ საკუთარი ინიციატივით მივაღწიე, რომ ჩემი საქმე სასამართლოს განეხილა.**

8 წლის განმავლობაში ჩემ მიმართ განაჩენი არ დამდგარა! არ ვსაუბრობ გამამართლებელ განაჩენზე! მაგრამ ვერც გამამტყუნებელი გამოაქვთ! მაპატიეთ, მაგრამ პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, **არ მაქვს იმედი, რომ ამ ხელისუფლების პირობებში ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამოძიება ობიექტურ დასასრულამდე მივა!** შედეგი ვერ დადგება, რადგან მოსამართლეების, ასევე უშიშროების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის გამომძიებლების მნიშვნელოვანი ნაწილი წინა ხელისუფლების პირობებშიც მოღვაწეობდნენ და მათ ხელში მოხვედრილი ნებისმიერი მასალა შეიძლება გაყალბდეს! ამასთან ერთად, მე დღემდე ვერ ვხედავ საკმარის პოლიტიკურ ნებას...

**— თქვენ გარდა, მკვლელის ვინაობა ვინ შეიძლება იცოდეს?**

— ჩემ გარდა, მკვლელის ვინაობა მინიმუმ, ოთხმა ადამიანმა იცის — მაგალითად, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების პრემიერ-მინისტრმა **ბესარიონ გუგუშვილმა,** რომელიც ახლა ფინეთში ცხოვრობს. დიახ, 99 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ მან სიმართლე იცის, მაგრამ, როგორც ვგებულობ, დღემდე ირწმუნება, რომ ზვიად გამსახურდიამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა! მე ვერ გამოვდგები ამ ინფორმაციის საპირწონედ, რადგან, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩემი ინფორმაციის წყაროები ცოცხლები აღარ არიან და მათ ვეღარ დავეყრდნობი! ამის მიუხედავად, იმედს ბოლომდე არ გადავიწურავ — **შეიძლება კიდევ არსებობდეს რაიმე კვალი, შეიძლება, იმ ადამიანებმა, ვინც ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებ შემატყობინეს, რაღაც ხელჩასაჭიდი დატოვეს კიდეც...** მოსკოვში ჩემთან სტუმრად სხვადასხვა დროს იმყოფებოდნენ დროებითი სპეციალური კომისიის თავმჯდომარე **კონსტანტინე გამსახურდია** და ზვიად გამსახურდიას დაღუპვის გარემოებათა საგამოძიებო საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე **მიხეილ ოსაძე,** რომელმაც თავის დროზე საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა. გავიარეთ ყველა დეტალი, ვიდეოჩანაწერიც გავაკეთეთ, დაბრუნდა თბილისში, გამოაქვეყნა ანგარიში, მაგრამ შედეგი არ დამდგარა.

**— თანაც, მიხეილ ოსაძე მალევე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ცოცხლები აღარ არიან გია გულუა და ავთანდილ იოსელიანი. ეს რამეზე ხომ არ მიგვანიშნებს?**

— დიახ, **მიხეილ ოსაძე** — 67 წლის ასაკში, ხოლო **ავთანდილ იოსელიანი** 57 წლის ასაკში გარდაიცვალნენ, როცა საქართველოს ხელისუფლებაში სააკაშვილი იყო. არ მინდა, მათი გარდაცვალება ზვიად გამსახურდიას მკვლელობის მათთვის ცნობილ ინფორმაციებს დავუკავშირო, უბრალოდ, ფაქტი აღვნიშნე, რადგან მათი გარდაცვალების მიზეზი ხანდაზმულობა ნამდვილად არ ყოფილა.

რაც შეეხება **გია გულუას,** ის 38 წლის ასაკში, 1994 წლის 20 აპრილს, ორ თანმხლებ პირთან ერთად, თბილისში, ნუცუბიძის პლატოზე, საკუთარ სახლთან, რამდენიმე შეიარაღებულმა პირმა ჩაცხრილა. ეს ცალკე ისტორიაა.

მე და **გია გულუა** „თბილისის ომის“ პერიოდში დავახლოვდით. იგი შევარდნაძის ფავორიტი გახლდათ და **შოთა კვირაია** მას შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე კონკურენტად მოიაზრებდა. გია გულუა არც „მხედრიონს“ ეხატებოდა გულზე.

**უკვე უშიშროების მინისტრი ვიყავი, როცა გია გულუა ვიხმე და ვუთხარი — ფრთხილად იყავი, შენ გარშემო შექმნილი სიტუაცია არ მომწონს-მეთქი.** — მაგას მეც ვხვდები და თუ რამე დამემართება, შვილებს მიმიხედეო. აქედან ერთი თვეც არ გასულა და გია გულუა ჩაცხრილეს.

ამჟამად ჩემამდე აღწევს ინფორმაციები, რომ **გია გულუას** საზოგადოების ნაწილი ზვიად გამსახურდიას მკვლელად მიიჩნევს, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, მისი ლიკვიდაცია არ უნდა უკავშირდებოდეს ზვიად გამსახურდიას მკვლელობის კვალის მიჩქმალვას. **გია გულუა** ნამდვილად ძალიან აქტიურად მონაწილეობდა დევნილი ზვიად გამსახურდიას ძებნაში, მეტსაც გეტყვით — ყველაზე სწორი ოპერატიული ინფორმაციები პრეზიდენტის სამყოფლის შესახებ მას გააჩნდა! მაგრამ **ზვიად გამსახურდიას მკვლელობას გია გულუას ვერ დავაბრალებ!**



**„ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებებთან დაკავშირებით გამოკითხულმა რომელიმე პირმა თუ გაიარა ტესტი პოლიგრაფზე?“**

# „კაკო ელიავა ზესტაფონში დახვრიტეს პირადად შევარდნაძის მითითებით!“



## „შევარდნაძემ აკაკი ელიავას ჩემი ლიკვიდაცია დაავალა, რაც მან არ შეუსრულა!“

აკაკი ელიავა

**— 2009 წლის 13 ნოემბერს, ანუ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, საკუთარ სახლში მეუღლესთან ერთად კლავენ კანონიერი ხელისუფლების უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს, გენერალ-მაიორ თამაზ ნინუას. ეს ხომ არ არის დაკავშირებული ზვიად გამსახურდიას მკვლელობის კვალის მიჩქმალვასთან?**

— მე და **თამაზ ნინუა** მეგობრები ვიყავით. ის მე-7 სამსახურს ხელმძღვანელობდა, მე — მე-2-ს. როდესაც გადატრიალება ხდებოდა, ვინაიდან უშიშროების შენობას ცეცხლი ეკიდა, ჩვენ გადავედით სადგურის მიდამოებში, უშიშროების სატრანსპორტო სამმართველოს განყოფილების შენობაში. **თამაზ ნინუა** მაშინ უშიშროების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი იყო. გადატრიალების დროს დაიჭირა ნეიტრალური პოზიცია, რაშიც დიდი წვლილი მიგვიძღვის მე და უშიშროების კიდევ ორ თანამშრომელს. პოზიცია იყო ასეთი — **ჩვენ არ ვართ ჯარი, არ ვართ პოლიცია, ჩვენ არ გვყავს სამხედრო ქვედანაყოფები, არ შეიძლება, უშიშროება კანონიერ პრეზიდენტს იარაღით ან ინფორმაციებით დაუპირისპირდეს! უშიშროება არ არის კრიმინალური დაჯგუფება, არამედ ტრადიციების მქონე სამსახურია და თუ ჩარევა და დახმარება არ შეგვიძლია, მტრად მაინც არ უნდა გავუხდეთ ხელისუფლებას!**

გულახდილად გეტყვით, არ მომწონდა, რომ **თამაზ ნინუა** თავს არიდებდა ზარებზე პასუხს, როდესაც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მას ბუნკერიდან დახმარების თხოვნით უკავშირდებოდა — უთხარით, რომ არ ვარ ადგილზეო — ავალებდა თანამშრომლებს, რათა მისგან რაიმე დავალება არ მიეღო... აქვე იმასაც გეტყვით, რომ ბუნკერში მყოფი ზვიად გამსახურდიას დავალებით, ჩემზე გამოვიდა უშიშროების ოპერატიულ-ტექნიკური სამსახურის უფროსი **ალექსანდრე (საშა) მაისურაძე,** რომელიც პრეზიდენტს აქტიურად ეხმარებოდა და მითხრა — პრეზიდენტი გიბარებსო. ვუპასუხე — ბუნკერში არ შევალ-მეთქი და მთავრობის სახლში შეხვედრაზე დავთანხმდი. შევედი ალყაშემორტყმულ მთავრობის კანცელარიაში, სადაც შევხვდი მაშინდელ პრემიერ-მინისტრ **ბესარიონ გუგუშვილს,** რომელიც ახლა ფინეთში იმყოფება, მასთან ერთად იყო **არმაზ სანებლიძე.** მათ გადმომცეს პრეზიდენტის თხოვნა.

**— რა გთხოვეს?**

— ვიდრე ამას მოგახსენებთ, მინდა, მკითხველმა გაიაზროს ჩემი მდგომარეობა — მიბარებს პრეზიდენტი, რომელმაც ცოტა ხნით ადრე ვიღაცის ენის მიტანის საფუძველზე **„კრემლის აგენტების შავ სიაში“** ჩამწერა! რაც შეეხება პრეზიდენტის თხოვნას, რომელიც **ბესარიონ გუგუშვილმა** გადმომცა, იყო ძალზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო: **მე ფოთში** (სადაც ადრე უშიშროების უფროსად ვმუშაობდი) **უნდა დავხვედროდი რუმინეთიდან მომავალ გემს, რომელიც კანონიერი ხელისუფლების შესყიდული საბრძოლო იარაღით იყო დატვირთული!** უყოყმანოდ ვუპასუხე, რომ თხოვნა მიღებულია და შესასრულებლად მეორე დღესვე ჩემს რაზმთან ერთად ფოთისკენ გავეშურე, მაგრამ ამაოდ — გემის კაპიტანს შეუტყვია, რომ საქართველოს დედაქალაქში სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა და იარაღი, რაც მას ხელისუფლებისთვის მოაქვს, შესაძლოა, ხელში ჩავარდნოდა ზვიად გამსახურდიას მტრებს. ამიტომ მარშრუტი შეცვალა და გემი ფოთის ნაცვლად ბათუმში შეიყვანა. ამიტომ გზიდან უკან მოვბრუნდი. ბათუმში ნამდვილად ვერ შევაღწევდი — იქაურობას რუსეთის დივიზია და ასლან აბაშიძის შეიარაღებული ჯგუფები იცავდნენ, ანუ ისე გამოვიდა, რომ ეს იარაღი დარჩა **ასლან აბაშიძეს,** რომელმაც **ჯაბა იოსელიანს** გაუნახევრა ტვირთი და სწორედ ამ რუმინული ავტომატებით დარბოდნენ მაშინ მხედრიონელები.

**— დავუბრუნდეთ მთავარ თემას — რა ხდება მას შემდეგ, რაც ავთო იოსელიანს პრეზიდენტის თვითმკვლელობის ინფორმაცია და ცხედრის ფოტო ჩამოაქვს?**

— როგორც იტყვიან, სახელდახელოდ იქმნება ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გამომძიებელი სამთავრობო კომისია. მისი თავმჯდომარე გახლდათ მაშინდელი ვიცე-პრემიერი **ავთანდილ მარგიანი,** კომისიის წევრები, როგორც მახსოვს, იყვნენ გენერალური პროკურორი, შინაგან საქმეთა მინისტრი, ჯანდაცვის მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, სასაზღვრო ჯარების უფროსი... ამ კომისიის შემადგენლობა, რომელშიც მეც შემიყვანეს, არ არის გასაიდუმლოებული და ფართო საზოგადოების წინაშე მისი ამოწევა არ უნდა იყოს პრობლემა. სხდომაზე ითქვა, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა და კომისიის წევრებს ეს „დასკვნა“ სათითაოდ წარუდგინეს, შესაბამისად, ყველამ მოაწერა ხელი, მაგრამ, როდესაც ჩემი ჯერი დადგა, კომისიის თავმჯდომარეს მივმართე: — **ბატონო ავთანდილ!** (ვმეგობრობდით, მაგრამ ოფიციალურ სიტუაციაში თქვენობით ვსაუბრობდით) — **უნდა მაპატიოთ, მაგრამ მე ამ დასკვნას ხელს არ ვაწერ, მეტიც — მოვითხოვ საერთაშორისო დონის ექსპერტიზას, რადგან ექსპერტიზის დასკვნის გარეშე პრეზიდენტის ცხედრის მიწისთვის მიბარება დაუშვებელია-მეთქი!** მარგიანმა იქვე აიღო ყურმილი და შევარდნაძეს დაურეკა — ჩვენი პატივცემული, ბატონი **იგორ გიორგაძე** ხელს არ აწერსო. — ვიცი გიორგაძის პოზიციაო, — მიუგო შევარდნაძემ.

**— საიდან იცოდა?**

— ვიდრე ეს კომისია შედგებოდა, შევარდნაძეს ჯერ დავურეკე, მერე კი შევხვდი. მაშინ ვუთხარი — **ბატონო ედუარდ, სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება აუცილებელია, თუ ასე არ მოხდება, თქვენ დაგბრალდებათ და ისტორიაში სამუდამოდ შეხვალთ, როგორც პრეზიდენტის მკვლელი-მეთქი.** ეს ვუთხარი იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე თვის წინ პრეზიდენტის ლიკვიდაციის ირიბი მითითება პირადად მომცა! თურმე, მას ისიც გათვლილი ჰქონია, რომ ეს მკვლელობა მე დამბრალებოდა, რის მერეც, ალბათ, მომიშორებდნენ და შევარდნაძე გმირად შევიდოდა ისტორიაში.

**— მერე, ხალხი დაიჯერებდა ამას?**

— რა თქმა უნდა! მე თუ არა, აბა, სხვას კიდევ ვის შეეძლო, მოეკლა ზვიად გამსახურდია?! **გიორგაძე... მოსკოვი... კრემლი... სპეცდანიშნულების რაზმი „ალფა“... ავღანეთში გიორგაძის ჩატარებული სპეცოპერაციები...** აბა, ვინ არ დაიჯერებს, ხედავთ, როგორი მყარი ჯაჭვი იკვრება?

**შევარდნაძე იტყოდა, რომ სურდა, კანონის ძალით დაეპატიმრებინა გამსახურდია, მაგრამ გიორგაძემ კრემლის დავალებით დაასწრო და დაპატიმრების ნაცვლად მოკლა! მერე, ალბათ, მეც ჩამცხრილავდნენ და ხელს ზვიად გამსახურდიას მომხრე, ტყეში გაჭრილ რაზმებს შეაწმენდნენ.**

აქვე უნდა გითხრათ, რომ **კაკო ელიავა** ზესტაფონში დახვრიტეს პირადად შევარდნაძის მითითებით!

**— ახლა რად გაგახსენდათ ელიავას დახვრეტის ამბავი?**

— შევარდნაძემ **აკაკი ელიავას** ჩემი ლიკვიდაცია დაავალა, რაც მან არ შეუსრულა! მე გავუშიფრე შევარდნაძეს ეს ვერაგული ჩანაფიქრი, როცა ერთმა ჩემმა თანამშრომელმა, რომელიც ადრე აფხაზეთის უშიშროებაში მუშაობდა, გადმომცა **კაკო ელიავასთან** მისი დიალოგის ფარული ჩანაწერი. თვითონ ესაუბრებოდა, თან ფარულად იწერდა. ელიავა ეუბნებოდა — *„იგორ გიორგაძე რა მაგარი ტიპია, როცა უშიშროების მინისტრად მუშაობდა, მე ტყეში ვიყავი გასული... მან კაბინეტში დამიბარა და მითხრა, შენთან მოლაპარაკება მინდა, ტყიდან უნდა გამოხვიდე და ცოტა ხნით ციხეში ჩაჯდე, მერე კი თავისუფალი იქნები. ამ შეთავაზებას თუ არ დათანხმდები, ჩემს კაბინეტში არ დაგაპატიმრებ და ციხეში არ ჩაგაგდებ, როგორც მოხვედი, ისე თავისუფლად გაგიშვებ შენს ბანაკშიო“.* მართალს ამბობდა კაკო. ეს ის პერიოდია, როდესაც ტყეში გაჭრილი ზვიადისტური შეიარაღებული რაზმები ტყიდან გამოგვყავდა, მარტო ელიავა კი არა, გურიაში **სოსო ულენტიც** ასე შემოვირიგეთ.

მოკლედ, **კაკო ელიავა** აგრძელებს საუბარს ჩემს თანამშრომელთან და ეუბნება: ასეთი

გაგრძელება მე-12 გვერდზე



ჯოხარ დუდაევი



**„შევარდნაძის უფროსი იყო ვაშინგტონი და არავითარ შემთხვევაში იგი ჯოხარ დუდაევის განკარგულებას არ დაემორჩილებოდა!“**

დასაწყისი მე-10 გვერდზე



# „ყველასთვის უპრიანი იქნებოდა, თუ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა იგორ გიორგაძეს დაბრალდებოდა!“

რაინდული საქციელის გამო იგორ გიორგაძეს მადლობა იმით გადავუხადე, რომ შევარდნაძის დავალება არ შევასრულეო. თანამშრომელი, რომელიც მის საუბარს ფარულად იწერს, ეუბნება — აშკარად იგონებ, ასე არ იქნებოდაო! — სიმართლეს ვამბობ, **შოთა კვირაიამ** გამომიძახა და მითხრა: ამა და ამ დღეს **იგორ გიორგაძე** ამა და ამ მატარებლის სპეცვაგონით ფოთში მიემგზავრება და შესაძლებლობა გექნება, შენი რაზმის დახმარებით გაანადგუროო. მართლაც, **კვირაიას** მიწოდებული ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამებოდა.

**ელიავას კვირაიასთვის მიუგია** — უშუალოდ შევარდნაძემ დამავალოს და მერე მივხედავ მაგ საქმესო. როგორც ფარულ ჩანაწერში **ელიავა** ყვება, **კვირაიას** იგი მართლაც მიუყვანია შევარდნაძესთან. მას კი, თავის მხრივ, ელიავასთვის უთქვამს — ვიცი, რის გამოც ხარ მოსული, რასაც **შოთა კვირაია** გეტყვის, ყველაფერი ჩემთან არის შეთანხმებულიო!

აი, ეს იყო მიზეზი! ელიავა ხომ შევარდნაძემ დასავლეთ საქართველოში შინაგანი ჯარების უფროსად დანიშნა. იცით, **ეს სწორედ ის დღე იყო, როდესაც ელიავამ ჩემთან კაბინეტში შემორიგების წინადადებაზე უარი თქვა — „არ გეწყინოთ, ბატონო იგორ, ჩემს ტყეში მირჩევნიაო“ და მე, დათქმისამებრ, კაბინეტიდან ხელუხლებლად გავუშვი...** სენაკამდე ჩასული არ იყო, რომ ტელევიზიამ გამოაცხადა: შევარდნაძის ბრძანებით, **აკაკი ელიავას** პოდპოლკოვნიკის წოდება მიენიჭა და შინაგანი ჯარების უფროსად დაინიშნაო. ხედავთ, როგორ მართავდა მოვლენებს?! მე ციხეში ჩაჯდომა შემათავაზებინა და თავად კი ეუბნება — ჩვენი კაცი ხარო!

**— შევარდნაძემ თუ შეიტყო, რომ მისი ვერაგობის შესახებ ინფორმაცია გქონდათ?**

— ეს ფარული ჩანაწერი ტექნიკურ განყოფილებაში გავაშიფვრინე, ფურცელზე გადავიტანე, ფურცლის თავში მივაწერე: **„სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს. ასლი — გენერალურ პროკურორს“.** მერე ეს ფურცლები წინ დავუდე და სკამზე ჩამოვჯექი. წაიკითხა... უკან მიბრუნებს და მეუბნება — კიდევ გაქვს რაიმე ჩემთვის მოსახსენებელიო?

— არა-მეთქი, მივუგე. ამოვიღე კალამი და ფურცელს დემონსტრაციულად მივაწერე: **მოხსენდა სახელმწიფოს მეთაურს ამა და ამ დღეს** (კაბინეტში საათს შევხედე და დროც მივაწერე)... **ამა და ამ დროს.** მერე მისი კაბინეტი დავტოვე. ფაქტობრივად, ხელი დავადე, როგორც მკვლელობის დამკვეთს და თან ვანიშნე, რომ ასლი უკვე დევს გენერალურ პროკურორთან.

**— კეთილი. დავუბრუნდეთ შევარდნაძესთან თქვენს საუბარს ზვიად გამსახურდიას ცხედრის ექსპერტიზის თაობაზე. თუ შევარდნაძე მკვლელობის დამკვეთია, მან ყველაზე უკეთ იცის, რომ ზვიადმა თავი კი არ მოიკლა, არამედ მოკლულია. თქვენ კი მისგან დაჟინებით მოითხოვთ ექსპერტიზის ჩატარებას და ექსპერტიც ჩამოყვანილი გყავთ... როგორ აირიდა ექსპერტიზის ჩატარება?**

— როცა უშუალოდ ვესაუბრე, მიპასუხა — **მე კი მესმის, რომ ექსპერტიზის ჩატარება აუცილებელია, მაგრამ გამსახურდიას ოჯახი არის ექსპერტიზის კატეგორიული წინააღმდეგი, მისი ცოლი ამბობს — არავითარ შემთხვევაშიო!**

ვეუბნები — ბატონო ედუარდ, თქვენი გამოცდილების კაცი, **„ცოლმა მითხრა“** საბაბით ექსპერტიზაზე უარს ამბობთ? აკი, საუბარია საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის მკვლელობაზე ან თვითმკვლელობაზე, რისი დადგენაც ექსპერტიზის გარეშე შეუძლებელია! მე პირადად ჩამოვიყვან საერთაშორისო დონის ექსპერტს-მეთქი! არ მინდა ახლა საუბრის თემას გადავუხვიო, მაგრამ, როდესაც, სხვათაშორის, შევარდნაძის დავალებით, მივლინებით მოსკოვში ვიმყოფებოდი, ერთ გერმანელ ექსპერტთან მომიწია შეხვედრა და თბილისში წამოვიყვანე, ერთად ვიფრინეთ... არ მიაკარეს ზვიად გამსახურდიას ცხედარს! მე თავს ახლა ნამდვილად ვერ დავდებ, წინააღმდეგობა მართლაც ზვიად გამსახურდიას ოჯახიდან მოდიოდა თუ შევარდნაძემ ეს წინააღმდეგობა თავად მოიგონა, რათა ექსპერტიზის ჩატარება აერიდებინა! **თავს დავდებ მხოლოდ იმ ფაქტზე, რომ ექსპერტიზის ჩატარების წინააღმდეგი იყო შევარდნაძე!** ის რომ თანახმა ყოფილიყო, გარდაცვლილი პრეზიდენტის მეუღლე ნამდვილად ვერ შეძლებდა ხელის შეშლას, ამისთვის არსებობს სტრუქტურები.

**— თუმცა, როგორც ვიცი, ჩეჩნეთიდან, პირადად ჯოხარ დუდაევისგან არსებობდა განკარგულება, რომ ცხედარი ამოცნობისთანავე წაესვენებინათ ჩეჩნეთში ყოველგვარი ექსპერტიზის გარეშე!**

— ვერ გეტყვით, არ ვიცი, ეს პირველად ვინ გააჟღერა. **ჯოხარ დუდაევი** არ იყო შევარდნაძის უფროსი; **შევარდნაძის უფროსი იყო ვაშინგტონი და არავითარ შემთხვევაში იგი ჯოხარ დუდაევის განკარგულებას არ დაემორჩილებოდა,** ეს გამორიცხულია! თუნდაც ოჯახის ინტერესის ფარგლებში ყოფილიყო ცხედრის სამედიცინო ექსპერტიზაზე უარი, თუნდაც მართლა ყოფილიყო ოჯახიდან განაცხადი, **„ზვიადის ცხედარს სატანის ხელი არ დაეკაროსო...“** ოჯახის უარი შევარდნაძის ინტერესთან თანხვედრაში რომ არ მოსულიყო, შევარდნაძე ზვიადის ცხედარს ჩეჩნებს გროზნოში ექსპერტიზის გარეშე არ გაატანდა და ამაში ხელს ვერავინ შეუშლიდა! **მაგრამ აქ იმაზეა საუბარი, რომ დასაჯერებლადაც ადვილი და, ამასთან, ყველასთვის უპრიანი იქნებოდა, თუ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა იგორ გიორგაძეს დაბრალდებოდა!**

**— ხალხი განცვიფრებული დარჩა გროზნოში ზვიად გამსახურდიას დაკრძალვის დღეს ჩეჩნეთის პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის განცხადებით — „ზვიად კონსტანტინეს ძემ ნებაყოფლობით დაასრულა სიცოცხლეო...“ ნუთუ, ისეთმა განათლებულმა და ჩამოყალიბებულმა ადამიანმა, როგორიც გენერალი დუდაევი ბრძანდებოდა, არ იცოდა, რომ ექსპერტიზის დასკვნამდე თვითმკვლელობაზე საუბარი არ შეიძლება? საერთოდ, რატომ შეეხო ამ საკითხს და რაზე მიგვანიშნებს მისი პოზიცია?**

— ჯოხარ დუდაევმა თქვა ის, რაც ზვიად გამსახურდიას უახლოესმა გარემოცვამ უამბო. ამაში ჩემი თვალსაზრისით, ჯოხარ დუდაევს, რომელმაც საქართველოს პირველ პრეზიდენტს ბოლომდე გაუწია ადამიანური თანადგომა, არანაირი სხვა ქვეტექსტი არ ჩაუქსოვია.

**— ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, ჩეჩნეთში დაკრძალვის**

## იგორ გიორგაძე:



## მკვლელობა მოხდა სამეგრელოში! ამას ვაცხადებ უტყუარ ინფორმაციაზე დაყრდნობით, არანაირი თბილისში ჩამოყვანა არ მომხდარა!

## კვირგვინოსნები

**გიგლა მოზაეჩია**
*ჟურნალისტი, პუბლიცისტი*



მე პრეტენზია მაქვს დღევანდელ ხელისუფლებასთან, პირადად **ბიძინა ივანიშვილთან** — რატომ დაგვასვით ეს ხალხი თავზე? ვინ მოგცათ თქვენ ამის უფლება? **გამსახურდიას** ხელისუფლებას, დიახაც, ხელთ ჰქონდა **ყველა აგენტის სია,** მაგრამ, სანამ გაერკვნენ, სწორედ იმ აგენტებმა და მათ მიერ გაბრიყვებულმა მასამ დაამხო მართლაც ხალხის მიერ არჩეული ეროვნული ხელისუფლება. **დღეს იმ აგენტების ნაშიერები უტევენ ქართულ სახელმწიფოებრიობას.**

„ალია“

**ირაკლი მელაშვილი**
*ექსპერტი*



35 წელია ამ ადგილზე აქციები ტარდება და აზრად არავის მოგვსვლია, **ცარიელი პარლამენტის ალყაში მოქცევა,** მითუმეტეს, როდესაც ვიწრო ქუჩით, ქვემოდან ზემოთ ადიხარ, პოლიციის კორდონს ვერ გაარღვევ, ხალხის მასა მას ვერ მიაწვება. ამას აკეთებს ის, ვისაც წარმოდგენა არა აქვს სიტუაციაზე ან **მეორე მღვდელი გაპონია.** ეს აღარ არის 80-90-იანი წლების საზოგადოება, მათში **პოლიტიკოსების ზღვარგადასული პოპულიზმი** მხოლოდ ზიზღს იწვევს.

„კვირის პალიტრა“

**ამირან სალუქვაძე**
*ექსპერტი*



ახალგაზრდებმა არ უნდა დაუშვან, რომ ამ აქციით მიღებული შედეგი ოპოზიციამ მიიწეროს. **ახლა ცემით არავის კლავენ, როგორც საბჭოთა კავშირის დროს,** პოლიციის მიმართაც სხვა სტანდარტებია. მაშინ აქციაზე გასულ ყველა მოქალაქეს მოღალატეებად აცხადებდნენ. პარლამენტში შევარდნის ცდა, **„მოლოტოვის კოქტეილების“** სროლა კი არა, აბა, გაებედათ და პოლიციელზე ეძალადათ. მაშინვე სადამსჯელო ოპერაციებს იწყებდნენ.

„კვირის პალიტრა“

**მანანა მენაბდე**
*მომღერალი*



ევროპისაკენ კი არა, **ჩვენი ქართულისკენ უნდა გვეჭიროს გეზი!** რამე რომ გაგვიჭირდეს, ის ევროპაც ფეხებზე დაგვიკიდებს! **ჩვენი შვილები უნდა გავზარდოთ ქართულ ფუძეზე** და ჩვენი მრწამსი დავნერგოთ მათში! არავინ უნდა ერეოდეს ჩვენს შინაგან პოლიტიკაში! მე ასე მესახება საქართველოს მომავალი.

„კვირის პალიტრა“

წინ ჩაუტარდა თუ არა ზვიად გამსახურდიას ცხედარს ექსპერტიზა?**

— არა..

**— თქვენი ჩამოყვანილი ექსპერტი რამდენ ხანს დარჩა საქართველოში?**

— ცოტა ხანს. შევარდნაძეს ვუთხარი — აგერ არის საერთაშორისო დონის პროფესიონალი ექსპერტი, თუ გნებავთ, დამატებით, მეზობელი ქვეყნებიდან სხვებსაც დავუძახოთ და ერთად ჩავატარებინოთ-მეთქი. შევარდნაძის უარის შემდეგ ის კაცი უკან გავუშვით და ყველაფერი იმით დასრულდა, რომ სამთავრობო კომისიიდან ერთადერთი წევრი, თქვენი მონა-მორჩილი, აცხადებს — **ეს იყო მკვლელობა და არა თვითმკვლელობა!**

**— არსებობს საზოგადოების ერთ ნაწილში მოარული ვარაუდი, რომლის თანახმადაც, ზვიად გამსახურდია თბილისში ცოცხალი ჩამოიყვანეს და შემდეგ მოკლეს...**

— არა! **მკვლელობა მოხდა სამეგრელოში! ამას ვაცხადებ იმ უტყუარ ინფორმაციაზე დაყრდნობით,** რომლის მფლობელიც ცოცხალი აღარ არის. არანაირი თბილისში ჩამოყვანა არ მომხდარა!

**— არსებობს სხვა ვარაუდიც, რომ ზვიად გამსახურდია მოკლეს სამეგრელოში, მაგრამ მკვლელობის ფაქტის გაყალბების მიზნით ცხედარი თბილისში ჩამოასვენეს და შემდეგ, ვიდრე ჩეჩნეთში გადასვენება მოხდებოდა, კვლავ სამეგრელოში დააბრუნეს. ამ ვერსიას მაინც თუ აქვს არსებობის უფლება?**

— იქიდან გამომდინარე, რა ინფორმაციებიც უშიშროებას ჰქონდა, ამ ვერსიასაც გამოვრიცხავ, თავიდან ბოლომდე სიცრუეა.

**— პირადად თქვენ თუ გქონდათ მცდელობა, ჩეჩნეთში მყოფ ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას დაკავშირებოდით და ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობაში დაგერწმუნებინათ?**

**– ვიცოდი, რომ ზვიად გამსახურდიას მეუღლე იმ ეტაპზე ჩემ მიმართ აგრესიულად იყო განწყობილი, მიუხედავად ამისა, გურამ შარაძეს ვთხოვე, გარდაცვლილი პრეზიდენტის მეუღლე დაერწმუნებინა ექსპერტიზის აუცილებლობაში, მაგრამ არანაირი პასუხი არ მივიღია.**

ისიც ვიცი, პრეზიდენტის მეუღლეს ვინ უქმნიდა ასეთ განწყობას ჩემთან დაკავშირებით, თუმცა, თავად ბატონ ზვიადს ჩემ მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა და ამაზე უკვე მოგახსენეთ... **არ გამოვრიცხავ, რომ ქალბატონი მანანაც დროთა განმავლობაში მიხვდა, რომ მათი „დაუძინებელი მტერი“ არასოდეს ვყოფილვარ, ბოლოს და ბოლოს, მამაჩემი, გენერალი პანტელეიმონ გიორგაძე სასაზღვრო ჯარების უფროსად ზვიად გამსახურდიამ დანიშნა.**

> „არ გამოვრიცხავ, რომ ქალბატონი მანანაც დროთა განმავლობაში მიხვდა, რომ მათი „დაუძინებელი მტერი“ არასოდეს ვყოფილვარ, ბოლოს და ბოლოს, მამაჩემი, გენერალი პანტელეიმონ გიორგაძე სასაზღვრო ჯარების უფროსად ზვიად გამსახურდიამ დანიშნა!“




მანანა არჩვაძე, პანტელეიმონ გიორგაძე

აქამდე არსად მითქვამს, მაგრამ ზვიად გამსახურდიას საქართველოში ჩამოსვენების საქმეში განუზომელი და გადამწყვეტი წვლილი აქვს მოსკოვში მცხოვრებ ჩემს ქართველ მეგობარს.

**— ძალიან საინტერესოა.**

— ახლა მე თქვენ ინტერვიუს რომ გაძლევთ, ამის შესახებ იცის იმ ჩემმა მეგობარმა, ვთხოვე ნებართვა, ინტერვიუში გამეჟღერებინა მისი ვინაობა, რადგან მართლაც საშვილთაშვილო საქმე აღსრულდა! მან მიპასუხა — **„ისაუბრე საკუთარ წვლილზე, მაგრამ ჩემი ვინაობის დასახელების დრო ჯერ არ მოსულა. იქნებ დავჭირდე ჩემს სამშობლოს კარგ საქმეში...“** მე კი მჯერა, ის დროც დადგება, როდესაც მისი ვინაობა გამჟღავნდება!

მოკლედ მოგახსენებთ, როგორ იყო ეს: ჩემმა მეგობარმა თავისი ხელით დაწერა ბარათი და წარმოუდგენელ სიტუაციაში იმდენი მოახერხა, რომ რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელობა დათანხმდა მის წინადადებას და ყველანაირი წინაპირობის გარეშე გადასცა ქართულ მხარეს ზვიად გამსახურდიას ცხედარი და როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაც! შემდეგ საქართველოს პირველი პრეზიდენტი თბილისში გადმოასვენეს და ქართულ მიწას მიაბარეს!

**— როსტოვის ექსპერტიზა ობიექტურად ჩატარდა?**

— პრაქტიკულად გამოვრიცხავ იმას, რომ როსტოვის ექსპერტიზას სუბიექტურად ემუშავა. ამას რუსეთისთვის არანაირი სარგებელი არ ექნებოდა. ზვიად გამსახურდიას დაღუპვის ფაქტი ხომ საქართველოში დაფიქსირდა და, თანაც, როსტოვის ექსპერტიზამდე 15 წლით ადრე... ამავე დროს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ **როსტოვის ექსპერტიზის ამოცანა იყო მხოლოდ იმის დადასტურება, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ნეშტი ნამდვილად ზვიად გამსახურდიას ეკუთვნოდა.**

სამაგიეროდ, არ შეიძლება იმისი სრულებით გამორიცხვა, რომ ვიდრე ზვიად გამსახურდიას ცხედარი სამეგრელოში იყო, შევარდნაძის დავალებით იქ არ გაყალბდა სიკვდილის ნამდვილი გარემოება და მკვლელობა არ შენიღბეს, როგორც თვითმკვლელობა!

> „იმის მიუხედავად, რომ სიკვდილის მომენტიდან თითქმის 3 ათეული წელი გავიდა, შეიძლება, სიტუაციამ მოითხოვოს ცხედრის ექსჰუმაციაც!“

**— რა გაძლევთ ამ ვარაუდის საფუძველს?**

— ის ფაქტი, რომ შევარდნაძემ მე გამომთიშა ამ ამბიდან... რატომ უნდა წასულიყო გარდაცვლილი ზვიად გამსახურდიას შესახებ ინფორმაციის ჩამოსატანად **ავთანდილ იოსელიანი** და არა მე; თანაც, ის ხომ „შემთხვევის ადგილისკენ“ ექსპერტის და გამომძიებლის თანხლების გარეშე გაემართა?





ბესარიონ გუგუშვილი, რობიზონ მარგველანი, ბაჩუკი გვანცელაძე

**— თქვენ არ აპირებთ, შთამომავლობას მაინც შემოუნახოთ პრეზიდენტის მკვლელის ვინაობა?**

— ნუ შეეცდებით, პასუხისმგებლობის მთელი ტვირთი მარტო მე დამაკისროთ, რადგან **პირადად მე, მინიმუმ, ორი, დღემდე ცოცხალი კაცი ვიცი, ვინც მკვლელის ვინაობა იცის!** მე ვამბობ, მინიმუმ, ორი-მეთქი! მაგრამ შეიძლება მათი რაოდენობა ოთხი ან ხუთიც იყოს! ხაზგასმით გეუბნებით —

**მე არ ვარ პრეზიდენტის მკვლელის ვინაობის შესახებ ინფორმაციის ერთადერთი მფლობელი!**

> „რაც რეალურად მოხდა, ზედმიწევნით იცის სიკვდილის მომენტისთვის ზვიად გამსახურდიას მხლებელმა გარემოცვამ. რამდენადაც მახსოვს, იმ დროს მიწაზე თოვლიც იდო. როგორ წარმოგიდგენიათ, ვინმე ისე შეპარულიყო მოსაკლავად და მერე უკან გამოპარულიყო, რომ თოვლზე კვალი არ დაეტოვებინა?“

**— მაშინ ამგვარად შეგიბრუნებთ კითხვას — არსებობს პერსპექტივა, რომ თქვენი მონაწილეობით ან თქვენ გარე-**

გაგრძელება მე–14 გვერდზე

## კვირგვინოსნები

**თემურ ჩალაბაშვილი**
*პოეტი*



ვის დავუჯეროთ, **ნაციონალებს თუ ვაშაძეს,** ეს ჩვენი ბავშვები რომ წააქეზა და ამის გამო კინაღამ სისხლისღვრა მოხდა.

„კვირის პალიტრა“

**ლევან ალაფიშვილი**
*იურისტი*



**მეორე ფრონტის გახსნა საქართველოში რუსეთისთვის არის მნიშვნელოვანი,** ამ გზით შეასუსტებს ყურადღებას უკრაინისადმი. სამწუხაროა, რომ ჩემს სამშობლოზე ამის თქმა მიწევს, მაგრამ **ეს საფრთხე რეალურია,** რაც ჩვენი სახელმწიფოებრიობის არსებობას უკავშირდება. თუკი ეს გამოწვევა, ეს პროცესი ძალიან ფრთხილად არ გავიარეთ, **შეიძლება სახელმწიფოებრიობა დავკარგოთ.**

„კვირის პალიტრა“

**ლადო პაპავა**
*აკადემიკოსი*



პოლიტიკაში უკან დახევა ყოველთვის დამარცხებას არ ნიშნავს. **ოპოზიციას სურდა, ახალგაზრდობის გულწრფელი პატრიოტული ენერგია სახელმწიფო გადატრიალებისთვის გამოეყენებინა.** ხელისუფლების აშკარა ინტერესშია კანდიდატის სტატუსის მიღება, რათა არჩევნებში თავაწეული გავიდეს.

„კვირის პალიტრა“

**ბადრი წერედიანი**
*რეჟისორი*



ჩვენ ვართ **უძველესი ევროპელები,** ვიღაცებისაგან განსხვავებით.

„კვირის პალიტრა“

**მიხეილ ჭიაურელი**
*რეჟისორი*



ხელისუფლებას ერთ მეგობრულ რჩევას მივცემ: **არ გინდათ, ნუ შეეჯახებით ახალგაზრდებს!** მათი ძალა იმდენად დიდია, ყველანაირ კედელს გაანგრევს!

„კვირის პალიტრა“



# „მინიმუმ, ორი, დღემდე ცოცხალი კაცი ვიცი, ვინც მკვლელის ვინაობა იცის!“

„ნამდვილად არსებობს ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ობიექტურად გახსნის შანსი!“

დასაწყისი მე-10 გვერდზე

## იგორ გიორგაძე:

## არ შეიძლება იმისი სრულებით გამორიცხვა, რომ ვიდრე ზვიად გამსახურდიას ცხედარი სამეგრელოში იყო, შევარდნაძის დავალებით იქ არ გაყალბდა სიკვდილის ნამდვილი გარემოება!

**შე... ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გარემოება ქართველი ხალხის წინაშე გამჟღავნდეს?**

— ძალიან გთხოვთ, უშიშროების პროფესიონალ თანამშრომელს მარჩიელის ამპლუაში ნუ ჩამაყენებთ... დიახ, ნამდვილად არსებობს ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ობიექტურად გახსნის შანსი! მაგრამ დღევანდელ პირობებში და იმ ვითარებაში, როგორშიც ახლა მიმდინარეობს გამოძიება, ეს საქმე ვერ გაიხსნება! აი, მაგალითად, თქვენ და მე ახლა გულწრფელად ვსაუბრობთ, მოთმინებით გპასუხობთ ყველაზე მწვავე კითხვებზეც, მაგრამ მსგავს დიალოგსა და საუბარზე მოდიან კი ის ადამიანები, რომლებიც სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში ახლდნენ დევნილ ზვიად გამსახურდიას? **და, მათაც იზრუნონ გამოძიებისათვის ხელის შეწყობაზე!**

**— არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც გულწრფელ დიალოგზე მოდიან, თავად ამჟღავნებენ მისწრაფებას, რომ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის იდუმალებით მოცული ამბავი გამჟღავნდეს. თუმცა, ჩემი ჟურნალისტური გამოძიების მანძილზე ისეთებსაც შევხვედრივარ, ვისთან საუბრის მერეც უკმარისობის გრძნობა დამრჩენია.**

— ამიტომ ყველამ უკლებლივ, ვინც ამ საკითხზე ჩვენებას მისცემს, აღძრული საქმის ფარგლებში **პროცესუალურად გათვალისწინებული წესების დაცვით უნდა გაიაროს ტესტი პოლიგრაფზე,** ანუ კითხვებზე პასუხები უნდა გასცენ სიცრუის დეტექტორზე მიერთებულებმა.

**პოლიგრაფი არ იძლევა 100-პროცენტიან შედეგს, მაგრამ, უმრავლეს შემთხვევაში, დიდი სიზუსტით დგინდება, არის თუ არა დასაკითხი პირი გულწრფელი; რომელი კითხვები იწვევს მის განსაკუთრებულ აღელვებას, რაც სხეულის პარამეტრების ცვლილებას განაპირობებს და მონიტორზე აისახება.**

ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებებთან დაკავშირებით გამოკითხულმა რომელიმე პირმა თუ გაიარა ტესტი პოლიგრაფზე? იმის მიუხედავად, რომ სიკვდილის მომენტიდან თითქმის 3 ათეული წელი გავიდა, შეიძლება, სიტუაციამ მოითხოვოს ცხედრის ექსჰუმაციაც. თქვენ მიერ დასმულ კითხვაზე — **„იცით, ვინ გამოჰკრა თითი ჩახმახს?“** — მე გპასუხობთ — **„ვიცი!“** მაგრამ საქმის გამოძიების დროს უამრავი სხვა, მნიშვნელოვანი გარემოებაც შეიძლება გამოიკვეთოს.

**— მაგალითად?**

— ვთქვათ, შესაძლოა, მკვლელობის მომენტში ოთახში, სადაც ეს ტრაგედია დატრიალდა, მარტო ჩახმახის გამომკვრელი არ იმყოფებოდა! ვერსიები უამრავია. მაგალითად,

**გსმენიათ ვერსია, რომლის მიხედვით ზვიად გამსახურდიამ, მისი უმძიმესი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, თვითონ ითხოვა – მომკალითო? თხოვნის შემსრულებელი ხომ ამ შემთხვევაშიც მკვლელია, მაგრამ, იმავდროულად, მისი გაგებით, მშველელიც...**

მერამდენედ გიმეორებთ — **ვიცი, ჩახმახს თითი ვინც გამოჰკრა! მაგრამ არ ვიცი, რა მოტივაციით ჩაიდინა ეს ქმედება! აი, სწორედ ასეთი დეტალების დასადგენად არის აუცილებელი პოლიგრაფი!** რაც რეალურად მოხდა, ზედმიწევნით იცის სიკვდილის მომენტისთვის ზვიად გამსახურდიას მხლებელმა გარემოცვამ. რამდენადაც მახსოვს, იმ დროს მიწაზე თოვლიც იდო. როგორ წარმოგიდგენიათ, ვინმე ისე შეპარულიყო მოსაკლავად და მერე უკან გამოპარულიყო, რომ თოვლზე კვალი არ დაეტოვებინა? თანაც, არ დაგავიწყდეთ, ეს სამეგრელოში ხდება! **მსმენია და ბოდვაა ვერსიები, თითქოს „ГРУ“-ს თანამშრომლებმა ფანჯრიდან შეაღწიეს ოთახში და შეასრულეს მკვლელობა! „ГРУ“-ს კი არა, მაშინ ისეთი დაძაბული ცხოვრებით ცხოვრობდა მოსახლეობა, მეზობელი სოფლიდან მებრელი რომ ჩასულიყო, იმასაც შეამჩნევდნენ!**

ადრე ადგილმდებარეობის გულმოდგინე გამოკვლევითაც ბევრი მტკიცებულების მოპოვება იქნებოდა შესაძლებელი, მაგრამ მას მერე, რაც შევარდნაძის ხალხმა რამდენჯერმე მოინახულა ის ადგილი, არავინ იცის, რა კვალი წაშალეს და რა გარემოება გააყალბეს ან შენიღბეს — შევარდნაძე ხომ ყველაფერზე წამსვლელი იყო:

თავის დროზე თავისი მეგობარი, რომელსაც მისთვის ჯიბის ფული მოჰქონდა ხოლმე, ციხეში 8 წლით ჩასვა; მძღოლმა თავი მოიკლა; „მარჯვენა ხელმა“ ასევე თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე; ცკ-ის მდივანი ფანჯრიდან გადახტა; შოთა კვირაიას კაბინეტში დასაკითხად მიყვანილი **დემურ დვალიშვილი** ვითომ შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტიდან გამოსვლისას იქვე კარებთან თავს იკლავს (საუბარია კაცზე, რომელსაც თავის სიცოცხლეში ხელში იარაღი არ სჭერია), **ამ ტრიუკების ჩამტარებელი პიროვნება ყველაფერს იკადრებდა, რათა ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებებიც გაეყალბებინა!**

აღძრული საქმის ფარგლებში უნდა ჩატარდეს ყველა ეპიზოდის ფუნდამენტური გამოძიება, მაგრამ ამისთვის საჭიროა **სახელმწიფოს ნება,** რასაც ჯერჯერობით ვერ ვხედავ! იმას კი არ ვამბობ, რომ გამოძიებას **პრემიერი ღარიბაშვილი** აჭიანურებს... პირიქით — რამდენადაც ვიცი, სწორედ პრემიერის უშუალო მითითებით, მას მერე, რაც საქმის ხანდაზმულობის 25-წლიანი ვადა ამოიწურა, ეს ვადა კიდევ 5 წლით გაგრძელდა, მაგრამ აგერ, დეკემბერიც მოგვადგება და შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს! პროკურატურაშიც სააკაშვილის რეჟიმის დროინდელი იმდენი ამაზრზენი კადრია ჩანერგილი, რომ ვფიქრობ, ამ ეტაპზე ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან დაკავშირებით სიმართლის დადგენა, უბრალოდ, შეუძლებელია, მე ასე ვხედავ!

**— ვერსიის დონეზე მაინც უშვებთ, რომ მკვლელმა პრეზიდენტის თხოვნა შეასრულა, როდესაც ჩახმახს თითი გამოჰკრა?**

— მე ასე ვიტყვი: 50/50-ზეა! **მე თავს უფლებას ვერ ვაძლევ, ამ ვერსიის რომელიმე მიმართულებას მივანიჭო უპირატესობა.** აი, სწორედ ამიტომ იყო საჭირო თავის დროზე ექსპერტიზის ჩატარება, რაც უტყუარად ადგენს — ჩახმახს თითი გამოჰკრა თვითმკვლელმა თუ „სხვა დაეხმარა“ სიკვდილის დადგომაში. 50/50-ზეა ვარიანტი — მკვლელი ზვიად გამსახურდიას მომხრე იყო თუ დამკვეთის მიერ მოსყიდული!

საქართველოს ისტორიისთვის არის აუცილებელი სიმართლის დადგენა, **ვისურვებ, საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ საამისოდ გამოავლინოს უმაღლესი პოლიტიკური ნება, გაიღოს სათანადო ხარჯები, გამოძიებაში ჩართოს ობიექტურობით და პროფესიონალიზმით გამორჩეული როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სპეციალისტები და დააყენოს გამოძიების იმგვარი კომპეტენტური შედეგი, რომელიც სადავო არავისთვის იქნება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ვიქნებით პირნათელნი საქართველოს ისტორიისა და მომავალი თაობების წინაშე!**

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**



„პარლამენტი თბილისში უნდა დაბრუნდეს!“

ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან

„ხაზგასმით ვამბობ, რომ ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო და ეროვნული ბანკი ურთიერთშეთანხმებულად უნდა მუშაობდნენ! მათ შორის კოორდინაციის ძალიან მაღალი დონის არსებობა გარდაუვლად აუცილებელია!“

„ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრება ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი მძიმე გამოწვევაა!“

ირაკლი ღარიბაშვილი:

მე მინდა, მივესალმო „ასავალ-დასავალის“ წამოწყებას საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების გამოძიებასთან დაკავშირებით და მხარდაჭერა აღგითქვათ ამ საქმეში!

მიკური ზრდა გვქონდა, თუმცა, 2015 წელი ძალიან რთულად დაიწყო, რაც რეგიონში არსებული მძიმე მდგომარეობით არის განპირობებული.

კრიზისი უკრაინაში, რუსეთსა და ...

„ა-დ“. 2015 წლის №26

... მოგებ... საქართველოში ადგილობრივი წარმოება არ არის განვითარებული და ჩვენ სულ ორი წელია, რაც ამ მიმართულებით დავიწყეთ მუშაობა.

დოლარის გამყარების პროცესი დაიწყო თითქმის ყველა სხვა ვალუტის მიმართ, ხოლო ჩვენს რეგიონში, დოლართან მიმართებაში, ყველა ქვეყნის ეროვნული ვალუტა გაუფასურდა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ საგარეო შოკები და მძიმე ეკონომიკური გამოწვევები ჩვენს ეროვნულ ვალუტაზეც აისახა, ისევე, როგორც ჩვენზე ბევრად უფრო მდიდარი და ძლიერი სახელმ...

... გავლენა იქონია იმ აჟიოტაჟმა და ემოციურმა ფონმა, რომლის შექმნაშიც დიდი როლი ითამაშეს უპასუხისმგებლო ოპონენტებმა, ე.წ. ექსპერტებმა და ზარკვეულმა მედიასაშუალებებმა.

— ეროვნული ბანკის როლზე რას იტყვით?

— უნდა ვაღიაროთ, რომ თავიდანვე იყო გაუგებრობა და ...

... მთავრობის კარგი ... საუბრის რეჟიმი ...

— სამომავლო პროგნოზი როგორია?

— ეროვნული ბანკი პროგნოზით, უახლოეს თვეების განმავლობაში ლარის კურსის შემდგომი ვარდნა მოსალოდნელი არ არის! პირიქით, ზაფხულში კურსის გამყარებას ელოდებიან, რადგან ტურისტული ნაკადების რაოდენობა იზრდება ...

გაგრძელება მე-7 გვერდზე

„თუ ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრება გვინდა, აუცილებლად უნდა დავადგინოთ, როგორ და რა ვითარებაში მოკვდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი!“

## „რამდენადაც ვიცი, სწორედ პრემიერის უშუალო მითითებით, მას მერე, რაც საქმის ხანდაზმულობის 25-წლიანი ვადა ამოიწურა, ეს ვადა კიდევ 5 წლით გაგრძელდა, მაგრამ აგერ, დეკემბერიც მოგვადგება და შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს!“

# გენერალისიმუსი

№16 (184) ★ 2023 წლის 20 მარტი ★ გამოდის 2003 წლიდან


# ისინიც და ესენიც!


ნანა კაკაბაძე

*ნეოლიბერალური ოპოზიციის პროპაგანდის კვალდაკვალ დღეს სულ უფრო ხშირად გაისმის მოწოდებები:*
*„მოვიკვეთოთ საზოგადოებიდან ის ადამიანები, ვინც ეწინააღმდეგება ქვეყნის ევროპულ ორიენტაციას!“*
*„არ მივესალმოთ, ხელი არ ჩამოვართვათ, რათა დაინახონ, რომ კეთროვნები არიან!“*
*„ასეთი ლექტორები არ შევუშვათ ლექციებზე და გავაძევოთ უნივერსიტეტებიდან!“*
*„გამოვაცხადოთ საქართველოს მტრების მისამართები, საცხოვრებელ სახლებთან მოვუწყოთ ობსტრუქცია, დავაბულინგოთ მათი შვილები!“*

ამ მოწოდებებს ვისმენთ ლიბერალიზმის სახელით მოქმედი იმ პირებისაგან, რომლებიც საკუთარ თავს დემოკრატებს და პატრიოტებს უწოდებენ. მათ შეძახილებს მხარდაჭერა აქვთ დასავლეთის ქვეყნების იმ პოლიტიკოსებისაგან, რომლებიც თავს ასევე ლიბერალებად მიიჩნევენ. ეს ის ხალხია, ვინც ესწრაფვის იმ ადამიანების საზოგადოებისგან მოკვეთას, ვინც გაბედავს, მათგან განსხვავებული შეხედულება გამოთქვას, თუნდაც სექსუალური უმცირესობების მიმართ.

ასეთ „ლიბერალებს“ საკუთარ დევიზად გაუხდიათ კომუნისტებისა და ფაშისტების ლოზუნგი — **„ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია!“** ხოლო მტერი, ბუნებრივია, უნდა გაანადგურო მორალურად, პოლიტიკურად, და თუ საჭირო გახდება, ფიზიკურადაც!

ჩვენი მოქალაქეებისთვის სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, აუხსნელი იყო, როგორ შეიძლებოდა სისხლიანი ანტიდემოკრატიული რეჟიმის დამამკვიდრებელი დასავლელ პარტნიორებს „დემოკრატიის შუქურად“ მოენათლათ. არადა, საქმე ისაა, რომ

**ფაშისტებსაც და კომუნისტებსაც ჰქონდათ საკუთარი იდეოლოგიის გამამართლებელი კონსტიტუციებიც და კანონებიც.**

ისინიც, როგორც ესენი, დიადი მიზნებისაკენ სწრაფვის აუცილებლობით ამართლებდნენ **მოწინააღმდეგეთა კეთროვნებად გამოცხადებას და თუნდაც ფიზიკური განადგურების აუცილებლობას.**

ზუსტად ასე იქცევიან თანამედროვე „ლიბერალი“ ფაშისტებიც!

ამიტომაც წყლის ორი წვეთივით ჰგავს მათი ქმედებები!

ისინიც და ესენიც:

**წვავენ მათთვის მიუღებელი ოპონენტების წიგნებს.**

**უკეტავენ უნივერსიტეტის კარებს მათთვის მიუღებელ ლექტორებს.**

**შორს რომ არ წავიდეთ, ასე გამოაძევეს 20-30-იან წლებში უნივერსიტეტიდან მისი დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი.**

მიმოვიხედოთ ირგვლივ,


ბერლინი. 1933 წლის 10 მაისი.
ფაშისტები წვავენ არასასურველ წიგნებს!



## აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი „ლიბერალური“ ფაშიზმისა!

იგი წალეკვით ემუქრება ყველაფერ იმას, რაც ჩემმა თაობამ რუდუნებითა და დიდი შრომის ფასად აშენა დემოკრატიული ღირებულებების დასამკვიდრებლად.

**დღეს სწორედ ამ ღირებულებების სახელით და კეთილშობილური ლოზუნგების მანიპულაციით გამოუსწორებელი ნაძირალები ცდილობენ, ადამიანთა ტვინებსა და გულებში ჩანერგონ „ლიბერალური“ ფაშიზმი, რომელიც ჩვეულებრივი ფაშიზმის ნაირსახეობაა.** განსხვავება მხოლოდ ერთშია — იქაურ ფაშისტებს, იქაურებისგან განსხვავებით, სძულთ საკუთარი ერი და სისასტიკესაც ყველაზე მეტად ქართველთა მიმართ ამჟღავნებენ!

**ნეოლიბერალური ფაშიზმი ★**






თბილისი. 2023 წლის 8 მარტი.
ლიბერალები წვავენ არასასურველ წიგნებს!

# ლავრენტი ბერია და



„ამნისტია, რომელიც ბერიამ გამოსცა, თვით სტალინის მიერ იყო მომზადებული!“

## სვიმონ მასხარაშვილი:

# სტალინის მკვლელობის შემდეგ საბჭოთა კავშირის ბედი იმაზე იყო დამოკიდებული, ვინ ვის დაასწრებდა – ბერია – მალენკოვს თუ მალენკოვი – ბერიას!

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი სტალინის მკვლელობის შემდეგ ლავრენტი ბერიას მიერ გამოცემული მასშტაბური ამნისტიის შესახებ გვესაუბრება და აცხადებს, რომ ბერიამ ამ აქტით გიორგი მალენკოვს სერიოზული დარტყმა მიაყენა და პოლიტიკურად ჩაძირა, თუმცა, თავისდაუნებურად ხელი შეუწყო ნიკიტა ხრუშჩოვის აღზევებას, რომელსაც კრემლში სულელად მიიჩნევდნენ:***

— სტალინის გარდაცვალების შემდეგ, მე-20 საუკუნის 80-90-იან წლებში, ერთ-ერთი ყველაზე დიდი მითი, რომელიც ლავრენტი ბერიას შესახებ შეიქმნა, გახლავთ ის, რომ **თითქოს ბელადის მიერ რეპრესირებული ხალხი ბერიამ გაამართლა, მათი სრული რეაბილიტაცია მოახდინა და უდანაშაულო ხალხი ციხეებიდან და გულაგებიდან გამოუშვა, რითიც უარყო სტალინი და მისი პოლიტიკა!** თავშივე ვაცხადებ, რომ ეს არის ტყუილი და არავის რეაბილიტაცია ლავრენტი ბერიას არ მოუხდენია, მან გამოსცა მხოლოდ ამნისტია, რითიც უამრავი კრიმინალი და, მათ შორის, პოლიტიკურ ნიადაგზე გასამართლებულებიც შეიწყალა! **ხაზგასმით ვაცხადებ:**

**ამ ხალხის რეაბილიტაცია და გამართლება არ მომხდარა და ვერც მოხდებოდა, რადგან ამნისტირებულთა 99 პროცენტი ბანდიტი, ქურდი, ჯიბგირი, ე.წ. „კანონიერი ქურდი“ და, ზოგადად, მძიმე კრიმინალური წარსულის მქონე პირი იყო!**

**— ბატონო სვიმონ, როდის მოხდა ეს ამნისტია, რა იყო მისი მიზეზი, მიზანი და სულ რამდენი კაცი გათავისუფლდა?**

— 1953 წლის 26 მარტს ლავრენტი ბერიამ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **კლიმენტი ვოროშილოვს** წერილი გაუგზავნა, სადაც ასაბუთებდა, რომ საჭირო და აუცილებელი იყო ფართო ამნისტიის გამოცხადება, ანუ რეაბილიტაციაზე ლაპარაკი არ ყოფილა... წერილის გაგზავნიდან მეორე დღესვე, 1953 წლის 27 მარტს, საბჭოთა კავშირში მართლაც გამოიცა პატიმართა მასობრივი ამნისტიის აქტი, რომლის საფუძველზეც უზარმაზარი იმპერიის ციხე-კოლონიებიდან და გულაგებიდან დაახლოებით **1 მილიონ 300 ათასი პატიმარი** გათავისუფლდა. რაც შეეხება ამნისტიის მიზეზსა და მიზანს, დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ამ საკითხზე **ალექსანდრე სოლჟენიცინი** ბოდავს, როცა წერს, თითქოს ამნისტიით ლავრენტი ბერიას ხალხის გულის მოგება და სტალინის სისხლიანი გზიდან გადახვევა სურდა! სისულელეა! დავიწყოთ იმით, რომ 1936-1939 წლებში დაპატიმრებულთაგან, ვისაც დახვრეტა მიუსაჯეს, 1953 წელს, ცხადია, ცოცხალი აღარავინ იყო, ხოლო, ვისაც 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა შეფარდებული, 1947 წლის მდგომარეობით, სასჯელი, ფაქტობრივად, მოხდილი ჰქონდა. ვინც მე-20 საუკუნის 30-იან წლებში არ დახვრიტეს, ისინი ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეშივე გაათავისუფლეს. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ პატიმართა რეაბილიტაცია-ამნისტიის პირველი ტალღა ჯერ კიდევ 1939-1940 წლებს უკავშირდება, როცა, მაგალითად, **ნიკოლაი ეჟოვისა** და მისი ბანდის მიერ სრულიად უკანონოდ რეპრესირებული და ნაწამები უდიდესი სამხედრო სტრატეგი **კონსტანტინე როკოსოვსკი** ბერიამ ციხიდან გამოუშვა!

**— მაშინ დაახლოებით 500 ათასი პატიმარი გათავისუფლდა, რაც რეპრესირებულთა მესამედზე მეტი იყო.**

— ყველას გამოშვება ვერ მოხერხდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ცოცხალები აღარ იყვნენ. აი, ეს გახლდათ იმ „ეჟოვშჩინის“ შედეგი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სტალინის წინააღმდეგ გახლდათ მიმართული და მიზნად ისახავდა მის ფიზიკურ ლიკვიდაციასა და საბჭოთა კავშირში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1936-1939 წლებში მხოლოდ ეჟოვშჩინა არ მოქმედებდა და რეპრესიების ჩასატარებლად ობიექტური საფუძველიც არსებობდა, რადგან ბელადის წინააღმდეგ შეთქმულება ნამდვილად მზადდებოდა. იმის გამო, რომ მანიაკმა **ეჟოვმა** აბსოლუტურად დაუმსახურებლად მიაყენა ტანჯვა, სტალინმა **კონსტანტინე როკოსოვსკის** ბოდიში მოუხადა. საქვეყნოდ ცნობილია, რომ ამ ბრწყინვალე მარშალს და ადამიანს, რომელიც ისე მოკვდა, რომ ხრუშჩოვსა და მისმა ხროვამ სტალინზე აუგი ვერ დააცდენინეს, ხოლო ბელადის სადღეგრძელოს ნამდვილი სვამდა, ნიკოლაი ეჟოვმა და მისმა ჯალათებმა ციხეში კბილები დააძრეს და უკანასკნელი მეთოდებით აწამეს... მოკლედ, 1939 წელს როკოსოვსკი ამნისტირებულიც იქნა და რეაბილიტირებულიც, მაგრამ 1953 წლის 26-27 მარტის ამნისტიით არავის რეაბილიტაცია არ მომხდარა და პატიმრები, უბრალოდ, გაათავისუფლეს!

**ბერიას არსად უთქვამს, რომ 1953 წლის 26-27 მარტის ამნისტიით გათავისუფლებული პატიმრები სტალინმა ტყუილუბრალოდ დაიჭირა.** ეს ლავრენტი ბერიას მიმართ ცილისწამებაა! უფრო მეტიც, ამნისტია, რომელიც ბერიამ გამოსცა, თვით სტალინის მიერ იყო მომზადებული, მაგრამ აქტის გამოცემა დროში გაიწელა, მერე სტალინიც გარდაიცვალა...

**— ანუ არავითარი პოლიტიკური პატიმრები ბერიას არ გაუთავისუფლებია?**

— არა ბატონო! კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **გათავისუფლებულთა 99 პროცენტი იყო კრიმინალი, ხოლო უმცირესი ჯგუფი, რომელსაც 80-90-იან წლებში უცბად მიაწებეს პოლიტპატიმრის იარლიყი, შედგებოდა ექიმებისგან, ავიატორებისგან და ე.წ. „მეგრელთა საქმისა“ და „ებრაელთა საქმის“ ფიგურანტებისგან...** მაგალითად, „მეგრელთა საქმის“ ერთ-ერთი ფიგურანტი **ალექსანდრე მირცხულავა** გულაგიდან პირდაპირ საქართველოს ცეკას მდივნის სავარძელში აღმოჩნდა, სადაც მან **აკაკი მგელაძის** ადგილი

ეს ქალბატონი, რომელიც **გოლდა მაიერთან** მეგობრობდა და ისრაელის საელჩოს საიდუმლო ინფორმაციებს აწვდიდა, სტალინმა უსამართლოდ დააპატიმრა. **ჟემჩუჟინა** დასაჭერი იყო და დაიჭირა. ცხადია, პიროვნულად თითოეული ამ ადამიანის რეაბილიტაციაც მოხდა, მაგრამ ამნისტირებული 1 მილიონ 300 ათასი კაცის რეაბილიტაცია არ მომხდარა.

**— მოკლედ, გიორგი მალენკოვის მიერ შეკერილი საქმეების მონაწილენიც გამოუშვეს?**

— ყველა გაათავისუფლეს! ბერიამ ასევე გაათავისუფლა მოლოტოვის ცოლი — **ჟემჩუჟინა,** მაგრამ ენა ვერავის მოუბრუნდება და ვერ იტყვის, რომ დაიჭირეს კიდეც... ცხადია, ამნისტიის შემდეგ მისი რეაბილიტაცია არ მომხდარა, მაგრამ **მარშალ ალექსანდრე ნოვიკოვის** რეაბილიტაცია მოხდა და გათავისუფლების შემდეგ ძველ უფლებებში აღადგინეს კიდეც...

**— ამ ამნისტიით ლავრენტი ბერიამ გიორგი მალენკოვის კუთხეში მიმწყვდევა და განეიტრალება სცადა?**

— დიახ, **ბერიამ 1953 წლის 26-27 მარტის ამნისტიით გიორგი მალენკოვს, ფაქტობრივად, ყველა ის ყურით მოთრეული საქმე დაუშალა, რომლითაც მან პოლიტიკურ ავანსცენაზე დაბრუნება და სტალინის რისხვის განეიტრალება შეძლო.** ბერიამ ეს ისე ტექნიკურად გააკეთა, მალენკოვი ხმას ვერ იღებდა. მალენკოვს ამ ამნისტიის წინააღმდეგ არც ბერიას მკვლელობის შემდეგ დაუძრავს კრინტი და არ უთქვამს, რომ ამნისტია შეცდომა იყო!

ლავრენტი ბერია ამ ამნისტიით მართლაც ისახავდა გარკვეულ მიზნებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სტალინის განქიქებასა და ხალხის გულის მოგებას, რასაც **სოლჟენიცინი** ბოდავს. ბერიამ ამნისტიის აქტის გამოცემით მოახერხა საბჭოთა „კაგებეს“ ყოფილი შეფის, პატიმრობაში მყოფი **ვიქტორ აბაკუმოვის** საქმის შეჩერება... მართალია, მან აბაკუმოვი ვერ გადაარჩინა, რადგან 1953 წლის 26 ივნისის შემდეგ, როცა ბერია დახვრიტეს, აბაკუმოვის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და დახვრიტეს კიდეც, მაგრამ, რომ დაცლოდა, ბერია აბაკუმოვს, დიდი ალბათობით, სიკვდილისგან იხსნიდა! რაც ყველაზე მთავარია, 1953 წლის 26-27 მარტის ამნისტიის აქტს მოჰყვა საქმის აღძვრა პოლკოვნიკ **მიხეილ დიმიტრის ძე რიუმინის** წინააღმდეგ, რომელიც **გიორგი მალენკოვის** გვერდის წიწილი და საბჭოთა კაგებეს“ შეფის **სემიონ იგნატიევის** მოადგილე იყო. 1953 წლის 17 მარტს პოლკოვნიკი **რიუმინი** ბერიამ დააპატიმრა და ორჯერ პირადად დაჰკითხა...

**— რატომ პირადად?**

— პირველ დაკითხვაზე ბერიამ **პოლკოვნიკ რიუმინს** განუცხადა — თუ ყველაფერს მეტყვი, შეწყალების შანსი გექნებაო! დიდი ალბათობით, ბერიას აინტერესებდა, ვინ იდგა სინამდვილეში ე.წ. „მეგრელების საქმის“ უკან — **გიორგი მალენკოვი** თუ სხვა ვინმე. ოფიციალური ინფორმაციით, ბერია შეეცადა **რიუმინისგან** ინფორმაციის მიღებას „ექიმთა საქმისა“ და **ვიქტორ აბაკუმოვის** საქმის „შეკერვის“ შესახებ. ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რა ინფორმაცია მიაწოდა პოლკოვნიკმა **მიხეილ რიუმინმა** ბერიას, მაგრამ ცნობილია, რომ 1953 წლის 28 მარტს **ბერიასა და მიხეილ რიუმინს** შორის მეორე საუბარიც შედგა. ბერიას მის წინააღმდეგ არავითარი ძალა არ გამოუყენებია, რიუმინი არც უწამებია, მაგრამ ეს შეხვედრა ზუსტად 25 წუთში შეწყდა და ბერია თავის კაბინეტში მას ასეთი სიტყვებით გამოემშვიდობა — **„მე და თქვენ აწი ერთმანეთს ველარ ვიხილავთ! ჩვენ თქვენ გაგანადგურებთ!“** მიუხედავად იმისა, რომ ასე დაემუქრა, ბერია ისე მოკვდა, რიუმინი არ დაუხვრეტია, რიუმინი **გიორგი მალენკოვის** დროს, 1954 წლის ზაფხულში, დახვრიტეს, რაც, ჩემი აზრით, მრავლისმთქმელია...

**— რას გულისხმობთ?**

— როგორც ჩანს, ბერიამ **რიუმინს** ყველაფერი ათქმევინა და საბოლოოდ დააზუსტა, რომ „მეგრელთა საქმის“, აბაკუმოვის გაუბედურებისა და „ექიმთა საქმის“ უკან რეალურად **გიორგი მალენკოვი** იდგა. რიუმინს ბერიასთვის ყველაფერი რომ არ ეთქვა, ლავრენტი მას, ალბათ, დახვრეტდა, მაგრამ რაკი ყველაფერი დააფქვევინა, მიზანი უკვე მიღწეულად ჩათვალა და რიუმინი მისთვის საინტერესო აღარ იყო. ცნობისათ-





**„ალექსანდრე სოლჟენიცინი ბოდავს, როცა წერს, რომ თითქოს ამნისტიით ლავრენტი ბერიას ხალხის გულის მოგება და სტალინის სისხლიანი გზიდან გადახვევა სურდა!“**

# 1953 წლის 26-27 მარტის ამნისტია

ვის, **პოლკოვნიკი რიუმინი იგნატიევის მოადგილეობიდან ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში, 1952 წლის 13 ნოემბერს, მოხსნეს.** მოგეხსენებათ, პოლკოვნიკმა რიუმინმა „ექიმთა საქმესა“ და „მეგრელთა საქმეში“ მნიშვნელოვანი და საბედისწერო როლი ითამაშა. რიუმინი 1954 წლის ზაფხულში დახვრიტეს, მის დახვრეტას, ცხადია, ბერია ვეღარ მოესწრო.

**— საინტერესოა, ამ ყველაფრის შემდეგ როგორ წარიმართა საბჭოთა კავშირის „კაგებეს“ ყოფილი შეფის გიორგი მალენკოვის ხელისბიჭის — სემიონ იგნატიევის ბედი?**

— ბერიამ ცეკას პრეზიდიუმს მოსთხოვა, **სემიონ იგნატიევი** საერთოდ გაეყვანათ ცეკას შემადგენლობიდან, რათა მის დასაპატიმრებლად უფრო მყარი სამართლებრივი საფუძველი შექმნილიყო. ცნობისათვის, **იგნატიევის** წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უკვე აღძრული იყო... ცხადია, იგნატიევის დაპატიმრების ყველაზე მეტად ეშინოდა **მალენკოვს,** რადგან ეს ბუტაფორიული ფიგურა, როგორც კი ბერიას პირისპირ აღმოჩნდებოდა, მაშინვე მალენკოვისკენ გაიშვერდა ხელს და იტყოდა, რომ „მეგრელთა საქმისა“ და სხვა „შეკერილი“ საქმეების უკან სწორედ მალენკოვი იდგა. არსებობს ვერსია, რომელსაც მეც ვემხრობი, რომ 1953 წლის 26 ივნისს ლავრენტი ბერიას ლიკვიდაცია მალენკოვმა სწორედ სემიონ იგნატიევის დაპატიმრების საფრთხის გამო დააჩქარა, რადგან, თუ ბერია იგნატიევს დააპატიმრებდა, მაშინ მალენკოვიც დაღუპული იყო. მოკლედ, **სტალინის მკვლელობის შემდეგ საბჭოთა კავშირის ბედი იმაზე იყო დამოკიდებული, ვინ ვის დაასწრებდა — ბერია — მალენკოვს თუ მალენკოვი — ბერიას!**

**— ნიკიტა ხრუშჩოვი ამ დროს რას აკეთებდა?**

— ხრუშჩოვი განზე იყო გამდგარი... ბედის ირონიით, მას არავინ არაფერს ეკითხებოდა, რადგან არასერიოზული და სულელი კაცის იმიჯი ჰქონდა. სასაცილოა, მაგრამ ბერია-მალენკოვის დაპირისპირებით სწორედ ხრუშჩოვმა ისარგებლა და ქვეყნის მმართველობის სადავეები ბერიას მკვლელობიდან სულ მოკლე ხანში ხელში აიღო. ისე გამოვიდა, რომ 1953 წლის 26-27 მარტის ამნისტიით ბერიამ მალენკოვი ჩაძირა, რადგან ყველა საქმე დაუშალა და ჩაუშალა, მაგრამ ყველაზე მეტი სარგებელი **ხრუშჩოვმა** ნახა. აშკარაა, რომ **მალენკოვმა** ბერიას მოსაშორებლად მთელი პარტიული რესურსი გამოიყენა და ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანა, რომ პარტიასაც დაუწყო ჭიდაობა, რასაც გადაჰყვა კიდეც!

## „ლავრენტი ბერიას არსად უთქვამს, რომ 1953 წლის 26-27 მარტის ამნისტიით გათავისუფლებული პატიმრები სტალინმა ტყუილუბრალოდ დაიჭირა!“

Указ Президиума Верховного Совета СССР

ОБ АМНИСТИИ

В результате упрочения советского общественного и государственного строя, повышения благосостояния и культурного уровня населения, роста сознательности граждан, их честного отношения к выполнению своего общественного долга укрепились законность и социалистический правопорядок, а также значительно сократилась преступность в стране.

Президиум Верховного Совета СССР считает, что в этих условиях не вызывается необходимостью дальнейшее содержание в местах заключения лиц, совершивших преступления, не представляющие большой опасности для государства, и своим добросовестным отношением к труду доказавших, что они могут вернуться к честной трудовой жизни и стать полезными членами общества.

Президиум Верховного Совета СССР **постановляет:**

1. Освободить из мест заключения и от других мер наказания, не связанных с лишением свободы, лиц, осужденных на срок до 5 лет включительно.

2. Освободить из мест заключения осужденных, независимо от срока наказания,
...стные и хозяйственные преступления, а также за воинские преступления,
...енные ст.ст. 193-4 п. «а», 193-7, 193-8, 193-10, 193-10 «а», 193-14,
...93-16 и 193-17 п. «а» Уголовного Кодекса РСФСР и соответствующими
...уголовных кодексов других союзных республик.
...вободить из мест заключения, независимо от срока наказания, осужденных:
...меющих детей в возрасте до 10 лет, и беременных женщин; несовершенно-
...возрасте до 18 лет; мужчин старше 55 лет и женщин старше 50 лет, а
...жденных, страдающих тяжелым неизлечимым недугом.
...кратить наполовину срок наказания осужденным к лишению свободы на
...е 5 лет.
...екратить производством все следственные дела и дела, не рассмотренные
...совершенных до издания настоящего Указа преступлениях:
... которые в законе предусмотрено наказание в виде лишения свободы на
... лет или другие меры наказания, не связанные с содержанием в местах
...я;
...лжностных, хозяйственных и воинских преступлениях, перечисленных в
...астоящего Указа;
...вершенных лицами, указанными в статье 3 настоящего Указа.
...угим делам о преступлениях, совершенных до издания настоящего Указа,
... в законе предусмотрено лишение свободы на срок свыше 5 лет, суд, если
...необходимым избрать меру наказания в виде лишения свободы не свыше
...вобождает подсудимого от наказания, если же суд признает необходимым
...ру наказания в виде лишения свободы на срок свыше 5 лет,— сокращает
...зания наполовину.

6. Снять судимость и поражение в избирательных правах с граждан, ранее судимых и отбывших наказание или досрочно освобожденных от наказания на основании настоящего Указа.

7. Не применять амнистии к лицам, осужденным на срок более 5 лет за контрреволюционные преступления, крупные хищения социалистической собственности, бандитизм и умышленное убийство.

8. Признать необходимым пересмотреть уголовное законодательство СССР и союзных республик, имея в виду заменить уголовную ответственность за некоторые должностные, хозяйственные, бытовые и другие менее опасные преступления мерами административного и дисциплинарного порядка, а также смягчить уголовную ответственность за отдельные преступления.

Поручить Министерству юстиции СССР в месячный срок разработать соответствующие предложения и внести их на рассмотрение Совета Министров Союза ССР для представления в Президиум Верховного Совета СССР.

Председатель Президиума Верховного Совета СССР **К. ВОРОШИЛОВ.**

Секретарь Президиума Верховного Совета СССР **Н. ПЕГОВ.**

Москва, Кремль. 27 марта 1953 г.



გიორგი მალენკოვი და ლავრენტი ბერია

„მალენკოვმა ბერიას მოსაშორებლად მთელი პარტიული რესურსი გამოიყენა და ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანა, რომ პარტიასაც დაუწყო ჭიდაობა, რასაც გადაჰყვა კიდეც!“

ისტორიკოსის თვალით

## „1953 წლის 26-27 მარტის ამნისტიით ბერიამ მალენკოვი ჩაძირა, რადგან ყველა საქმე დაუშალა და ჩაუშალა, მაგრამ ყველაზე მეტი სარგებელი ხრუშჩოვმა ნახა!“

**— პარტიას მალენკოვი რატომ ეჭიდავებოდა?**

— **გიორგი მალენკოვმა** თავისი რენომეს წარმოსაჩენად გააუქმა ე.წ. „სტალინური კონვერტები“... საქმე ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ სტალინის მიერ დადგენილი იყო, რომ პარტიული ბოსები და ცეკას ნომენკლატურის წევრები ყოველთვიურად ხელფასის გარდა კონვერტით ღებულობდნენ ხუთმაგ და ზოგჯერ ათმაგი ოდენობის თანხას. ეს ფული ბუღალტერიაში კი არ ტარდებოდა, არამედ ცეკას ხაზით იგზავნებოდა... როგორც კი ბერია თავიდან მოიშორა, მალენკოვმა სწორედ ეს „სტალინური პაკეტები“ გააუქმა, რითიც მან მთელი ცეკას ნომენკლატურა და რაიკომის მდივნები გადაიმტერა. ამიტომ იყო, რომ 1953 წლის სექტემბერში **ხრუშჩოვმა** ძალიან ადვილად მოახერხა „სტალინური პაკეტების“ აღდგენა, როცა მალენკოვს ხელისუფლება გაუყო და ცეკას პლენუმს თავისი თავი პირველ მდივნად აარჩევინა! ხოლო 1955 წლის დასაწყისში ნიკიტა ხრუშჩოვმა **გიორგი მალენკოვი** მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობიდანაც მოისროლა და მის ნაცვლად **ნიკოლოზ ბულგანინი** დანიშნა! მოგეხსენებათ, ბულგანინის ადგილზე ხრუშჩოვმა თავდაცვის მინისტრად მარშალი **გიორგი ჟუკოვი** გაამწესა.

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# გიორგი ბეჟიტაძის პასუხები მკითხველს ★

## ცნობილია, რომ საბჭოთა პოეტებიდან ი. ბ. სტალინი ყველაზე მაღლა მაიაკოვსკის აყენებდა, მას „საუკეთესოს და უნიჭიერესს“ უწოდებდა. სად და რომელ ნაშრომში მისცა სტალინმა პოეტს ეს მაღალი შეფასება? და კიდევ, გვაინტერესებს, რამ გამოიწვია მაიაკოვსკის თვითმკვლელობა?

**ლენინისაგან** განსხვავებით, რომელსაც დაუფარავად არ მოსწონდა **მაიაკოვსკის** პოეზია, **სტალინმა** მართლაც მაღალი შეფასება მისცა რევოლუციის პოეტს. და, ალბათ, მთავარი აქ ის კი არ არის, მოსწონდა თუ არა ბელადს ბაღდათის მკვიდრის ლექსები, არამედ ის, რომ **სტალინი მაიაკოვსკის** პოეზიას პოლიტიკურად საჭიროდ, სასარგებლოდ და მნიშვნელოვნად თვლიდა. პოეტის ბიოგრაფი **ვ. კატანიანი** თავის წიგნში **„სტალინური ლოზუნგები“** ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ **მაიაკოვსკის** ბევრი ლექსი, ფაქტობრივად, პირდაპირ იმეორებს ბელადის მიერ გამოსვლებსა თუ მოხსენებებში გამოთქმულ მითითებებს. და ეს მაშინ, როდესაც თავად **სტალინი მაიაკოვსკის** პოეზიაში (სხვა საბჭოთა პოეტებისაგან განსხვავებით) სულ ორჯერ არის ნახსენები, ისიც — გაკვრით.

რაც შეეხება ცნობილ შეფასებას, რომელმაც **მაიაკოვსკი** სსრკ-ის მთავარ პოეტად აქცია, იგი **სტალინის** არცერთ ნაშრომში არ გვხვდება. **1935 წლის ნოემბერში მაიაკოვსკის** მეგობარმა ქალმა **ლილია ბრიკმა სტალინს** წერილი მისწერა, რომელშიც ბელადის ყურადღება პოეტის ნაწარმოებთა გამოცემის შეფერხებას მიაპყრო. ამ წერილს **სტალინმა** შემდეგი რეზოლუცია დაადო: **„ამხ. ეჟოვ** *(სკპ(ბ) ცკ-ის მდივანი. რედ.)*, **ძალიან გთხოვთ, ყურადღება მიაქციეთ ამხ. ბრიკის წერილს. მაიაკოვსკი იყო და რჩება საბჭოთა ეპოქის საუკეთესო და უნიჭიერეს პოეტად. მისი ხსოვნისა და შემოქმედებისადმი გულგრილობა დანაშაულია. ბრიკის საჩივარი, ჩემი აზრით, სამართლიანია. დაუკავშირდით მას და ყველაფერი გააკეთეთ, რაც აქამდე მხედველობიდან გამოგვრჩა. თუ ჩემი დახმარება დაგჭირდებათ, მზად ვარ. სალამი, სტალინი.“**

ეს რეზოლუცია პრესისათვის არ ყოფილა განკუთვნილი, მაგრამ **ლილია ბრიკმა** იგი ყველგან გაავრცელა. ბუნებრივია, მყისვე ამუშავდა იდეოლოგიური მანქანა — მაიაკოვსკის გამოცემა მილიონიანი ტირაჟებით დაიწყეს, გაიხსნა მისი სახელობის მუზეუმი, პოეტის შემოქმედებას სწავლობდნენ ლიტერატურის კათედრებზე, სკოლებში. ბორის პასტერნაკის (სხვათაშორის, სტალინის საყვარელი პოეტის) თქმით, **„მაიაკოვსკის შემოტანა იძულებით დაიწყეს, როგორც კარტოფილისა ეკატერინეს დროს.“**

პოეტის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით ისტორიკოსთა და **მაიაკოვსკის** შემოქმედების მკვლევართა აზრები იყოფა. ზოგიერთი თვლის, რომ ამ საბედისწერო ნაბიჯის მიზეზად სასიყვარულო დრამა იქცა (თავად მაიაკოვსკი წერდა სიკვდილისწინა წერილში, რომ **„სიყვარულის ნავი ყოფაცხოვრებაზე შეჯახებამ დაამსხვრია“**). ე. წ. **„სამთა თანაცხოვრება“** (**მაიაკოვსკი, ლილია ბრიკი** და მისი ქმარი **ოსიპ ბრიკი**) მართლაც რთული იყო. სხვათა აზრით, პოეტის მიერ სიცოცხლეზე ნებაყოფლობით უარის თქმა იმან განაპირობა, რომ **მაიაკოვსკის** გული აუცრუვდა იდეალებზე, რომელთაც ემსახურებოდა და მისი შემოქმედება ჩიხში შევიდა. არსებობს ვერსია, რომ ეს თვითმკვლელობა კი არა, ინსცენირებული მკვლელობა იყო. თითქოსდა **მაიაკოვსკი** (უცნობი მიზეზით) ჩეკისტებმა მოიცილეს თავიდან. ვერსიის ავტორები იმოწმებენ, რომ **ოსიპ ბრიკი** და **ლილია** ნკვდ-ს საიდუმლო თანამშრომლები იყვნენ, ხოლო სახკომის მოადგილე აგრანოვი თავად მაიაკოვსკისთან მეგობრობდა. მაგრამ ჩვენ ეს ვერსია ნაკლებ სარწმუნოდ გვეჩვენება. მითუმეტეს, რომ **მაიაკოვსკის** ხელით დაწერილ სიკვდილისწინა ბარათში ნათქვამია: **„ჩემს სიკვდილში ნურავის დაადანაშაულებთ და, ძალიან გთხოვთ, ნუ იჭორავებთ. განსვენებულს ეს საშინლად არ უყვარდა...“**

ასეა თუ ისე, **1930 წლის 14 აპრილს, 10 საათსა და 15 წუთზე,** მოსკოვში, ლუბიანსკის გასასვლელში მდებარე სახლში რევოლვერის გასროლამ სიცოცხლე მოუსწრაფა ადამიანს, რომელიც სიამაყით წერდა, რომ **„დაბადებით ქართველია“.** სხვათაშორის, თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგი, აწ განსვენებული პროფესორი **ანა ჩხეიძე,** რომელიც პირადად შეხვედრია პოეტს, მოწმობდა, რომ **მაიაკოვსკი** თავისუფლად ფლობდა ქართულ ენას.



## ამჟამად არსებობს ი. ბ. სტალინის მხოლოდ ერთი მუზეუმი გორში, რომელშიც, პრაქტიკულად, არცერთი ფასეული ან ნამდვილი ექსპონატი აღარ არის. ბელადის პირადი ნივთების და დოკუმენტების უმრავლესობა მოსკოვში ინახება. როგორც მახსოვს, სტალინის სიკვდილის შემდეგ გადაწყდა, მის კრემლის ბინაში და ე. წ. მახლობელ აგარაკზე უმაღლეს დონეზე მოეწყოთ მუზეუმები. გაუქმდა თუ არა ეს გადაწყვეტილება და სცადეს თუ არა ამ მუზეუმების შექმნა?



სტალინის სახლ-მუზეუმი გორში

მართალი ბრძანდებით. **ი. ბ. სტალინის** გარდაცვალებისთანავე სკკპ ცკ-მ მიიღო დადგენილება ორი მუზეუმის (კრემლის ბინაში და აგარაკზე) ორგანიზების შესახებ. კრემლის ბინის **სტალინის** მემორიალად გადაქცევის გადაწყვეტილება ქაღალდზევე დარჩა, ხოლო მახლობელ აგარაკზე ვოლინსკოეში (ზოგჯერ მას კუნცევოს უწოდებენ) მუზეუმი შეიქმნა. სპეციალისტების, ისტორიკოსების, **სტალინის** უახლოესი თანამოსაგრეების — **მოლოტოვის, ვოროშილოვის** და სხვათა მონაწილეობით, მომსახურე პერსონალის და დაცვის დახმარებით აქ ყველაფერი ისე აღდგა, როგორც პატრონის სიცოცხლეში იყო. ბელადის პირადი ნივთებიდან ბევრი ექსპონატი კრემლის ბინიდან გადმოიტანეს. თავიდან **სტალინის** მემორიალის გახსნას **1953 წლის სექტემბერში** ვარაუდობდნენ, მაგრამ იმავე თვეში სკკპ ცკ-ის პირველ მდივნად **„არჩეულმა“ ხრუშჩოვმა** შესთავაზა, **„არ ეჩქარათ“** და ეს ღონისძიება რომელიმე ღირსშესანიშნავი თარიღისთვის დაემთხვიათ. მას შემდეგ მუზეუმის გახსნა სხვადასხვა მიზეზით ჭიანურდებოდა. ბოლოს გადაწყდა, ეს მოვლენა პარტიის **მე-20 ყრილობისთვის** დაემთხვიათ.

**1956 წლის 13 თებერვალს** მუზეუმი გახსნისთვის მზად იყო. შეთანხმებისამებრ, მისი პირველი დამთვალიერებლები ყრილობის დელეგატები უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ უკანასკნელ სხდომაზე მოწმენდილ ცაზე მეხივით გავარდა **ხრუშჩოვის „საიდუმლო მოხსენება“** პიროვნების კულტის შესახებ. დელეგატების მიერ მუზეუმის კოლექტიურად მონახულებაზე ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა. **ხრუშჩოვმა ლ.ი. ბრეჟნევს** და **მოსკოვის ქალაქკომის მაშინდელ პირველ მდივანს ე.ი. ფურცევას „მუზეუმის საკითხის გარკვევა“ დაავალა.** მათ ექსპოზიცია დაათვალიერეს, მაგრამ საბოლოო დასკვნა ვერ გამოიტანეს. **ხრუშჩოვისთვის** წარდგენილ მოხსენებით ბარათში ნათქვამი იყო, რომ ეს საკითხი სკკპ ცკ-ის წევრთა გამოკითხვის გზით უნდა გადაწყდეს. **ხრუშჩოვს** ცეკას წევრების გამოკითხვა არ დაუწყია და **„საქმის გარკვევა“** ამჯერად იდეოლოგიის დარგში **ცკ-ის მდივანს დ.ტ. შეპილოვს** დაავალა. **შეპილოვმა** მოახსენა, რომ ვოლინსკოეს ექსპოზიცია **„უზარმაზარ ისტორიულ ფასეულობას“** წარმოადგენს, იგი უნდა შენარჩუნდეს, მაგრამ **„ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო დროებით დაკონსერვდეს“.** ასეც მოიქცნენ. აგარაკი დააკონსერვეს. მომდევნო ათწლეულების განმავლობაში ექსპონატების უმრავლესობა და **სტალინის** უმდიდრესი ბიბლიოთეკა, ფაქტობრივად, გაიძარცვა. წიგნების და ექსპონატების ნაწილი ამჟამად არქივებშია დაცული და თავის დროს ელის. სახლი აჭედილია. რამდენჯერმე იგი დოკუმენტური ფილმების და ტელეგადაცემების გადასაღებად გამოიყენეს.

სტალინის ვაგონ-სალონი გორში



## ცნობილია, რომ სტალინი წიგნის მგზნებარე მოყვარული იყო, უზარმაზარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, ყველა სიახლეს ეცნობოდა. საინტერესოა, რა იქნა ბელადის წიგნების ფონდი და რას წარმოადგენდა იგი?



წიგნი სკოლის წლებიდანვე **იოსებ ჯუღაშვილის** მუდმივი თანამგზავრი იყო. და თუმცა მას ტფილისის სემინარიის კურსიც არ დაუმთავრებია, კითხვის სიყვარულმა ყოველმხრივ განათლებულ და ერუდირებულ ადამიანად აქცია, რომლის ცოდნის მოცულობა და სიღრმე ყველას აოცებდა, ვისაც კი მასთან ურთიერთობა ჰქონია. თავბრუდამხვევ სიმაღლეზე ასულიც კი თანამოსაგრეებთან საუბრისას იგი წიგნებს თავის **„საუკეთესო მეგობრებს“** უწოდებდა. **სტალინთან** დაახლოებული ადამიანების მოწმობით, მიუხედავად კოლოსალური დატვირთვისა, იგი ყოველდღე **„ნთქავდა“** სპეციალური ან მხატვრული ლიტერატურის, სულ მცირე, 300 გვერდს. ამაზე წერენ თავიანთ მოგონებებში **მწერალი კ. სიმონოვი, ავიაკონსტრუქტორი იაკოვლევი, მარშალი გოლოვანოვი** და ბევრი სხვა. ამასთან, **სტალინი** უყურადღებოდ არ ტოვებდა არცერთ ახალ წიგნსა თუ ჟურნალს.

რაც შეეხება ბიბლიოთეკას, ბელადს ერთი კი არა, სამი ჰქონდა — **კრემლის ბინაში, „მახლობელ აგარაკზე“** და **კრემლის კაბინეტში.** ეს ბიბლიოთეკები სხვადასხვა ლიტერატურის ათიათასობით ტომს მოიცავდა, მაგრამ **ბელადის** კუთვნილი წიგნების ზუსტი რაოდენობა უცნობია. მაგალითად, აგარაკის ბიბლიოთეკაში **20 ათასზე მეტი ტომი შედიოდა.** ისტორიკოსის, პროფესორი **ბ. ილიზაროვის** მოწმობით, წიგნების დიაპაზონი სრულიად განსხვავებული იყო — ლექსიკონებიდან თვითმფრინავმშენებლობაზე ნაშრომებამდე. ფართოდ იყო წარმოდგენილი მსოფლიო ლიტერატურა, რუსული, უცხოური და ქართული კლასიკა (ქართულ ენაზეც და რუსულად თარგმნილიც), ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკის წიგნები და სხვ. განსაკუთრებული ადგილი ისტორიულ წიგნებს ეკავა — **ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, სვეტონიუსის** თხზულებებიდან უახლეს ლიტერატურამდე. ბუნებრივია, სრული მოცულობით იყო წარმოდგენილი მარქსისტული ლიტერატურა — **მარქსი, ენგელსი, ლენინი, კაუტსკი, ბოგდანოვი, მარტოვი** და სხვები. მუხის საგანგებო კარადაში ინახებოდა **სტალინის** მტრების და მოწინააღმდეგეების — **ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის, ბუხარინის** და სხვათა ნაშრომები. ქვეყნის ყველა ბიბლიოთეკიდან ამოღების შემდეგ მათ აქ დაიდეს ბინა.

რა ბედი ეწია **სტალინის** ბიბლიოთეკებს? **ბელადის გარდაცვალების შემდეგ კრემლის ბინიდან და კაბინეტიდან მისი წიგნები ლენინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში გადაიტანეს.** რაც შეეხება აგარაკის ბიბლიოთეკას, **1956 წლამდე** იგი ხელშეუხებლად შეინარჩუნეს. **1956 წლის თებერვალში,** საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის თხოვნით, წიგნების ერთი ნაწილით ბიბლიოთეკის ფონდები შეივსო, მეორე ნაწილი — ძირითადად, წიგნები **სტალინის** შენიშვნებითა და ავტოგრაფებით — მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტს გადაეცა, მესამე — პარტიის ცენტრალურ არქივს. ამჟამად **სტალინის** ბიბლიოთეკის ბევრი წიგნი რუსეთის სახელმწიფო არქივის საგანგებო ფონდშია დაცული, მაგრამ მათი უმეტესობა მოსკოვის სხვადასხვა ბიბლიოთეკებსა და კერძო კოლექციებში გაიბნა.

გენერალისიმუსი
2023 წლის 20 მარტი. № 16 (184)

სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

## ჯამბულ გამცემლიძე:

# სახელმწიფოსაგან პირდაპირ მოვითხოვ – კანონის მთელი სისასტიკით დაისაჯოს ყველა, ვინც 9 მარტის ღამეს მომიტინგეებს პარლამენტში შევარდნისა და ხელისუფლების დამხობისაკენ მოუწოდებდა!



## „ნაცები რევოლუციას ვერ მოაწყობენ, ჩვენს გვამებზე მოუწევთ გადავლა!“

**„მერაბიშვილი 7 წელი იჯდა ციხეში, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი დანაშაულისთვის — ორი გვამის შეკვეთისთვის პასუხი ჯერაც არ უგია!“**

***სააკაშვილის რეჟიმის მიერ პოლიციელის ხელით დახვრეტილი უდანაშაულო გიორგი გამცემლიძის მამა ჯამბულ გამცემლიძე საქართველოში უკანასკნელ ხანს განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება და ახალგაზრდებს მოუწოდებს, ნუ იქცევიან იარაღად რევანშის წყურვილით ანთებული ნაცსექტის ხელში:***

— ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვაცხადებ — რაც 8-9 მარტს რუსთაველის გამზირზე ვიხილეთ, მშვიდობიანი პროტესტი კი არა, რევოლუციისა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო! ეს გახლდათ გასული წლის ბოლოს ბაკურიანში გამართული შეკრების გაგრძელება, როცა **ამერიკიდან ჩამოთრეულმა ვიღაც აკერმანმა** ნაცებსა და მათ მეგობარ არასამთავრობო ორგანიზაციებს ტრენინგები ჩაუტარა, თუ როგორ უნდა დაამხონ ხელისუფლება.

**— არადა, ლამის სამოქალაქო გმირებად აცხადებენ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც რუსთაველის გამზირზე ე.წ. მოლოტოვის კოქტეილებს ისროდნენ, ავტომობილებს წვავდნენ და პარლამენტის შენობის შუშებს ამსხვრევდნენ!**

— გაოგნებული ვარ და ვერ ამიხსნია, ეს ახალგაზრდა გოგობიჭები ასე როგორ დააზომბირეს, რომ ნამდვილი ვანდალებივით იქცეოდნენ. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ოჯახში შემომიცვივდნენ და ჩემს სახლს არბევდნენ.

ვფიქრობ, ჩვენი განათლების სისტემაა მთავარი დამნაშავე იმაში, რომ ახალგაზრდების ნაწილში ასეთი აგრესია და საკუთარი სამშობლოს უპატივცემულობაა ჩაბუდებული. **დღეს უმაღლეს სასწავლებლებში, განსაკუთრებით, ე.წ. ბენდუქიძის უნივერსიტეტში, ილიაუნსა და გათახსირებული სააკაშვილის დედის უნივერსიტეტში სტუდენტებს ფსევდოლიბერალური სიბილწეებით ურეცხავენ ტვინს ნაცების ხელისუფლებაში დასაბრუნებლად!**

**— თქვენი აზრით, კანონის წინაშე პასუხი არ უნდა აგონ იმ პოლიტიკოსებმა, რომლებმაც რუსთაველის გამზირზე შეკრებილ ახალგაზრდებს პარლამენტის შენობისთვის ალყის შემორტყმისაკენ მოუწოდეს, თვითონ კი იქაურობას გაეცალნენ და შორიდან ადევნებდნენ თვალს, როგორ ცდილობდნენ აქციის მონაწილეები პარლამენტში შეჭრას, როგორ ჩაამსხვრიეს შუშები, როგორ შეაგდეს „მოლოტოვის კოქტეილი“ საკანონმდებლო ორგანოში და ცეცხლი გააჩინეს?**

— 2006 წელს **ირაკლი ბათიაშვილი** იმის გამო ჩასვეს ციხეში, რომ კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანს დაურეკა და ერთადერთი სიტყვა უთხრა — **„გამაგრდით!“** ამ ვაშაძეებსა და ხაბეიშვილებს რამდენი რამ უნდა ეპატიოთ და როდემდე უნდა ელოლიავოს ჩვენი ხელისუფლება — სანამ მართლა არ დაამხობენ?! სახელმწიფოსაგან პირდაპირ მოვითხოვ — კანონის მთელი სისასტიკით დაისაჯოს ყველა, ვინც 9 მარტის ღამეს მომიტინგეებს პარლამენტში შევარდნისა და ხელისუფლების დამხობისაკენ მოუწოდებდა!

ამბობენ — გულანთებული ბავშვები იდგნენ რუსთაველის გამზირზეო... გულანთებულობა რაში გამოიხატება — „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლასა და მანქანების დაწვაში? პარლამენტის ცარიელ შენობაში შუშების ჩამსხვრევა და რუსთაველის თეატრის კედლებზე უხამსობების მიჯღაბნა გულანთებულობის ნიშანია? იმ „გულანთებული“ ახალგაზრდებიდან ყველას თითო „მოლოტოვის კოქტეილი“ რომ ესროლა, მთელ თბილისს გადაწვავდნენ.

**— ბოლო დროს ერთობ გააქტიურდა ვანო მერაბიშვილი, რომელიც საპროტესტო აქციებს აანონსებს და რევოლუციით იმუქრება!**

— მართალია, მერაბიშვილი 7 წელი იჯდა ციხეში, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი დანაშაულისთვის — ორი გვამის შეკვეთისთვის პასუხი ჯერაც არ უგია! დიახ, გმირი კაცი — **გია კრიალაშვილი** სწორედ იმიტომ მოკლეს, რომ მერაბიშვილმა ორი გვამი მოითხოვა, 8 ტყვიით დაცხრილული **კობა ოთანაძე** კი სიკვდილს უფლის სასწაულით გადაურჩა! პატრიოტი ქართველი კაცი, სააკაშვილის რეჟიმის მიერ თვალდათხრილი **ირაკლი ხომასურიძე** დავით ბერძენიშვილისათვის პანჩურის ამორტყმის გამო მეორე დღესვე დააპატიმრეს, ხოლო, ვინც გია კრიალაშვილი მიწაში ჩადო, შემკვეთ-შემსრულებლიანად დღემდე დაუსჯელია!



## „ქვაზე დახატული ეშმაკი – კელი დეგნანი იქნება თუ ნებისმიერი სხვა, ვინც ჩემს სამშობლოს სიკეთეს არ უქადის და მკვლელებისა და მწამებლების მხარეს იჭერს, ყველა მეჯავრება და მეზიზღება!“



**ცოცხალმა გვამმა მერაბიშვილმა და მთელმა სანაცეთმა კარგად დაიმახსოვრონ – მათი რეჟიმის მიერ გამწარებული ხალხი უფლებას არ მივცემთ, ჩვენ მიერ კბილებით მოტანილი დღევანდელი დღე წაგვართვან და ისევ იმ სისხლიან წარსულში დაგვაბრუნონ!**

**— მაინც როგორ ფიქრობთ, ნაცებს, რომლებსაც მთელი რიგი ევროპარლამენტარები და ელჩები უკვე ღიად უჭერენ მხარს, აქვთ რესურსი, რომ რევოლუციური გეგმები სისრულეში მოიყვანონ?**

— პირდაპირ ვაცხადებ, რომ ნაცები რევოლუციას ვერ მოაწყობენ, რადგან სააკაშვილის რეჟიმის მიერ გაუბედურებული ხალხი აღვუდგებით წინ, ასეულათასობით ქართველი დაგვიდგება გვერდით და ჩვენს გვამებზე მოუწევთ გადავლა!

რაც შეეხება ელჩებსა და ევროპარლამენტარებს, რომლებიც ამ გარეწარ ნაცებს აგულიანებენ და ე.წ. მაიდნისაკენ მოუწოდებენ, მათ შესახებ პოლიტიკურ შეფასებას ვერ გავაკეთებ, რადგან არც პოლიტიკოსი გახლავართ და არც ექსპერტი, მაგრამ როგორც შვილმოკლული, გამწარებული მამა ერთ რამეს ვიტყვი: **ქვაზე დახატული ეშმაკი — კელი დეგნანი იქნება თუ ნებისმიერი სხვა, ვინც ჩემს სამშობლოს სიკეთეს არ უქადის და მკვლელებისა და მწამებლების მხარეს იჭერს, ყველა მეჯავრება და მეზიზღება!**

**— დასავლეთის პოლიტიკური წრეების მხრიდან საქართველოზე სულ უფრო იზრდება ზეწოლა სააკაშვილის გათავისუფლების მიზნით. თქვენი აზრით, გახდება თუ არა იძულებული „ქართული ოცნება“, დამნაშავე ნაცბელადი ციხიდან გაუშვას?**

— დარწმუნებული ვარ, საქართველოს ხელისუფლება ზეწოლას გაუძლებს და სააკაშვილს არ გაათავისუფლებს, მაგრამ ნამდვილად არ მაქვს პრეზიდენტის იმედი და ვერ გამოვრიცხავ, რომ მაგ ნაძირალას არ შეიწყალებს.

ხმამაღლა ვაცხადებ — თუ სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილის შეწყალებას გაბედავს, ამით ქართველი ხალხის უდიდეს ნაწილს სულში ჩაგვაფურთხებს და პასუხსაც ადეკვატურს მიიღებს!

**— როგორც სააკაშვილის რეჟიმის მიერ დახვრეტილი ახალგაზრდა ბიჭის მამა, რას ურჩევდით და რისკენ მოუწოდებდით ახალგაზრდებს, რომლებიც ხვალ-ზეგ შეიძლება, ნაცრევანშისტებმა კვლავ თავიანთი დესტრუქციული მიზნებისათვის გამოიყენონ?**

— როგორც შვილმოკლული მამა, ახალგაზრდებს მხოლოდ ერთს ვეტყვი: **შვილებო, ჭკუით, ჭკუით და ჭკუით! ნუ უგდებთ ყურს ამ ნაცსატანებს, მხოლოდ სამშობლოს გულისცემას მოუსმინეთ! ქართველებს დღეს შეცდომის დაშვების უფლება აღარ გვაქვს, თორემ ეს ქვეყანა ძალიან დიდხანს ვერ გაიმართება წელში!**

*ესაუბრა*
**ჯაბა ხუბუა**

## „თუ სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილის შეწყალებას გაბედავს, ამით ქართველი ხალხის უდიდეს ნაწილს სულში ჩაგვაფურთხებს და პასუხსაც ადეკვატურს მიიღებს!“

**მხილება გრძელდება!**

# გინტურის

*საქართველოს მეხუთე მოწვევის პარლამენტის წევრი, ბიზნესმენი* **თამაზ გელაშვილი** ***თაღლითობაში მხილებული მოქმედი ნოტარიუსის ნუნუ გინტურის მიერ გაყალბებულ რამდენიმე დოკუმენტს ასაჯაროებს და მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანობის აღდგენის იმედი გადაწურული აქვს, საქართველოს გენერალურ პროკურატურას კიდევ ერთხელ მიმართავს!***





## ადეიშვილის ლამის ნოტარიუსმა ნუნუ გინტურმა სასამართლოს, იუსტიციის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის თავზე

# გინტოური ჩამოუარა!

— თქვენ წინაშეა რამდენიმე სკანდალური დოკუმენტი, რომლებსაც პრესის საშუალებით პირველად ვასაჯაროვებ! ოდნავ ნორმალურ სახელმწიფოშიც კი ამ ოთხი დოკუმენტიდან თუნდაც ერთის გამო დაუყოვნებლივ დაიწყებოდა გამოძიება და სასწრაფოდ დააპატიმრებდნენ **ცნობილ თაღლითს — ნუნუ გინტურს,** რომელსაც საქართველოს უზენაეს სასამართლოში ჩაბუდებულმა ნაცებმა და ავადსახსენებელი ზურაბ ადეიშვილის კანტორის წევრებმა **თეა წულუკიანის მიერ ჩამორთმეული ნოტარიუსობა აღუდგინეს!** დავიწყოთ იმით, რომ 2007 წლის 14 ივნისით დათარიღებული კრების ოქმი, რომელსაც ვითომდა მე ვაწერ ხელს, თავიდან ბოლომდე გაყალბებულია. არავითარი კრება არ ჩატარებულა, არავითარი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გოგებაშვილის 34“-ის დამფუძნებელთა ორი მესამედი მას არ დასწრებია, 24 ოჯახიდან, რომლებსაც ბინები დაუნგრიეს, რათა კორპუსი აეშენებინათ, არცერთი ამ „სხდომაზე“ არ ყოფილა!

**— დოკუმენტზე თქვენი ხელმოწერა გაყალბებულია?**

— საქვეყნოდ ვაცხადებ: დოკუმენტი გაყალბებულია და არავითარი „დამფუძნებელთა კრება“ არ ჩატარებულა! დოკუმენტი ექსპერტიზაზე გატარებულია და დადასტურებულია, რომ ჩემი ხელმოწერა ნამდვილად გაყალბებულია!!!

**— გენერალურმა პროკურატურამ ამ გაყალბებული დოკუმენტის შესახებ იცის?**

— იცის!

**— მერედა, რას აკეთებს?**

— არაფერს! **ნუნუ გინტურმა სწორედ ამ გაყალბებული დოკუმენტით გააფორმა „პროკრედიტ ბანკთან“ გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება და 700 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობის სესხი გამოიტანა!**

**— კი მაგრამ, გაყალბებული დოკუმენტით „პროკრედიტ ბანკმა“ სესხი გინტურს როგორ მისცა?**

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა

„გოგებაშვილის 34“-ის დამფუძნებელთა

საერთო კრების ოქმი

ქ. თბილისი 14 ივნისი 2007 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გოგებაშვილის 34“-ის დამფუძნებელთა 2/3.

კრების თავმჯდომარე: თამაზ გელაშვილი

კრების მდივანი: ჟუჟა მაღლაფერიძე

დღის წესრიგი: ამხანაგობის მიერ სს „პროკრედიტ ბანკი“-დან კრედიტის აღების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ამხანაგობის დამფუძნებლებმა და დაეთანხმნენ დღის წესრიგს

დაადგინეს: ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გოგებაშვილის 34“-მა სს „პროკრედიტ ბანკთან“ გააფორმოს გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება შვიდასი ათასი (700 000) აშშ დოლარის ფარგლებში. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ამხანაგობამ ისარგებლოს ყველა სახის საბანკო პროდუქტით. აღნიშნული სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთოს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „გოგებაშვილის 34“-ის კუთვნილი უძრავი ქონებები მდებარე ქ. თბილისში, გოგებაშვილის II გასასვლელში, გოგებაშვილის ქ. №32, გოგებაშვილის ქ. №34, გოგებაშვილის ქ. №30-ში.

დაევალოს ამხანაგობის თავმჯდომარეს ბ-ნ მიხეილ ხუციშვილს წარმოადგინოს ამხანაგობის ინტერესები ბანკთან და ნოტარიუსთან და ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს.

კრების თავმჯდომარე: [signature] / თამაზ გელაშვილი /

კრების მდივანი: [signature] ჟუჟა მაღლაფერიძე /

— ამისათვის **თაღლითმა გინტურმა** მეორე ყალბი დოკუმენტი — „სანოტარო აქტი“ შეადგინა და დაბეჭდა, რომ თითქოს ჩემმა მეუღლემ ჩემ სახელზე „მინდობილობა“ გასცა. მაგრამ გინტურმა აქ საბედისწერო შეცდომა დაუშვა. კერძოდ, გაყალბებულ „მინდობილობაში“ მან მისამართები აურია და გოგებაშვილის №34 კი არა, ვანის ქუჩა №4 მიუთითა! ყველაზე მთავარი — 700 ათასი დოლარის ნაცვლად, რომელსაც „პროკრედიტ ბანკისგან“ სესხად ითხოვდა, გაყალბებულ „მინდობილობაში“ 500 ათასი ლარი ჩაწერა! მოგეხსენებათ, დოკუმენტაციაში ერთი წერტილიც რომ ზედმეტი იყოს, ბანკი კრედიტს არავითარ შემთხვევაში არ გასცემს. ნუნუ გინტურმა მისამართებიც აურია, თანხის ოდენობაც აურია, ხელმოწერებიც გააყალბა, მაგრამ კრედიტი მაინც მისცეს!

**— რატომ მისცეს?**

— **საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ „პროკრედიტ ბანკში“ ვიღაცამ თაღლით ნუნუ გინტურთან შეთანხმებით ე.წ. „ატკატზე“ იმუშავა და იმ 700 ათასი დოლარიდან, რომელიც გინტურს გაყალბებული დოკუმენტების მიუხედავად მაინც მისცეს, თანხის დიდი ნაწილი ისევ „პროკრედიტ ბანკში“ წაიღო!** წარმოუდგენელია ისიც, რომ ამ 700 ათასდოლარიან სესხზე ნოტარიუსმა გინტურმა სოლიდარული პასუხისმგებლობა აიღო, რისი უფლებაც მას არანაირად არ ჰქონდა...

**— პროკურატურისთვის ეს დოკუმენტიც ცნობილია?**

— ცნობილია!

**— მერედა, რას აკეთებენ?**

— არაფერს! ეფერებიან და უფრთხილდებიან თაღლით ნუნუ გინტურს, რომელიც მათიანია!

**— მაინც ძნელი წარმოსადგენია, რა მოხდა ისეთი და როგორ ვერ დაინახა „პროკრედიტ ბანკის“ იურიდიულმა სამსახურმა თუ ნოტარიუსმა მსგავსი სიყალბე და აცდენები, რაც დოკუმენტებში აშკარად თვალშისაცემია. ასეთი დოკუმენტით ამოდენა სესხი „პროკრედიტ ბანკმა“ მართლაცდა როგორ გასცა?**

— „პროკრედიტ ბანკის“ ნოტარიუსი მაშინ გახლდათ **რაიანა ჩანქსელიანი-ჩიქოვანი,** რომელიც თამარ მეფის №14-ში, მეორე სართულზე, იჯდა. 2010 წელს,

**როცა მე ჩივილი დავიწყე და რაიანა ჩანქსელიანს ვკითხე – შენ ამ გაყალბებულ დოკუმენტებს „პროკრედიტ ბანკში“**

**„— გენერალურმა პროკურატურამ ამ გაყალბებული დოკუმენტის შესახებ იცის?**

**— იცის!**

**— მერედა, რას აკეთებს?**

**— არაფერს!“**

## კვირგვინოსნები



**ვანო მერაბიშვილი**
*შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი*

ჩვენი მთავარი მიზანია **მთავრობის შეცვლა** და საქართველოში პროდასავლური, **პროუკრაინული მთავრობის მოსვლა.**

„საქართველოს რესპუბლიკა“



**ლაშა ჩხარტიშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის წევრი*

**ვანო მერაბიშვილის** მატარებელმა **„უცნობის“** მატარებელთან ერთად ჩაიარა.

„ახალი თაობა“



**ვაჟა დავითაია**
*პოლიტიკოსი*

გაშარჟებულია **ხაბეიშვილი,** ამას ხომ ყველა ხედავს. აცდიან ცოტა ხანი და მერე დადგება საკითხი, რომ **პარტიას სჭირდება სერიოზული მენეჯერი** და აგერ არის **ვანოც.**

„ახალი თაობა“



**ალი ბაბაევი**
*„საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის“ თავმჯდომარე*

ნაძირალა ნაცებო, **ვნახეთ, როგორ გარბოდით 2008 წელს საზღვარზე.** ქართველმა ხალხმა კარგად იცის, ვინ ვინ არის! ზუსტად თქვენი დამსახურებით დავკარგეთ ყველაფერი და **დღეს ისევ თქვენ გინდათ ქვეყანაში დესტაბილიზაცია!**

„საერთო გაზეთი“



**გიორგი ბოტკოველი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

არ ვფიქრობ, რომ **მერაბიშვილის** განცხადება დამაზიანებელია საერთო ოპოზიციური ბრძოლისთვის — მეც ვეთანხმები, ქვეყნის გადარჩენისთვის **საჭიროა მასობრივი საპროტესტო აქციები** და ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ.

„პალიტრანიუსი“

# გინტური

## ფრთხილად! გინტურის დანაშაულებრივი საქმიანობის მხილება, ნოტარიუს რაიანა ჩანქსელიანი-ჩიქოვანის მსგავსად, კიდევ ბევრის გვარს ამოატივტივებს!

## თამაზ გელაშვილი:

# პროკურატურავ, აღკვეთე თაღლითი გინტურის გინტურ-მანტურობა!





### ვიზირება როგორ მიეცი-მეთქი? – ქალი ცუდად გახდა, გალურჯდა, გაშავდა და სასწრაფო გამოიძახეს!

სასწრაფომ „პროკრედიტ ბანკის" ნოტარიუსს რაიანა ჩანქსელიანს ნემსები გაუკეთა, მოასულიერა და ამასობაში მოვიდა მისი მეუღლეც, რომელიც თავის დროზე პროკურორი ყოფილა. იმ კაცმა, გვარად ჩიქოვანმა, მითხრა — **ბატონო თამაზ, 30 წელი პროკურორი ვიყავი, ჩემი ცოლი ნერვიულობს, ამ გათახსირებულმა ქალმა, ნუნუ გინტურმა შეცდომაში შეიყვანა და გთხოვ, ჩემს ცოლს ნუ დააჭერინებო!** იმ ჩიქოვანს მაშინ ვუთხარი — თქვენს მეუღლესთან სადავო არაფერი მაქვს, გინტური უნდა დავაჭერინო-მეთქი! **ამდენი ხანი გავიდა, მაგრამ თაღლით ნუნუ გინტურს ვერაფერი დავაკელი, რადგან სასამართლოც, პროკურატურაც და ყველა სახელმწიფო უწყება სავსეა ადეიშვილისა და საააკაშვილის ხალხით, რომლებიც ამ გათახსირებულ ნუნუ გინტურს ხელს აფარებს!** კარგად მოგეხსენებათ, გინტურიც მაგათი ბანდის წევრია და სწორედ ნუნუ გინტური ურეგისტრირებდა და უფორმებდა სააკაშვილის ხროვას მიტაცებულ ქონებებს, რაც მას პირადად ჩემთვის არაერთხელ აქვს ნათქვამი!

**— კიდევ გაქვთ რამე სათქმელი პროკურატურისთვის?**

— სათქმელი ბევრზე ბევრია, მაგრამ ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ამ თაღლითურ სქემებში ნუნუ გინტური მარტო არასოდეს ყოფილა და ყველგან — ბაკურიანშიც, გოგებაშვილის №34-შიც და ვანის ქუჩა №4-შიც, სადაც კი მშენებლობები იყო, ზურგს უმაგრებდა ამხანაგობების თავმჯდომარე, თაღლითობისთვის გასამართლებული **ზაზა მაღლაფერიძე,** რომელიც მისი ქმრის ბიძაშვილია. მაღლაფერიძემ გოგებაშვილის №34-ში ცხრა ბინა მიიტაცა და „გაასუხარა", მაგრამ ამისათვის არც მას უგია პასუხი!

დაბოლოს, კიდევ ერთხელ **მივმართავ პროკურატურას: აღკვეთე თაღლითი გინტურის გინტურ-მანტურობა!** ბოლო-ბოლო, ეს პრესტიჟის საქმეა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N101158947 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 18.11.2010 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | სანოტარო არქივში დაცული დოკუმენტის [illegible] ამონაწერის გაცემა |
| ნოტარიუსი | რაიანა ჩანქსელიანი-ჩიქოვანი |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ. თბილისი თამარ მეფის N14, მეორე სართული. |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 35-19-50 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 94599876392310 |

2010 (ორიათასათი) წლის თვრამეტ ნოემბერს მე ნოტარიუსი რაიანა ჩანქსელიანი-ჩიქოვანი [illegible] სანოტარო ბიუროს მდებარეობის მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. #14, [illegible] სანოტარო მოქმედება შესრულებულია (1) 31 [illegible] გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 3.54 [illegible] სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ [illegible] 1998 წლის 11 [illegible] #1417 29-ე მუხლის) - დღგ (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე 11 კარის 36-ე თავის მუხლი -245, +2.00 ლარი [illegible]

ნოტარიუსი რ. [illegible]

[illegible] www.notary.ge [illegible] +995(32) 66 19 18



[illegible] ნოტარიუს [illegible] ნაირა გუმბერიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ [illegible] მის მიერ წარმოდგენილი პირადობის [illegible], რომ მე ნამდვილად ნაირა გუმბერიძე [illegible] № 0030786, პირადი №01018000113 [illegible] მე დავადგინე ნაირა გუმბერიძის [illegible] ნაირა გუმბერიძე. [illegible] რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს [illegible] პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

[illegible] წლის [illegible] აპრილი. ნაირა გუმბერიძე (დაბადებული 06.02.1955 წელს თბილისში, პ/მ № 0030786, პირადი №01018000113, გაც. 27.06.1995წ. თბილისის მთაწმინდის რ-ნის [illegible] მიერ, მცხ. ქ. თბილისი, კეკელიძის 18), რომელიც შემდგომში [illegible], როგორც „საკუთრების მიმნდობი", თამაზ გელაშვილს (დაბადებული 14.02.1953 წელს ბორჯომში, პ/მ № 0120624, პირადი №11001003143, გაც. 27.12.1996 წ. ბორჯომის შსგ-ს მიერ, მცხ. ბორჯომი, სააკაძის ქ. №2), რომელიც შემდგომში [illegible] „მინდობილი პირი" [illegible] საკუთრების მიმნდობის [illegible] ქ. თბილისში, ვანის ქ. №4-ში, ამასთან [illegible] ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობაში [illegible] ბინის [illegible] და სხვა პირობები. აგრეთვე [illegible] ნებისმიერი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობების [illegible] შენატანების განხორციელება და [illegible] დადებულ გარიგებებთან დაკავშირებით, ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს, დაარეგისტრიროს იგი შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოებში [illegible] დარეგისტრირებული დოკუმენტები.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია აღნიშნული დავალების სრულად შესრულებამდე.

მხარეთა შეთანხმებით დავალების ღირებულება შეადგენს ხუთასი ათას (500000) ლარს.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ორ [illegible] რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნ. გინტურის სანოტარო არქივში, მდებარე ქ. თბილისი, ნ. კოსტავას 47, ხოლო დანარჩენი გადაეცა საკუთრების მიმნდობს.

[illegible] პირადად და ნოტარიუსის თანდასწრებით.

[illegible] ნოტარიუსის საზღაური ხუთასოთხმოცდაერთი (581) ლარი და ოცდახუთი (25) თეთრი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის (11 ივნისი 1998 წ. №1417 II ს) 29-ე მუხლისა აგრეთვე დღგ ასთექვსმეტი (116) ლარი და ოცდახუთი (25) თეთრი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 225-ე მუხლისა. სულ გადახდილია ექვსასოთხმოცდაჩვიდმეტი (697) ლარი და ორმოცდაათი (50) თეთრი.

საკუთრების მიმნდობი: [illegible]

„— პროკურატურისთვის ეს დოკუმენტიც ცნობილია?

— ცნობილია!

— მერედა, რას აკეთებენ?

— არაფერს! ეფერებიან და უფრთხილდებიან თაღლით ნუნუ გინტურს, რომელიც მათიანია!"

## კვირგვინოსნები

**იგორ კვესელავა**
*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*



სახეზე გვაქვს **„მაიდნის" გამეორების მცდელობა.** ვერც **შევარდნაძემ,** ვერც **სააკაშვილმა** და ვერც „ქართულმა ოცნებამ" ეროვნული შერიგების, თანხმობის, ერთიანობის კუთხით ქმედითი ნაბიჯები ვერ გადადგეს.

„საერთო გაზეთი"

**მირიან მირიანაშვილი**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკურად მკვდარია.** ამიტომ, არ ვიცი, ვინ ჰგონიათ იდიოტი, როცა იგონებენ სისულელეებს, **ვითომ ამერიკელები დაკავშირებული არიან ნაცმოძრაობასთან** და ვითომ მისი ხელისუფლებაში მოყვანა უნდათ.

„ახალი თაობა"

**ხატია დეკანოიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



იმედი მაქვს, **ვანო მერაბიშვილი** პოლიტიკურ განცხადებებს მოერიდება.

„ახალი თაობა"

**ანა ნაცვლიშვილი**
*„ლელოს" წევრი*



**ვანო მერაბიშვილის** დაძახილზე, არ მგონია, **საკუთარი თანაგუნდელებიც** კი სრული შემადგენლობით მივიდნენ.

„რეზონანსი"

**დავით ქიქინაძე**
*პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნის" ლიდერი*



ნაცებს ხმა რომ ამოაღებინეს, მაგისთვის არიან მოსასპობები და კიდევ, **ვანო მერაბიშვილი** პოლიტიკაში რომ დააბრუნეს. **გაავსეს ნაცებით „ქართული ოცნება".**

„ალია"

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2023 წ. №11-12*

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გამომწვევ მიზეზებსა და იმ გარემოებებზე აგრძელებს საუბარს, რამაც ქვეყანაში უმძიმესი დაპირისპირება წარმოშვა:***

— ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ საქართველოს სუვერენიტეტი ზვიად გამსახურდიასთან ერთად მოკლეს! ახლანდელი ქართველი პოლიტიკოსები თუ პოლიტიკანები გამუდმებით ეძებენ მფარველს, არადა, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის შემდეგ ზვიადი ერთადერთი ქართველი პოლიტიკოსია, რომელსაც მფარველი არ უძებნია და სურდა, თანასწორი მოკავშირე ჰყოლოდა. იგი ქვეყნის ევროპულ ორიენტაციაზე არ გახლდათ ჩაციკლული და მიაჩნდა, რომ საქართველო ბოლომდე მიბმული და ჩამოკიდებული არავისზე უნდა ყოფილიყო.

**— როგორ ფიქრობთ, ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის გასაიდუმლოება რამდენად პროფესიონალურად შეძლო?**

— **ჯუმბერ პატიაშვილმა** თქვენთან ინტერვიუში ახსენა, რომ შევარდნაძე 1989 წლის 8 აპრილს თბილისის აეროპორტში, თვითმფრინავში, იმალებოდა, სადაც ის ნახა ერთ-ერთმა ქალბატონმა, რომელიც უშიშროების მაშინდელ მინისტრს **გივი გუმბარიძეს** ახლდა. პროტოპრესვიტერი **მამა ბასილი** (მკალავიშვილი) აცხადებს, რომ ციხეში ყოფნისას ერთ-ერთმა პატიმარმა აღსარებაში უთხრა, რომ ზვიად გამსახურდია სამეგრელოში შეიპყრეს, თბილისის აეროპორტში ჩამოიყვანეს, სადაც ის ერთ-ერთ თვითმფრინავში შევარდნაძის თვალწინ აწამეს და მერე მკვდარი მიიტანეს ძველ ხიბულაში, კარლო ღურწკაიას სახლში... როგორც ვხედავთ, თვითმფრინავის თემა შევარდნაძის მიერ ჩადენილ საუკუნის ორ დანაშაულში — 9 აპრილის ტრაგედიასა და ზვიად გამსახურდიას მკვლელობაში აქტიურად ფიგურირებს! აღარაფერს ვამბობთ მესამე დანაშაულზე, რომელიც „თვითმფრინავის ბიჭებს“ ეხება და სადაც ისევ და ისევ თვითმფრინავში ვითარდება ტრაგედია...

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას — შევარდნაძემ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გასაიდუმლოება მოახერხა იმდენად, რამდენადაც საქართველოს პირველი პრეზიდენტის დამხობასა და განადგურებაში უშუალოდ მონაწილეობდნენ როგორც ამერიკელები, ისე რუსები! პოლიტიკური მკვლელობები საერთოდ რთული გასახსნელია, მაგრამ ზვიადის მკვლელობა, როგორც წინა ინტერვიუში გითხარით, გახსნილია! **1989 წლის 8 აპრილს რომ შევარდნაძე თბილისში იყო, ამას ადასტურებს იგორ ლიგაჩოვი და საბჭოთა კავშირის უშიშროების მაშინდელი მინისტრი ვლადიმერ კრიუჩკოვი.** აღარაფერს ვამბობ გენერალ **ალექსანდრე ლებედზე,** რომელმაც პირდაპირ დაწერა — შევარდნაძე 8 აპრილს თბილისში ვნახეო! კიდევ ერთხელ ვიმეორებ: 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია ისევე, როგორც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა, ედუარდ შევარდნაძის დაგეგმილი და მოწყობილია! სხვათაშორის, საქართველოს უშიშროების მაშინდელ მინისტრს **გივი გუმბარიძეს,** რომელიც 9 აპრილს შევარდნაძის ინსტრუქციებით მოქმედებდა, კარგად ვიცნობდი!

**— საიდან იცნობდით?**

— გივი გუმბარიძე და მე ერთი დროის სტუდენტები ვიყავით! გივი უნივერსიტეტში რუსული ფილოლოგიის განხრით სწავლობდა და მათი დეკანი ნუგზარ ფოფხაძის ძმა — **თამაზ ფოფხაძე** იყო. სხვათაშორის, 1990 წელს, როცა კონკურსში გავიმარჯვე და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე გავხდი, კონკურსის შედეგები გააუქმეს, რაც ჩემთვის დიდი ტრავმა იყო... მაშინ გუმბარიძემ, რომელიც ცეკას მდივანი გახლდათ, კაცი გამომიგზავნა — უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას უჩივლეო! — მაგრამ ეს არ გავაკეთე და სიტუაციას გავერიდე. საერთოდ, არიან ადამიანები, რომლებიც თანამდებობისთვის თავს იკლავენ და **შევარდნაძეც** სწორედ ასეთი იყო. კარიერისტისთვის დამახასიათებელი მტაცებლური და დაუნდობელი ხასიათი მას ახალგაზრდობიდან ჰქონდა. შევარდნაძე ქუთაისის პედაგოგიური უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე დაუსწრებლად სწავლობდა და სასწავლებელში იშვიათად მიდიოდა. შევარდნაძეს თავიდან ბოლომდე პატრონობდა აწ განსვენებული პროფესორი **ოთარ აბუთიძე,** რომელიც ჩემი მეგობარი იყო და დაახლოებით ხუთი წლის წინათ გარდაიცვალა... სწორედ ოთარი დადიოდა ინსტიტუტში შევარდნაძის მატრიკულით და ნიშნებს უწესრიგებდა... შევარდნაძემ ინსტიტუტი რომ დაამთავრა, ამის აღსანიშნავად ოთარის სახლში სუფრაც გაიშალა, მაგრამ ედუარდმა ამის შემდეგ ოთარი საერთოდ მიატოვა და მხოლოდ იმ ხალხთან ჰქონდა ურთიერთობა, რომელიც სჭირდებოდა... „თავისიანებს“ ის ბევრ რამეს პატიობდა, მაგრამ „სხვისიანებს“ — არაფერს!

საერთოდ, შევარდნაძეს ძალიან აკლდა განათლება. მან რუსული არ იცოდა და მასწავლებელიც კი დაიქირავა, რათა რუსული ესწავლა. როცა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად გადაიყვანეს, იმისათვის, რომ თანამშრომლებზე შთაბეჭდილება მოეხდინა, სამსახურში დახურული ლიფტის ნაცვლად, საერთო ლიფტით ავიდა, რასაც უმალ მოჰყვა ეფექტი და ხელქვეითებმა, ხელმძღვანელებმაც თუ უცხოელმა სტუმრებმა მისი საქციელი ძალიან მოიწონეს. შევარდნაძემ თანამშრომლებს აუკრძალა წვერის ტარება და, რომ იტყვიან, გაპარსა. მოკლედ, ის ცდილობდა ყურადღების მიქცევას, რასაც ახერხებდა კიდეც. რომ ვაკვირდები, შევარდნაძე სუფთა ქართული სისხლის მოვლენა არ იყო და მის სისხლში სხვა სისხლიც იყო შერეული!

**— რას გულისხმობთ?**

— ჩემი ინფორმაციით, შევარდნაძის ბებია გერმანელი ებრაელი იყო. 1937 წელს მამამისი — **ამბროსი შევარდნაძე,** რომელიც რუსულის მასწავლებელი გახლდათ, გააფრთხილეს — გაიქეცი, თორემ დაგიჭერენო! ორი წლის განმავლობაში იგი მართლაც გადაკარგული იყო და ოჯახს უკიდურესად გაუჭირდა. სოფელში ბალახის თიბვის დროს ედუარდს ცელი გამოუსვეს და ფეხი დაუზიანეს, რაც მას მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა და ხანდახან შეუმჩნევლად ფეხს ითრევდა. სამაგიეროდ, შევარდნაძე ძალიან მარდად მოქმედებდა, როცა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დასამხობად ემზადებოდა. პირველი, ვინც მან ამ საქმისთვის თავისთან იხმო, **გია ჭანტურია** გახლდათ, რომელსაც მოსკოვში შევარდნაძის ხელისბიჭებმა ლაპარაკი და ხალხთან ურთიერთობა ასწავლეს. შემდეგი ნაბიჯი იყო ე.წ. ელიტური ინტელიგენცია, რომელიც თავიდან ბოლომდე შევარდნაძის მონა გახლდათ.

ავიღოთ თუნდაც „კინოსტუდია“, სადაც 700 კაცი მუშაობდა და დირექტორი **რეზო ჩხეიძე** გახლდათ. ზვიადის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ბესარიონ გუგუშვილმა** გადაწყვიტა, შეემოწმებინა „კინოსტუდია“, სადაც აუდიტის სამსახური შევიდა... რევიზორებმა საშინელი დარღვევები და მილიონობით მანეთის გაფლანგვა დააფიქსირეს.

**— ფული „კინოსტუდიაში“ საიდან და როგორ კეთდებოდა?**

— აი, მაგალითად, თუ ფილმის გადასაღებად და ფორმების შესაკერად საჭირო იყო ათასი კვადრატული მეტრი ტყავი და 50 ცალი ხმალი, ესენი სახელმწიფოსგან ითხოვდნენ 5 ათას კვადრატულ მეტრ ტყავს და 200 ან 300 ხმალს. რაც რეალურად სჭირდებოდათ, იმას ფილმის გადასაღებად იყენებდნენ, დანარჩენი ტყავი კი იგზავნებოდა ფეხსაცმლების საამქროებში, საიდანაც დიდძალი ფული შემოდიოდა და ამ თანხას ჯიბეში იდებდნენ.

**თითქმის ყველა ცნობილი ქართველი მსახიობი მანქანებით ვაჭრობდა... ამ საქმეში ჩართული იყვნენ: ლანა ღოღობერიძეც, ერლომ ახვლედიანიც, მიხეილ თუმანიშვილიც...**

არ მინდა ახლა გვარებისა და სახელების დასახელება, მაგრამ ერთ-ერთ მათგანს ყოველწლიურად ორჯერ გამოჰყავდა ახალთახალი „ვოლგა“ და მამასისხლად ყიდდა.

შევარდნაძე ამ პროცესს ახალისებდა და მთელი ინტელიგენცია გასვრილი და კორუმპირებული ჰყავდა. აი, მაგალითად, იმისათვის, რომ „მწერალთა კავშირში“ ყველა მონად გაეხადა და მწერლებს არ ეჩხუბათ, თავმჯდომარეს ლამის 12 მოადგილე დაუნიშნა — 12 მდივანი... ყველას კაბინეტები და მანქანები მისცა თავისი მძღოლებით... აი, ეს კორუმპირებული და ყოველმხრივ კომპრომეტირებული ხალხი — **ლანა ღოღობერიძეები, ელდარ შენგელაიები, რეზო ჯაფარიძეები** და სხვები გახდნენ იმ რევოლუციური კომიტეტის წევრები, რომელიც შევარდნაძემ მოსკოვში შექმნა. ეს ხალხი ზვიად გამსახურდიას დასანახავად ვერ იტანდა, რადგან მან ძალიან კარგად იცოდა, რომ სახელგატეხილი ადამიანები იყვნენ და წარმოადგენდნენ მის ყველაზე რადიკალურ ოპოზიციას. **სწორედ ამ ხალხმა შეძლო მოსახლეობის პროვოცირება და რომ არა ე.წ. ელიტური ინტელიგენცია, შევარდნაძეს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა ძალიან გაუჭირდებოდა!** სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ ხალხმა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დასამხობად, შევარდნაძის მითითებით, ფულის აკრეფა და იარაღის ყიდვა დაიწყო. ვინ რამდენი ფული დადო ზვიად გამსახურდიას დასამხობად, ეს სია გენერალ **ჯემალ ჭუმბურიძესა და ავთო მარგიანს** ჰქონდათ!

**— ეს ხალხი ზვიადს მტრად მხოლოდ იმიტომ მოეკიდა, რომ პირველმა პრეზიდენტმა მათი კორუმპირებულობის ამბავი იცოდა?**

— მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ზვიადმა მათ ფული და პრივილეგიები არ მისცა! სწორედ ამიტომ გადაეკიდნენ: **ჭაბუა ამირეჯიბი, ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ჯაფარიძე,** ცეკას ერთ-ერთი განყოფილების მუშაკი **რომან მიმინოშვილი, ჯანსუღ კახიძე, ნოდარ ლომოური და კიტა ბუაჩიძე,** რომელმაც უკადრებელი იკადრა... **კიტოვანის ცოლი პირდაპირ წერს — ზვიადის ჩამოგდება გამეხებული ინტელიგენციის სურვილი იყოო!**

**— ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ვინ დაამხო — რუსეთმა თუ ამერიკამ?**

— შევთანხმდეთ იმაზე, რომ ელცინის რუსეთი იგივე ამერიკის მიერ მართული რუსეთი იყო, რომელსაც სუვერენიტეტი არ გააჩნდა! **ზვიად გამსახურდია, შევარდნაძის მონაწილეობით, რუსეთმა და ამერიკამ ერთობლივად დაამხეს! რუსეთსა და ამერიკას შორის მოხდა შეთანხმება, რომ საქართველოში ჩამოეყვანათ და დაესვათ ამერიკის სპეცსამსახურების მიერ გადაბირებული შევარდნაძე,** რომელიც ანგარიშვალდებული იყო ჯეიმს ბეიკერის წინაშე. **შევარდნაძე, როგორც აგენტი, საიდუმლო ინფორმაციებს სწორედ ბეიკერს გადასცემდა ხოლმე.** როგორც ცნობილი ამერიკელი მოღვაწე და სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, „რბილი ძალის“ თეორიის ავტორი **ჯოზეფ ნაი** წერს, ამერიკის სპეცსამსახურებმა „პერესტროიკის“ ერთ-ერთი ავტორი **ალექსანდრე იაკოვლევი** ჯერ კიდევ კოლუმბიის უნივერსი-



# „ზვიად გამსახურდია რუსეთმა და ამერიკამ ერთობლივად დაამხეს!“

## *იგორ კვესელავა:*

# ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან ერთად მოკლეს!





ჯემალ ჭუმბურიძე



ავთანდილ მარგიანი

**„ვინ რამდენი ფული დადო ზვიად გამსახურდიას დასამხობად, ეს სია გენერალ ჯემალ ჭუმბურიძესა და ავთო მარგიანს ჰქონდათ!“**



**„1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია ისევე, როგორც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა, ედუარდ შევარდნაძის დაგეგმილი და მოწყობილია!“**

ტეტში სწავლისას გადაიბირეს, სადაც ის ხრუშჩოვის დროს გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა. ამის შემდეგ იმავე კოლუმბიის უნივერსიტეტში სტუმრობისას, 1974 წელს გადაიბირეს შევარდნაძეც. ამდენად, როცა ედუარდ ამბროსის ძე საქართველოში ჩამოიყვანეს, ის თავიდან ბოლომდე იყო ამერიკის კაცი, რომელიც რუსეთსაც აკონტროლებდა. **ვითარება რადიკალურად შეიცვალა ხელისუფლებაში პუტინის მოსვლის შემდეგ, როცა რუსეთმა სუვერენიტეტი დაიბრუნა.**

**— ხომ არ არსებობს იმის ალბათობა, რომ რუსეთისა და ამერიკის ინტერესები საქართველოსთან მიმართებაში ახლაც ერთმანეთს დაემთხვევა?**

— საერთოდ, ისტორიას გამეორება ახასიათებს, მაგრამ ზუსტად არასოდეს მეორდება! დღევანდელი პოლიტიკური ვითარება ძალიან ჰგავს 1991 წლის მიწურულს შექმნილ სიტუაციას! გვახსოვდეს — ამერიკას რომ თავი დავანებოთ, საქართველოზე გამუდმებით ფიქრობენ რუსეთი და თურქეთი, რათა ძალით თუ მშვიდობით, ჩვენგან სარგებელი ნახონ! **მოკლედ, ზვიადის დასამხობად შევარდნაძემ დამოძღვრა და მოამზადა გია ჭანტურია, დაქოქა მთელი ე.წ. ელიტური ინტელიგენცია, რომელიც კომუნისტებიდან მოყოლებული მისი მონა იყო და დარჩა ბოლო ნაბიჯი — შეიარაღებული დაჯგუფების შექმნა!** მაშინდელი „აგრომრეწვის“ თავმჯდომარის **ზურაბ მგელაძის** მონაწილეობით და, ცხადია, შევარდნაძის დავალებით, 14 მილიონი მანეთი გამოიყო „მხედრიონის“ დასაფუძნებლად. ასევე დიდძალი ფული გადმორიცხა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მაშინდელმა დირექტორმა, აკადემიკოსმა **ზურაბ ქაშაკაშვილმა,** რომელმაც პირდაპირ მითხრა — დამავალეს და ფული „მხედრიონისთვის“ გადამარიცხვინესო! „მხედრიონის“ გარდა შექმნეს გასამხედროებული ორგანიზაცია „იმედი“, რომელიც **ნოდარ ნათაძის** დაქვემდებარებაში იყო, მაგრამ სინამდვილეში ამის უკანაც შევარდნაძე იდგა. სხვათაშორის, ნოდარ ნათაძეს თავის თავსა და ხელისუფლების დამამხობლებზე ერთი გასაოცარი რამ აქვს ნათქვამი — **ჩვენ ისე შორს შევტოპეთ, ღირსები ვართ, შუბლში ტყვია დავიხალოთო!** ეს ეხებოდა სწორედ მოღალატე ინტელიგენციას. მაგალითად, **რეზო ესაძე** ზვიადის დაუძინებელი მტერი იყო, მაგრამ, როცა დაინახა შევარდნაძის ნამოქმედარი, სახალხოდ თქვა — როგორ შევცდი, ზვიადს რომ დავუპირისპირდი, მას საქართველოს ეკლესია წმინდანად შერაცხავსო!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

**„რუსეთი და თურქეთი საქართველოზე ყოველთვის ფიქრობენ!“**



# ავტოქარხნის დირექტორის გოგო

***სულმნათი აკაკი ერთ თავის საქვეყნოდ ცნობილ ლექსს ასე იწყებს: „ერთხელ, მხოლოდ ისიც, ძილში, ქართველ ქალთა ვნახე კრება...“ პოეტი ხატოვნად აღწერს სიზმარს, სადაც მან თამარ მეფე, თინათინი და ნესტან-დარეჯანი ერთად იხილა...***





თამარ კორძაია, ხათუნა სამნიძე, ანა ნაცვლიშვილი

2023 წლის მარტის დასაწყისში, როცა საქართველოს პარლამენტში **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონპროექტს განიხილავდნენ, მეც ვიხილე სამი ქართველი ქალის კრება, მაგრამ აკაკის „სიზმრის“ პერსონაჟებს ისინი არ ჰგავდნენ... ისინი უფრო იმ ნახირიდან იყვნენ, ვისზეც ლექსის დასასრულ დიდი მგოსანი ამბობს — **„ნეტავი, არ მენახა, საუკუნოდ დამეძინაო!“**

სწორედ ეგ ვინატრე, როცა **ხათუნა სამნიძე, თაკო ჯუსტანის ასული კორძაია და ანა ამირანის ასული ნაცვლიშვილი,** რომლებიც სათითაოდ ნიფხვებს იგლეჯდნენ და უკადრებელს კადრულობდნენ, ლამის ტელეეკრანიდან გადმოხტნენ...

**სამნიძე,** ყველა უბედურებასთან ერთად, კაცებს ემუქრებოდა — **თავი არ მაგინებინოთ, თორემ ასე და ისე გიზამთო!**

მოკლედ, **ალტყინებული ხათუნასგან მომდინარე გაუპატიურების საფრთხით თუ სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების მუქარით, შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ საქართველოს ხელისუფლება აიძულა, ე.წ. „აგენტების კანონი“ უკან გაეწვია, რითიც ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტს თავში ჩაარტყეს!**

დიახ, ქართველმა კანონმდებლებმა კანონპროექტი პარლამენტიდან მართლაც გაიხმეს, მაგრამ უცხოეთის მიერ დაფინანსებული და გაქეზებული ენჯეო-აგენტები პარლამენტსა და ქვეყანაში დარჩნენ, რომლებიც, ცხადია, გულხელდაკრეფილი ჯდომას არ აპირებენ და საქართველოს ხელისუფლების დასამხობად ახალ-ახალ ხლართებს გეგმავენ!

თქმა არ უნდა — **საქართველო დაისაჯა იმიტომ, რომ ქვეყანაში ამერიკის აგენტების გაშიფვრა და გამოაშკარავება მოინდომა!**

**მართალია, „აგენტების კანონი“ ჩავარდა, მაგრამ, სამაგიეროდ, აგენტები თავიანთი საცვლებიდან ამოვარდნენ და საბოლოოდ მაინც გაიშიფრნენ!**

ადრე, კომუნისტების ეპოქაში, ვისაც კარიერის გაკეთება სურდა, პარტიაში მიძვრებოდა... ასე, მაგალითად, **დავით უსუფაშვილი,** რომელიც დღეს საქართველოში უცხოეთის ენჯეო-აგენტურის ერთ-ერთი მაღალი რანგის ბლაღოჩინია და სწორედ უცხოელების კურთხევით გახდა ქვეყნის პარლამენტის სპიკერი, საბჭოთა კავშირი რომ არ დანგრეულიყო, რაიკომის მდივანი ან ცეკას ინსტრუქტორი მაინც იქნებოდა, რადგან კომპარტიაში **1989 წლის 9 აპრილის შემდეგ** მიიღეს.

**თუ ადრე საქართველოს მეფისნაცვლები მართავდნენ, ახლა კოლექტიური ანანაცვლი–შვილები მართავენ!**

იგივე შეიძლება ითქვას **ანა ნაცვლიშვილზეც,** რომლის მამაც **ამირან ნაცვლიშვილი** ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გენერალური დირექტორი იყო და იმოდენა ქარხანა, ჩვენი ინდუსტრიის ერთ-ერთი ბურჯი, სადაც 10 ათასზე მეტი ადამიანი მუშაობდა, თავის ჯართიან-ჩარხიანად თურქეთის გზას გაუყენა. **როგორც ამბობენ, სწორედ ქუთაისის ავტოქარხნის რადიოში მუშაობდა თვითგამოცხადებული ჟურნალისტი და სპეცაგენტი ელისტრაკო კილაძეც.**

მოკლედ, ქურდბაცაცა და **ხალხის ქონების გამხაზირებელი ნაცვლიშვილები** მულტიმილიონერები გახდნენ, მაგრამ 2002 წელს **ამირან ნაცვლიშვილი** გაიტაცეს და ოჯახს ფული შეაწერეს. რამდენი მილიონი დოლარი მიატანინეს ნეტარი ანას მამიკოს გამოსასყიდის სახით, უცნობია, მაგრამ, **ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, ნაცემი, ნაბეგვი და ნათრევი ამირან ნაცვლიშვილი ელისტრაკო კილაძის მილიციონერმა ქმარმა სალორიის ტყეში იპოვა.** ცნობისათვის, ელისო კილაძის მილიციონერი მეორე ნახევარი სალორიის ტყეში ხშირად დადიოდა სოკოს საკრეფად, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ, ყოველი ხის ძირში სხვა რამეებს პოულობდა.

ამ ამბიდან ცოტა ხანში **ანა ამირანოვნას** ოჯახი კიდევ უფრო უარეს განსაცდელში აღმოჩნდა. საქმე ის გახლავთ, რომ **2004 წლის მარტში სააკაშვილმა ამირან ნაცვლიშვილი დაიჭირა და ვირის აბანოში შეაგდო! ზუსტად არავინ იცის, რამდენი მილიონი მიატანინა სააკაშვილმა ნაცვლიშვილს, რომელსაც საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს, 50 ათასი დოლარი ბიუჯეტში შეატანინეს და ავტოქარხანაც დაათმობინეს, ხოლო დანარჩენი მილიონები ჯიბეში ჩაიდეს და შეხვილიფეს!**

**ამირან ნაცვლიშვილმა** რომ დაინახა, საშველი აღარ იყო, გადამალულ თახჩებსა და ზანდუკებს თავი ახადა და მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა, ხოლო თავისი უმრწემესი ასული ანა **გველებით სავსე ტერარიუმში — არასამთავრობო ორგანიზაციაში შეაგდო, რათა ამ გზით გამოენახა საერთო ენა თავის გამტყავებლებთან და დამაქცევრებთან!**

აი, ასე დაიწყო **ამირან და ანა ნაცვლიშვილების** „ტრფობა წამებული“ ენჯეო-სექტორისა და აგენტურისა!

მარიფათიანი და ალღოიანი **ამირან ნაცვლიშვილის** ტაქტიკამ გაამართლა — **მამის მილიონების წყალობით, ანა ნაცვლიშვილმა „ენჯეო-სექტორში“ მალე პოზიციები გაიმყარა, უცხოეთის ენჯეო-აგენტად ეკურთხა, „საიას“ შეფინიაც კი გახდა და საბოლოოდ იმ სახედაკარგულ „ისტერიჩკად“ ჩამოყალიბდა, რომელიც ამ ათიოდე დღის წინათ საქართველოს პარლამენტში სიგიჟეებს აწყობდა...**

**ენჯეო-აგენტი ანა ნაცვლიშვილი** არის კლასიკური სახე იმისა, **თუ როგორ მოახერხა საბჭოთა პარტიულმა კლეპტოკრატიამ და მაფიამ ენჯეო-აგენტურის მეშვეობით რეანიმაცია, რეაბილიტაცია და დანარჩენი საზოგადოების ზომბირება!**

მართლაც, იმ კაცის შვილი, რომელმაც საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ქარხანა თავის ჩარხებიანად სტამბოლის ბაზარზე გაუყიდა და მერე საცხოვრებლად რუსეთში გადაბარგდა, დღეს საქართველოს მოსახლეობას თვალში ნაცარს აყრის და აბრმავებს — **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** აქტი რუსულია და რუსულ კანონს მხარი არ დაუჭიროთო!

**თუ ადრე საქართველოს მეფისნაცვლები მართავდნენ, ახლა კოლექტიური ანანაცვლიშვილები მართავენ!**

ყველა — **ეკა ბიგაური,** ბუხრიდან ჩამოვარდნილი **თამარ მიქელაძე, ბაია პატარაია, ლაშა ბუღაძე** და მთელი ის სამყაყეთი, რომელიც **მამუკა ხაზარაძის** გარშემო ტრიალებს, ერთობლიობაში ქმნის **კოლექტიურ ანანაცვლიშვილს,** რომლის აგენტურულმა საქმიანობამაც ქართველი ხალხის დოვლათის გაჩანაგებისა და „გახაზირების“ შუქზე იბარტყა...

ამ ცხოვრების ბინძური და უსამართლო ლოგიკა ასეთია — **იმისათვის, რომ ანა ნაცვლიშვილი წარმატებული ენჯეო-აგენტი გახდეს, აუცილებელია, მამამისმა ამირან ნაცვლიშვილმა ქუთაისის საავტომობილო ქარხანა თურქეთში ჯართად გაყიდოს და ქართველი ხალხის ქონება ზუსტად ისე მოიხმაროს, როგორც მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ მოსახლეობის ანაბრები შევარდნაძის ლოცვა-კურთხევით იხარჯეს და მერე საზოგადოებას უსინდისოდ განუცხადეს — ბიზნესი 500 დოლარით დავიწყეთო!**

აკაკი მართალი ყოფილა — ამათ ნახვას, ჯობდა, მართლაც საუკუნოდ დაძინება!

***დიტო ჩუბინიძე***

**მართალია, „აგენტების კანონი“ ჩავარდა, მაგრამ, სამაგიეროდ, აგენტები თავიანთი საცვლებიდან ამოვარდნენ და საბოლოოდ მაინც გაიშიფრნენ!**



# გელა ნიკოლაიშვილი: ვინც დროშის დაწვას აპირებს, კანონი გაითვალისწინოს!

***ეს უპრეცედენტო შემთხვევა თბილისში 1988 წლის ნოემბერში მოხდა, როდესაც ეროვნული მოძრაობის მძლავრი ტალღა ის-ის იყო, გორდებოდა: მთავრობის სახლთან გამართული მიტინგის ერთ-ერთი აქტივისტი, პოეტ ქიშვარდ ისაკაძის ვაჟი გაბრიელ (გაბული) ისაკაძე მთავრობის სასახლის სახურავზე ავიდა, გუმბათიდან საბჭოთა საქართველოს დროშა ჩამოხსნა და ძირს მოისროლა! ამ საქციელის გამო ის გიჟად მონათლეს და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს.***

*გაივლის თითქმის 35 წელი და მრავლისმომსწრე მთავრობის სახლის წინ ამჯერად **ევროკავშირის დროშა** დაენარცხება ქართველი ახალგაზრდების სისხლით არაერთხელ მორწყულ ფილაქანს; შემდეგ კი მას ცეცხლის ალი დანთქავს...*

*— **„ეგ ჭინჭი ჩამოვხსენი და ჯარიმის ქვითარი გამომიგზავნეთ სახლში!“** — ასე შეუთვალა ხელისუფლებას პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე ახალგაზრდა პოლიტიკოსმა **ზურაბ მახარაძემ,** რომელმაც ევროკავშირის სახელმწიფო სიმბოლო დემონსტრაციულად გაანადგურა!*

*აქციიდან რამდენიმე დღეში იგი პოლიციაში მართლაც დაიბარეს და **1000 ლარით დააჯარიმეს,** რამაც მრავალრიცხოვანი საზოგადოების საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. **სოციალურ ქსელებში ცალკეული ადამიანები აღფრთოვანებას გამოხატავენ, რომ უზარმაზარი სიამოვნება — საქართველოს შინაურ საქმეებში უხეშად ჩამრევი ევროკავშირის დროშისათვის ცეცხლის წაკიდება — არცთუ ძვირი ღირებულა!** როგორც თავად წერენ, ასობით ადამიანი უკვე მზად არის, **ზურაბ მახარაძის** საქციელი გაიმეოროს! **და მაინც, რას ამბობს კანონი და რა ტარიფებია განსაზღვრული საქართველოს კანონმდებლობაში სახელმწიფო სიმბოლიკის დაწვისთვის, თუნდაც ის სააკაშვილის ნაცისტური პარტიის ყოფილი დროშა იყოს? ვესაუბრებით უფლებადამცველს და ადვოკატს გელა ნიკოლაიშვილს:***

— ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174-18 პრიმა მუხლის მიხედვით, **ევროპის კავშირის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) ან სხვა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციის, რომელშიც საქართველოა გაერთიანებული — ოფიციალური სიმბოლოს შებღალვა; ან ისეთი დროშის და ღერბის შებღალვა, რომლის მფლობელ სახელმწიფოსთან საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები გააჩნია — სასჯელს ითვალისწინებს.** ოღონდ, კანონის მიხედვით, სასჯელი მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოქმედდება, თუ შებღალული სიმბოლო რომელიმე საჯარო დაწესებულებაზე იყო აღმართული ან გამოფენილი! ანუ, ამ კანონის მიხედვით, ისჯება არამხოლოდ ევროკავშირისა და ნატოს, არამედ, ვთქვათ, ჩინეთის სახელმწიფო სიმბოლოს შებღალვაც!

**— რას ითვალისწინებს სასჯელი?**

— სასჯელი ითვალისწინებს სიმბოლოს შემბღალავი პირის **1000 ლარის ოდენობით** დაჯარიმებას. დანაშაულის განმეორების შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა ორმაგდება და **2000 ლარს** შეადგენს. კანონი ასეთ შემთხვევაში **15 დღით ადმინისტრაციულ პატიმრობასაც** ითვალისწინებს.

**— რა მოხდება, თუ იგივე პირი მესამედ ჩაიდენს ანალოგიურ დანაშაულს?**

— ისევ 2000 ლარით დაჯარიმდება, ან 15 დღით პატიმრობა შეეფარდება.

**— ხომ შეიძლება დავუშვათ ასეთი ვარიანტი: შეიკრიბოს რამდენიმე თანამოაზრე და პერიოდულად, რიგრიგობით ჩამოხსნან და დაწვან ევროკავშირის დროშა. მათ რა ელით?**

— ამ დანაშაულის პირველად ჩადენის შემთხვევაში, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჯარიმა **1000 ლარია.** ალბათ, ასეთ შემთხვევაში, **ისინი რიგრიგობით დაჯარიმდებიან 1000-1000 ლარით,** მაგრამ, თუ დროშის შეურაცხყოფა ესტაფეტურ და სისტემატურ ხასიათს მიიღებს, დიდი ალბათობით, კანონშემოქმედები მის გამკაცრებაზეც იზრუნებენ **და შეიძლება, ჯარიმის ოდენობა 10-ჯერაც გაზარდონ.**

**— მაგრამ საქართველო ხომ არც ევროკავშირის და არც ნატოს წევრი არ არის?**

— სწორედ ამიტომ **კანონში ცალკეა გამოყოფილი ევროკავშირისა და ნატოს სიმბოლიკა.** ამას მოსდევს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლის წევრიც საქართველო უკვე არის, ვთქვათ, **„ეუთო“** (ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაცია) და შემდეგ ყველა იმ ქვეყნის სიმბოლიკა, რომლებთანაც საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები აქვს.

**— დაწვის გარდა, სიმბოლოს შებღალვაში რა იგულისხმება?**

— **ნებისმიერი სახით ზიანის მიყენება: დახევა, სალებავის შესხმა, გათელვა, გადაგდება და უამრავი სხვა მოქმედება, რომელიც უდიერ დამოკიდებულებასთან ასოცირდება.**

## ოღონდ სასჯელი ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შებღალული დროშა, ღერბი ან სხვა სიმბოლო ნებისმიერ საჯარო დაწესებულებაზე იყო აღმართული, მაგალითად, მთავრობის სახლზე, პარლამენტთან, კანცელარიასთან, საელჩოსთან, სასამართლოსთან, თუნდაც, სკოლის ეზოში და ა.შ.

**— ვთქვათ, საღებავი შევასხი ევროკავშირის დროშას, რომელიც მრავალსართულიანი კორპუსის ეზოშია აღმართული, დავისჯები?**

— **ამ კანონის ფარგლებში არ დაისჯებით, თუ ხელყოფთ, ვთქვათ, საცხოვრებელი კორპუსის ეზოში ან რომელიმე მაღაზიის სახურავზე გამოფენილ ევროკავშირის დროშას.** მაგრამ ადმინისტრაციული სასჯელი შეიძლება მაინც შეგეხოთ, თუ დროშის პატრონი მისი ქონების, მისი კუთვნილი ნივთის დაზიანების გამო გიჩივლებთ, მაგრამ ეს უკვე ცდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს.

**— ჩემს საკუთარ ეზოში თუ დავწვავ ევროკავშირის ან ნატოს დროშას, ვინმე პასუხს მომთხოვს?**

— ასეთ შემთხვევაში ვერავინ შეგედავებათ!

**— თუ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ვცხოვრობ და პარლამენტის შენობის ფანჯრები ჩემს აივანს უყურებს, სადაც ევროკავშირის დროშას ცეცხლს მოვუკიდებ?**

— **სრული უფლება გაქვთ ამის ჩადენის, მთავარია, სახანძრო უსაფრთხოების წესები არ დაარღვიოთ!**

**— პარლამენტის წინ მე თავად რომ მივიტანო ევროკავშირის დიდი დროშა და ცეცხლი წავუკიდო — რა მელის?**

— ამ კანონის მიხედვით, **სასჯელს არ იმსახურებთ, თუ დროშა, რომელსაც დაწვავთ, საჯარო დაწესებულებიდან არ ჩამოგიხსნიათ...** მაგრამ შესაძლოა, დაგაკავონ და დაგაჯარიმონ ტერიტორიის დანაგვიანებისათვის.

**— რა მელის, თუ დავწვავ დროშას ან ღერბს, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს, ვისთანაც საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს?**

— იმ სახელმწიფოს სიმბოლო, რომელსაც საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვს, საქართველოს მასშტაბით საჯარო დაწესებულებებზე აღმართული არც იქნება. შესაბამისად, თქვენ ასეთ დანაშაულს ვერ ჩაიდენთ!

**— ანუ რუსეთის დროშის დაწვას კანონი არ კრძალავს?**

— ასე გამოდის, რადგან **საქართველოს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები არ გააჩნია, მისი დროშის დაწვა არ დაისჯება!**

**— და თუ დროშა ვთქვათ, რუსეთის საკონსულოზეა აღმართული?**

— ასეთი დროშის ხელყოფაც ამ კანონის ფარგლებში არ ისჯება. ალბათ, ასეთ შემთხვევა-

რუსეთის დროშის დაწვა ბათუმსა და თბილისში გამართულ საპროტესტო აქციებზე





**„— ჩემს საკუთარ ეზოში თუ დავწვავ ევროკავშირის ან ნატოს დროშას, ვინმე პასუხს მომთხოვს?**
**— ასეთ შემთხვევაში ვერავინ შეგედავებათ!“**

**„— აქციაზე ცოცხს თუ მივიტან, ამის გამო ნაცები ხომ ვერ მიჩივლებენ?**
**— ვერ გიჩივლებენ, თუ ცოცხს დანიშნულებით იყენებთ... და რომც გიჩივლონ, სასამართლოში აუცილებლად გამართლდებით!“**

## კვირგვინოსნები

**ლაშა ქოიავა**
*თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი, სამხედრო ექსპერტი*



2007-ში სისხლის სამართლის კოდექსში **სამშობლოს ღალატის მუხლი** გაუქმდა. იმ დროს ჯარი დააკნინეს, უფლებები ჩამოართვეს, პოლიციური მართვა დაიწყო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ **ოქრუაშვილის მინისტრობის დროს თათბირებზე მინისტრი ოფიცრებს აგინებდა.** ამის გამო ბევრმა ოფიცერმა ჯარი დატოვა. ნებისმიერ აღშფოთებულ ოფიცერს სამსახურიდან უშვებდნენ. აგვისტოს ომის შემდეგ ცხადი შეიქმნა, რომ **ჯარი გამწარებული და უკმაყოფილო იყო,** რაც ხელისუფლებას, ცოტა არ იყოს, აშინებდა. ჯარი რომ იქით დაეშინებინათ, **მუხროვანის ამბოხების ინსპირირება მოხდა,** ხელოვნურად შეუწყვეს ხელი სიტუაციას.

„კვირის პალიტრა“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**კანადა, საბერძნეთი, ბოსნია** და ახლა **ევროკავშირი** დაიწყებს ისეთი კანონპროექტის ინიცირებას, რომელიც დააზღვევს მათ საზოგადოებას უცხო გავლენებისგან! ჩვენ კი, ვისაც როდესაც მოეპრიანება, **თითს გაგვიტკაცუნებს და ჩვენც ცალ ფეხზე შევხტეთ.**

„იმედინიუსი“

**რეზო ჩხიკვიშვილი**
*მსახიობი*



30 წელია, ევროპაში ვცხოვრობ და, რა თქმა უნდა, **მივესალმები ევროინტეგრაციას!** აქაური ქართველობა, ყველა, ვინც იცის თავისუფლების, ღირსების ფასი, **გახარებულია კანონის უკან გაწვევით.** ვულოცავ ჩემს ხალხს ამ დიდ გამარჯვებას!

„კვირის პალიტრა“

# „იმ დასავლეთში, რომლისკენაც მივილტვით, დროშების დაწვაც არაერთხელ გვინახავს და ფიტულებისაც!“

შიც, სხვისი ქონების განზრახ დაზიანების შესაბამისად, დადგება პასუხისმგებლობის საკითხი.

**— საქართველოს დროშის შებღალვაც დასჯადია?**

— რა თქმა უნდა!

**— და თუ იგი საჯარო დაწესებულებაზე არ იყო აღმართული?**

— სანქცია მაინც ამოქმედდება, ოღონდ არა ამ კანონის მიხედვით. **არსებობს ცალკე კანონი სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ და იმის ფარგლებში ამოქმედდება სანქცია!**

**— ჩაითვლება თუ არა დროშის შებღალვაში, ვთქვათ, მისი გადაკეთება? თუნდაც უკრაინის დროშის ფერებში გადაღებვა?**

— ეს უკვე სასამართლოს სხდომაზე **მოსამართლის მხრიდან შეფასების საგანია.** შესაძლოა, სასამართლომ ასეთი ქმედება ეროვნული სიმბოლიკის შეურაცხყოფად მიიჩნიოს.

**— ზოგი ქვეყნის სიმბოლოს კანონი იცავს, ზოგ სიმბოლოს კი პირდაპირ გმობს. მაგალითად, საქართველოში მოქმედებს კანონი, რომლის მიხედვითაც აკრძალულია საბჭოთა და ფაშისტური სიმბოლიკების გამოფენა.**

— 2011 წელს მიღებულ ამ კანონს, სახელწოდებით **„თავისუფლების ქარტიას“** ხალხში **„პადოშას კანონს“** ეძახიან, რადგან პოლიტიკოს **გია თორთლაძის** მიერ არის ინიცირებული. „თავისუფლების ქარტია“ ითვალისწინებს ფაშისტური და საბჭოთა სიმბოლოების ამკრძალავი კომისიის შექმნას, რომლის წევრები უნდა იყვნენ პარლამენტის ფრაქციათა წარმომადგენლები. კომისიის წევრებს ევალებათ, გასწიონ მეთვალყურეობა, რათა აღნიშნული სიმბოლიკის გამოფენა ძეგლებზე, ბარელიეფებზე და საჯარო დაწესებულებებზე აღკვეთონ; ასევე ამ კომისიის წევრებს დაშვება აქვთ საიდუმლო დოკუმენტაციაზე და უფლება ეძლევათ, თუ აღმოაჩენენ, რომ რომელიმე პარლამენტარი, მინისტრი, საჯარო თანამდებობის პირი, მოსამართლე, პროკურორი და ა.შ. ადრე თანამშრომლობდა საბჭოთა სუკ-თან, ანუ „კაგებესთან“, გააფრთხილონ, დატოვოს დაკავებული თანამდებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი თანამშრომლობა გასაჯაროვდება!

**— განა ეს სახელმწიფოს მხრიდან შანტაჟის ლეგალიზაცია არ არის?**

— გეთანხმებით, ოფიციალური შანტაჟია!

**— ახლოვდება ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მორიგი თარიღი, როდესაც ქართველმა ვაჟკაცმა ბერლინში, რაიხსტაგის შენობაზე გამარჯვების საბჭოთა წითელი დროშა აღმართა. მე რომ მელიტონ ქანთარიას გმირობის პერფორმანსი მთავრობის სახლთან დავაპირო და მოდელირებულ რაიხსტაგზე წითელი საბჭოთა დროშა დავამაგრო — დამსჯიან?**

— ასეთ შემთხვევაში შესაძლოა, სასჯელი არ მოგესაჯოთ. **„თავისუფლების ქარტია“ საბჭოთა სიმბოლოების საჯარო ადგილებში გამოფენას კრძალავს, მაგრამ, როდესაც რაიმე თარიღთან არის დაკავშირებული პერფორმანსი, შეიძლება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, მხოლოდ გაგაფრთხილონ...**

**— მაგრამ ჩვენ ბევრჯერ ვნახეთ, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან სტალინის პლაკატებით მისული პაპებისათვის თითისტოლა მოსყიდულ ლაწირაკებს როგორ დაუშენიათ კვერცხები, თან გინებითაც შეუმკიათ.**

— რა თქმა უნდა, ასეთი ქმედებაც, თავის მხრივ, სასჯელს ითვალისწინებს და დასანანია უმოქმედობა პოლიციის მხრიდან.

**— ვთქვათ, ჩემი ბაბუის მედალი, რომლითაც იგი სამამულო ომში დააჯილდოვეს — მკერდზე ან სპეციალურ ბალიშზე დავაბნიე და ასე გამოვედი საჯარო თავშეყრის ადგილზე — ნუთუ „საბჭოთა სიმბოლიკის“ ტარების გამო სასჯელი მემუქრება?**

— „თავისუფლების ქარტიის“ კანონის თანახმად, თუ თქვენს საქციელში რაიმე დარღვევა შეინიშნება, ამის შესახებ ჯერ სპეციალურმა კომისიამ უნდა გაგაფრთხილოთ. დადგენილ ვადაში კომისიის მითითების შეუსრულებლობა პირველ შემთხვევაში იწვევს უფლებამოსილი პირის გაფრთხილებას; მოქმედების გამეორების შემთხვევაში კი, **1000 ლარით** დაჯარიმებას! ეს უკვე **2013 წლის 5 დეკემბრის კანონში** წერია.

**— ისევ ევროკავშირის დროშას დავუბრუნდეთ. რა მოხდება, თუ სახლიდან სპეციალურად ამ მიზნით წამოღებულ ამ დროშას დავწვავ პარლამენტის სხდომათა დარბაზში, როდესაც საკომიტეტო სხდომაზე სტუმრად ვიქნები მიწვეული?**

— **გამოიძახებენ სახანძროს და ხანძარს ჩააქრობენ, თავად დაწვის აქტის გამო კი ვერაფერს გეტყვიან, მაგრამ, თუ დარბაზში ინვენტარი დაზიანდება, ეგ უკვე სხვა კანონით გათვალისწინებული დანაშაული იქნება.**

**— რა ელის იმ მოქალაქეს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო დროშად აღიარებულ ალამს დაწვავს?**

— საქართველოს დროშა რატომღა უნდა დაწვათ?

**— ძალიან ბევრი მოქალაქე ამ დროშას საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოდ არ აღიარებს, მას სააკაშვილის პარტიულ დროშად მიიჩნევს, რომელიც სახელმწიფო სიმბოლოს რანგში დიდი დარღვევებით მოგვახვია.**

— ამის მიუხედავადაც, ამჟამად სწორედ ეს დროშა ითვლება საქართველოს სახელმწიფოს სიმბოლოდ და მის შებღალვაში ჩაგეთვლებათ, რაც სათანადო ჯარიმით ისჯება.

**— ბაიდენის ან კუბილიუსის ფიტული რომ დავწვა, მაგაზეც დავჯარიმდები?**

— არ დაჯარიმდებით. **იმ დასავლეთში, რომლისკენაც მივილტვით, დროშების დაწვაც არაერთხელ გვინახავს და ფიტულებისაც!** ეს ქმედება მთლიანად თავსდება თქვენი გამოხატვის თავისუფლებაში, მთავარია, ტერიტორია არ დაანაგვიანოთ ან სახანძრო უსაფრთხოების წესები არ დაარღვიოთ.

**— იაპონიაში აპრობირებული მეთოდია, ქარხნის შესასვლელთან იდგეს ამ ქარხნის დირექტორის კაუჩუკისგან დამზადებული მაკეტი და მუშებმა, რომელთაც დირექტორი სძულთ, ჯავრი ამ მაკეტზე იყარონ — სცემონ, აფურთხონ, აგინონ, გათელონ... კანონი ხომ არ მიკრძალავს, რომელიმე საძულველი პოლიტიკოსის მსგავსი მაკეტი მთავრობის სახლის წინ მივიტანო და მოქალაქეებს მოდელირებული შურისძიების საშუალება მივცე?**

— ამისი უფლება გაქვთ. **შეგიძლიათ, შეურაცხყოთ როგორც ქართველი, ისე უცხოელი პოლიტიკოსის ფიტული და ნებისმიერი იმ ადამიანის ფიტულიც, ვინც გულზე არ გეხატებათ.** მთავარია, უშუალოდ იმ ადამიანს არ შეეხოთ. შეგიძლიათ, ფიტული კიდეც დაამსხვრიოთ, ოღონდ აქციაზე მყოფ წესრიგის დამცველებს უნდა განუცხადოთ, რომ ნაგავის მიტოვებას არ აპირებთ და მის გასატანად ცოცხი და აქანდაზიც აჩვენოთ!

**— აქციაზე ცოცხს თუ მივიტან, ამის გამო ნაცები ხომ ვერ მიჩივლებენ?**

— ვერ გიჩივლებენ, თუ ცოცხს დანიშნულებით იყენებთ... და რომც გიჩივლონ, სასამართლოში აუცილებლად გამართლდებით!

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

ევროკავშირის დროშის ჩამოგდება და დაწვა თბილისში გამართულ საპროტესტო აქციებზე





**„— თუ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ვცხოვრობ და პარლამენტის შენობის ფანჯრები ჩემს აივანს უყურებს, სადაც ევროკავშირის დროშას ცეცხლს მოვუკიდებ?**
**— სრული უფლება გაქვთ ამის ჩადენის, მთავარია, სახანძრო უსაფრთხოების წესები არ დაარღვიოთ!“**

## კვირგვინოსნები

**ლევან ღვინჯილია**
*ენათმეცნიერი*



საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და პრესის საყურადღებოდ! შესიტყვება — **„კანონის გაწევა“** ენობრივი თვალსაზრისით არის უაზრობა; **„გაწევა“, „მიწევა“, „დაპატიჟება“** და მისთანანი შეიძლება მხოლოდ ადამიანისა. სიტყვა **„ადამიანს“** ქართულ ენაში დაესმის კითხვა **„ვინ?“;** ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, **„ადამიანი“ „ვინ ჯგუფის“** არსებითი სახელია. **„კანონს“** კი დაესმის კითხვა — **„რა?“; „კანონის გაწევა“** ენობრივად და, მაშასადამე, პრაქტიკულადაც, შეუძლებელია. ამდენი ქართული მესამეკლასელმა ბავშვებმაც კი უნდა იცოდნენ, არათუ „ ხალხის რჩეულმა კანონმდებლებმა“, მთავრობის წევრებმა თუ განსწავლულმა ჟურნალისტებმა.

„ალია“

**ზაზა ხატიაშვილი**
*ადვოკატი*



რაც ამ ქვეყანაში ბოლო წლებში უბედურება მოხდა, ეს ოპოზიციური ტელევიზიები არიან დამნაშავენი — **„ტვ პირველი“, „ფორმულა“ და „მთავარი არხი“.** ეს ტელევიზიები კონკრეტული პარტიების დღის რეჟიმში, მხოლოდ მათ პიარზე მუშაობენ და ახლა **პოლიტიკოსების ხშირად გამოჩენა** ამ საპროტესტო მუხტის ჩაკვლას ნიშნავს.

„ალია“

**ზაალ კასრაშვილი**
*პოლიტოლოგი*



მინდა-არ მინდაზე რომ არ იყოს აწყობილი სამშობლოსთვის სამსახური, უპირველესად, უნდა მივიღოთ კანონი იმის შესახებ, რომ **ადამიანი, რომელიც არ იქნება ნამსახურები ქართულ ჯარში,** ვერასდროს იმუშავებს სახელმწიფო სამსახურში.

„თბილისელები“

**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი, პარლამენტარი*



მე ვარ თავდაცვის კოდექსის მომხრე და **თუ გვინდა, გვქონდეს უსაფრთხო ქვეყანა,** უნდა დავაბრუნოთ გაწვევის სისტემა.

„რეზონანსი“

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საავადმყოფოში მიძინება!




## მეტი რაღა უნდა თქვას სააკაშვილმა: არაბული რევოლუციები ბუშმა და კონდოლიზამ მოაწყვესო!



***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

**მიხეილ სააკაშვილი** თავის მემუარებში ცალკე ქვეთავს უძღვნის **ჯორჯ ბუშ-უმცროსსა** და **ბარაკ ობამას** და, მათთან პირადი ურთიერთობის კვალობაზე, ამერიკის ამ ორი პრეზიდენტის, ასე ვთქვათ, შედარებით ანალიზს აკეთებს!

მემუარისტი ასეთი საინტერესო პასაჟით იწყებს თავის თხრობას:

> ***„კონკრეტულად ამერიკის და, ზოგადად, მსოფლიოს თვალში ბუში ბევრად უფრო არაპოპულარული იყო, ვიდრე ობამა. ეს უკანასკნელი თავიდანვე ვარსკვლავი იყო, რომელმაც თითქმის მთელი პრეზიდენტობის განმავლობაში უფრო მეტ პოპულარობას მიაღწია, ვიდრე ეს შეძლო ჯორჯ ბუშმა. ობამას ჰქონდა ინტელექტუალის იმიჯი, ბუში ასეთ აღიარებას თითქოს არც დაგიდევდათ, შესაბამისად, ოდნავ დაუდევარი ჩანდა, არაწიგნიერი კაცის სახელი დაუმკვიდრა პრესამ, ხშირად არასწორად წარმოთქვამდა სიტყვებს; ბევრ ამერიკელს დღემდე იგი გონებაშეზღუდულად მიაჩნია“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 369).*

გეგონება, სააკაშვილი ბუშზე კი არა, საკუთარ თავზე ლაპარაკობსო — თვითონაც ეშლებოდა სიტყვები... პირდაპირ ეთერში რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველივე სტროფების კატასტროფულ ციტირებაზე კი მთელი საქართველო იცინოდა!

სააკაშვილი თავადაც აღიარებს, **ბუში** ჩემზე გონებასხარტი იყოო:

> ***„სინამდვილეში კი ბუში სრულიად საპირისპირო თვისებების მატარებელია. ის უჭკვიანესი და სხარტად მოაზროვნე ადამიანია. ასეთი ნათელი გონების ადამიანი იშვიათად შემხვედრია ცხოვრებაში. მასთან ყოველი შეხვედრის შემდეგ ყოველთვის ჩემი თავის უკმაყოფილო ვიყავი. ყოველთვის მრჩებოდა უკმარისობის განცდა, რადგან ყოველთვის ვერ ვახერხებდი რეაგირებას, არ გამომდიოდა მის მსგავსად იმპროვიზაცია, რაც ბუშს უნიჭიერესად ეხერხებოდა. ბევრჯერ ძალიან კონკრეტულ კითხვებზეც კი არ გამაჩნდა ზუსტი პასუხები და ვერც იუმორში ვუდებდი ტოლს. იმიტომ რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი იუმორის ადამიანია, რომელიც ოდესმე შემხვედრია ცხოვრებაში“*** *(იქვე, გვ. 369).*

სამაგიეროდ, სააკაშვილი ობამას ძალიან სწორხაზოვან პოლიტიკოსად ახასიათებს:

> ***„ობამასთან ყველაფერი სრულიად საწინააღმდეგოდ იყო. ობამასთან შეხვედრის მთელი შინაარსის დაწერა შეიძლებოდა წინასწარ. შეგეძლო, ჩაგენიშნა ამდაგვარად: „მე ვეტყვი ამას. ის მიპასუხებს ამას. შენ იტყვი ამას, ის გიპასუხებს ამას. ის იტყვის ამას, მე უნდა ვუპასუხო ეს“. პრაქტიკულად, ეს იყო მთლიანად სტრუქტურიზებული ადამიანი, რომელიც არასოდეს გადადიოდა არც მარცხნივ, არც მარჯვნივ, ხანდახან უბრალოდ, რობოტის შთაბეჭდილებას ტოვებდა თავის ინტერაქციაში“*** *(იქვე, გვ. 369).*

სააკაშვილი იმასაც კი გვიმხელს, რომ **ობამას** საქართველო სპეციალურად შეაძულეს:

> ***„ობამას თავიდანვე ჰქონდა ჩვენ მიმართ არასწორი დამოკიდებულება, ვფიქრობ, ასე ვიღაცამ ჩააგონა. 2008 წლის შემოდგომაზე უკვე გვერდის ნაკბენივით ახსენდებოდა ომის დაწყება, ვინაიდან მაკკეინმა უსწრაფესი რეაგირება მოახდინა და ობამა მაშინ უგულისყურობის და იმის გამო, რომ რეაგირება უკიდურესად დააგვიანა, გააკრიტიკეს. მისმა მრჩეველმა მაკფოლმა ობამას ურჩია, დაერეკა ჩემთან. მართლაც დამირეკა და დაგვპირდა ფინანსურ დახმარებას მისი გამარჯვების შემთხვევაში და თანაც, ბაიდენი მისი მოთხოვნით ჩამოვიდა საქართველოში...***
>
> ***ვიღაცამ ჩააგონა, ვფიქრობ, ეს იყო ემანუელი, მისი ადმინისტრაციის პირველი უფროსი და მაშინდელი კამპანიის მთავარი ფიგურა, რომ სინამდვილეში, ომი ჩვენ დავიწყეთ სპეციალურად ჯონ მაკკეინთან ერთად, საშუალება რომ მიგვეცა მისთვის არჩევნებში გაემარჯვა.***
>
> ***რა თქმა უნდა, ადმინისტრაციაში იყო ბაიდენი, ადმინისტრაციაში იყო მაკფოლიც, რომელთაც იცოდნენ, რომ ეს ყველაფერი სისულელეა, მაგრამ მის გულის სიღრმეში მაინც დარჩა ეჭვი, რომ ეს იყო ჩემი და მაკკეინის ერთობლივი შეთქმულება მის წინააღმდეგ. ამიტომ მის ცივ დამოკიდებულებას მუდამ ვგრძნობდი მისი პრეზიდენტობის განმავლობაში“*** *(იქვე, გვ. 370).*

ფაქტია, სწორედ ამ დამოკიდებულების შედეგი იყო, რომ 2012 წლის ოქტომბერში, როდესაც სააკაშვილის ნაცრეჟიმი დამარცხდა „ქართულ ოცნებასთან“ საპარლამენტო არჩევნებში და ამის მიუხედავად, არჩევნების შედეგების გაყალბებით, მაინც აპირებდა საპარლამენტო უმრავლესობის უზურპირებას, **პრეზიდენტ ობამას** ადმინისტრაციამ ნაცთა ბელადი აიძულა, ეღიარებინა არჩევნებში დამარცხება!

შემდეგ მემუარისტი იხსენებს, როგორი გავლენა მოახდინა მსოფლიოზე ბუშის გატაცებამ „დემოკრატიული რევოლუციების“ თეორიით:

> ***„ჯორჯ ბუში მართლაც აღტაცებული იყო საქართველოთი და ძალიან თბილ დამოკიდებულებას გამოხატავდა ჩემ მიმართ. იყო პერიოდები, კვირა არ გავიდოდა, გატაცებით არ ემბნა ტელეფონით თავისი დემოკრატიის პროგრამაზე, გატაცებული იყო ცნობილი ებრაელი დისიდენტის ნათან შჩერანსკის წიგნით „დემოკრატიაზე“ და საქართველო მიაჩნდა ამგვარი დემოკრატიის სრულქმნილ ნიმუშად“*** *(იქვე, გვ. 372).*

არადა, როგორი „სრულქმნილი დემოკრატიაც“ საქართველო იყო, ეს სტრასბურგის სასამართლომაც კი გამოააშკარავა, როდესაც 2010 წელს გირგვლიანის საქმეზე მთელი სააკაშვილის რეჟიმი გამოაცხადა დამნაშავედ!



55

## მიხეილ სააკაშვილი:

# ბევრ ამერიკელს ბუში დღემდე გონება-შეზღუდულად მიაჩნია!



## ვინ და რატომ შეაძულა ობამას სააკაშვილი და საქართველო?!

მემუარისტი ისე გაერთო ბუშის დემოკრატიული ექსპერიმენტების ხოტბაში, რომ პირდაპირ, აღიარებით ჩვენებას იძლევა, ვინ აწყობდა მსოფლიოში „ფერად რევოლუციებს“:

> ***„მან უწოდა საქართველოს „დემოკრატიის შუქურა“. ბუშისთვის იყო საქართველო განსაკუთრებით საყვარელი ადგილი და განსაკუთრებით საგულისხმო ქვეყანა მისი პრეზიდენტობისას. „ვარდების რევოლუცია“ იყო მისთვის პირდაპირ მისწრება, იმიტომ, რომ დაემთხვა სწორედ იმ პერიოდს, როდესაც მისთვის დემოკრატიის თემა უმთავრესი გახდა.***
>
> ***უნდა ითქვას, რომ სწორედ ბუშის ადმინისტრაციის დროს მოხდა რევოლუციები ეგვიპტეში, კონდოლიზა რაისის ინიციატივად იყო მიჩნეული „არაბული გაზაფხულის“ დაწყება და ამ მხრივ ბუში ბევრად უფრო პროდემოკრატიული იყო და ბევრად უფრო იდეოლოგიზებული, ვიდრე ობამა, რომელიც უფრო პრაგმატული პოლიტიკის მიმდევარი გახლდათ“*** *(იქვე, გვ. 372).*

**მეტი რაღა უნდა თქვას სააკაშვილმა: არაბული რევოლუციები ბუშმა და კონდოლიზამ მოაწყვესო!**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***





**კახა საბახტარიშვილი:**

# გრეიპფრუტის წვენი რეაქციაში შედის წამლების უმრავლესობასთან და მათ საწამლავად აქცევს!

***ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი საგანგებოდ გვაფრთხილებს, რომ, თუ შესაბამის წესებს არ დავიცავთ, ძალზე ეფექტური და სწორად შერჩეული წამალიც კი შესაძლოა, საწამლავად გვექცეს:***

— ხშირია შემთხვევები, როდესაც სწორად დანიშნული მედიკამენტიც კი ადამიანისთვის აბსოლუტურად უსარგებლო ან ზიანის მომტანი ხდება, რადგან პაციენტთა უმეტესობა წამლის მიღების რეკომენდაციებს უგულებელყოფს. ადამიანები გამოუსწორებელ შეცდომას თავიდანვე უშვებენ, როცა ფიქრობენ, რომ თუ წამალი დღეში სამჯერ, ოთხჯერ ან მეტჯერ არის მისაღები, პრეპარატი მხოლოდ დილიდან საღამომდე, ანუ მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე უნდა დალიონ. არადა, სინამდვილეში **დღეში იგულისხმება, არა მზის შუქი, არამედ ერთი დღე-ღამე, ანუ 24 საათი.** აქედან გამომდინარე, თუ წამალი დღეში ორჯერ არის დასალევი, ის 12-საათიანი ინტერვალით უნდა მივიღოთ. შესაბამისად, წამლის მიღება დღეში სამჯერ იმას ნიშნავს, რომ მედიკამენტის მოხმარებას შორის ინტერვალი 8 საათი უნდა იყოს და ა.შ. გვახსოვდეს, თუ გვინდა, რომ წამლისგან მაქსიმალური ეფექტი მივიღოთ, მაშინ ერთსა და იმავე დროს უნდა დავლიოთ!

**— რას ნიშნავს წამლის მიღება უზმოზე, ჭამის წინ და ჭამის შემდეგ და რა განსხვავებაა მათ შორის?**

— უზმო ნიშნავს, როცა წამალი მიიღება დილით, საუზმემდე 30 წუთით ადრე. გვახსოვდეს: უზმოზე მხოლოდ მცენარეული ნაყენები, ნახარშები და პინქტურები უნდა დავლიოთ, რადგან ასეთ დროს კუჭის წვენის სეკრეცია არ ხდება, ის რეაქციაში არ შედის და არ ანეიტრალებს მცენარეში შემავალ აქტიურ ქიმიურ კომპონენტებს. ჭამამდე, როგორც წესი, ძირითადად მიიღება შარდმდენი, კუჭის წვენის მჟავიანობის დამწევი, წყლულის საწინააღმდეგო, საგულე და კალციუმის პრეპარატები. რაც შეეხება წამლის მიღებას ჭამის შემდეგ, ეს იმას ნიშნავს, რომ მედიკამენტი დანაყრებიდან საათნახევრის ან 2 საათის შემდეგ უნდა დავლიოთ! წამალს ჭამის დროსაც ღებულობენ... ეს, ძირითადად, საჭმლის მომნელებელ ფერმენტებს ეხებათ — **ფესტალს, კრეონს, მეზიმ ფორტეს, პანკრეატინსა** და სხვ. დიდი მნიშვნელობა აქვს, როდის მივიღებთ წამალს — დილით თუ საღამოს! საერთოდ, დილით უმჯობესია, შარდმდენი, ჰორმონალური და მატონიზირებელი მედიკამენტები მივიღოთ, ხოლო საღამოს — დამამშვიდებელი, საძილე, ანტიჰისტამინური, ასთმის საწინააღმდეგო და წნევის მარეგულირებელი საშუალებანი.

მას შემდეგ, რაც წინა ინტერვიუში განვაცხადე, რომ წნევის მარეგულირებელი პრეპარატები ძილის წინ უნდა მივიღოთ და არა დილით, როგორც ეს ფართოდ არის გავრცელებული, არაერთი ადამიანი დამიკავშირდა. ზოგი მეთანხმებოდა, ზოგი — არა. ჩემი მოსაზრება ესპანელი კარდიოლოგების კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა! ისინი ხუთი წლის განმავლობაში 19 ათას ადამიანს აკვირდებოდნენ. ექსპერიმენტში მონაწილეთა ერთი ჯგუფი წნევის დამარეგულირებელ მედიკამენტს დილის საათებში ღებულობდა, მეორე — ძილის წინ... კვლევამ აჩვენა, რომ ხუთ წელიწადში მათ შორის, ვინც წნევის დამარეგულირებლებს ძილის წინ სვამდა, ინსულტებისა და ინფარქტების რიცხვი 45 პროცენტით შემცირდა. კვლევამ ისიც აჩვენა, რომ დღეში ერთხელ, ძილის წინ მარეგულირებელი პრეპარატი გაცილებით უკეთ არეგულირებდა წნევას მთელი დღის განმავლობაში, ვიდრე დილით მიღებული. კიდევ ერთხელ ვიმეორებ:

## წნევის დამარეგულირებელი პრეპარატები სწორედ ძილის წინ მივიღოთ, რადგან ინსულტებისა და ინფარქტების უმეტესობა ღამის საათებსა და გამთენიისას ხდება!

დავიმახსოვროთ, რომ ადამიანს ყველაზე მაღალი წნევა 06:00 საათიდან 10:00 საათამდე შუალედში აქვს! აქედან გამომდინარე, ძილის წინ მიღებული წნევის დამარეგულირებელი სისხლში მაქსიმალურ კონცენტრაციას სწორედ ამ საათებში აღწევს და საშიში გართულებებისგან გვიცავს.

**— თანამედროვე ქიმიური მედიკამენტების სიჭარბე სულ უფრო და უფრო ხშირად იწვევს ისეთ უკუჩვენებას, როგორიც გახლავთ კუჭის გაღიზიანება. როგორ უნდა დავიცვათ კუჭი სამედიცინო პრეპარატების მავნე ზემოქმედებისგან?**

— უნდა ვიცოდეთ, რომ ტკივილგამაყუჩებლები და ასპირინის ჯგუფის სიცხის დამწევები კუჭის ლორწოვან გარსს აზიანებს. ამიტომაც ვიდრე ამ პრეპარატებს მივიღებდეთ, მანამდე აუცილებლად უნდა დავლიოთ კუჭის დამცავი რომელიმე წამალი.

## „ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკებთან ერთად რძის ნაწარმისა და კოფეინის მიღება დაუშვებელია!“




## გვახსოვდეს – უზმოზე ასპირინის ჯგუფის პრეპარატების მიღება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება!

**— არსებობს თუ არა ისეთი საკვები, რომელიც წამალს საწამლავად გადააქცევს?**

— არის შემთხვევები, როცა ჯანმრთელობისთვის ძალზე სასარგებლო პროდუქტები გარკვეული წამლების მიღების დროს არ უნდა ვჭამოთ! გრეიპფრუტის სასარგებლო თვისებები ყველასთვის ცნობილია, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ გრეიპფრუტის წვენი რეაქციაში შედის წამლების უმრავლესობასთან და მათ საწამლავად აქცევს! საქმე ის გახლავთ, რომ გრეიპფრუტის წვენი შეიცავს ფერმენტ **ფურანოკუმარინს,** რომელიც ღვიძლის ფერმენტებს თრგუნავს, ღვიძლი კი წამლის დაშლის შედეგად გამოყოფილ ტოქსინებს ანეიტრალებს... როდესაც სტატინებს, ანტიბიოტიკებს, ანტიარითმიულ, წნევის დამწევ, საძილე და დამამშვიდებელ საშუალებებს გრეიპფრუტის წვენს მივაყოლებთ, სისხლში ამ წამლების კონცენტრაცია სამჯერ იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს წამლები დასაშვებ ნორმაზე სამჯერ უფრო მეტი სიძლიერით მოქმედებენ. ეს კი, მოგეხსენებათ, კატასტროფით შეიძლება დასრულდეს. წნევის დამწევი ან დამარეგულირებელი პრეპარატები, რომლებიც „პრილით“ მთავრდება, ჰიპერტონიის დროს სისხლძარღვებს აფართოებს და სისხლში კალიუმს აკავებს. კალიუმით ძალიან მდიდარია კარტოფილი, შოკოლადი, მწვანილი და კურაგა... ამიტომ, **თუ წნევის დამარეგულირებლის პარალელურად ამ პროდუქტებს ჭარბად მივიღებთ, მაშინ ორგანიზმში კალიუმის სიჭარბე შეიქმნება და ჰიპერკალიემიის ფაქტის წინაშე დავდგებით, რამაც შესაძლოა, გულის გაჩერებაც კი გამოიწვიოს!**

ძალზე სახიფათოა ფსიქოტროპული, დეპრესიის სამკურნალო მონოამინოქსიდაზას ინჰიბიტორის შემცველი პრეპარატების მიღებასთან ერთად შოკოლადის, ყველის, სოიას, ბანანის, შებოლილი პროდუქტების მიღება. ყველა ეს პროდუქტი შეიცავს თირამინს... „თიროს“ ბერძნულად ყველს ნიშნავს... თირამინი რეაქციაში შედის ფსიქოტროპულ წამალთან, გადადის არააქტიურ ფორმაში, გროვდება ორგანიზმში და იწვევს წნევის მატებას, არითმიასა და ტაქიკარდიას, რამაც ადამიანი შესაძლოა, სტენოკარდიამდე, ინფარქტამდე და ინსულტამდე მიიყვანოს!

**— ტკბილი, გაზიანი სასმელები წამალთან როგორ მოქმედებს? სახიფათოა თუ არა მათთან ერთად წამლის დალევა?**

— ტკბილ და გაზიან სასმელებთან ერთად წამლის დალევა კატეგორიულად დაუშვებელია! ასე, მაგალითად, თუ ადამიანი ტკივილგამაყუჩებლებს — **დიკლოფენაკს, ვოლტარენსა** და სხვა პრეპარატებს ტკბილ და გაზიან სასმელთან ერთად დალევს, მაშინ გამოყოფილი ნახშირორჟანგი და სასმელში შემავალი მჟავა გააძლიერებს ამ პრეპარატების შეწოვის პროცესს, გაზრდის სისხლში მის კონცენტრაციას და შესაძლოა, დადგეს ტოქსიკური ეფექტი, როცა თირკმელი ზიანდება. ასეთ დროს მოსალოდნელია თირკმლის უკმარისობაც კი.

ყველამ ვიცით, რომ ჩაი და ყავა ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა, მაგრამ **წამლების მიღებისას ჩაიში შემავალი ტანინები რეაქციაში შედიან მთელ რიგ წამლებთან, წარმოქმნიან უხსნად ნაერთებს და ამცირებენ მათი მოქმედების ეფექტს.** ეს განსაკუთრებით ვლინდება იმ ადამიანებში, რომლებიც ფარისებრი ჯირკვლის სამკურნალოდ ჰორმონალურ პრეპარატებს ღებულობენ.

**— ეს მწვანე ჩაისაც ეხება?**

— დიახ, მწვანე ჩაისაც ეხება! მოგეხსენებათ, მწვანე ჩაი ძალიან სასარგებლო პროდუქტია თუნდაც წონის დასაკლებად, გააჩნია ანტისიმსივნური მოქმედება და არეგულირებს შაქრიან დიაბეტს, მაგრამ არცერთ მედიკამენტზე მისი დაყოლება ისევე, როგორც შავი ჩაის, არ შეიძლება!

**— ყავაზე რას იტყვით?**

— ყავაზე ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია და უკვე მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ დღეში სამი-ოთხი ფინჯანი ნალექიანი ყავა მნიშვნელოვნად ამცირებს ღვიძლის სიმსივნის წარმოშობის რისკს. მაგრამ, თუ ყავას ანტიბიოტიკებთან ერთად დავლევთ, ყავაში შემავალი კოფეინი გვიან გამოიყოფა, რაც გამოიწვევს წნევის მკვეთრ მატებასა და ტაქიკარდიას! გარდა ამისა, ყავა აძლიერებს შარდმდენი პრეპარატებისა და ინსულინის მოქმედებას...

დღეს ძალზე პოპულარულია სიცხის დასაწევად **პარაცეტამოლის** გამოყენება. საკმარისია, **პარაცეტამოლისა** და ალკოჰოლის თანხვედრა მოხდეს, რომ ღვიძლი მომენტალურად დაინგრევა და ადამიანი შესაძლოა, ღვიძლის კომისგანაც კი დაიღუპოს! სწორედ ასე დაემართა პრეზიდენტ ბუშის ერთ-ერთ მრჩეველს, რომელსაც დღის განმავლობაში მცირე დოზით ალკოჰოლის მიღება უყვარდა. **პარაცეტამოლის** მიღების შემდეგ ის ღვიძლის კომით საავადმყოფოში აღმოჩნდა და გარდაიცვალა!

**— მაშინ რა ვქნათ, ჩაი და ყავა წამალთან ერთად არ დავლიოთ?**

— ცხადია, ჩაისა და ყავაზე უარის თქმა ძალიან ძნელია... როცა წამლებს ვსვამთ, ჩაი და ყავა პრეპარატის მიღებამდე 2 საათით ადრე ან 2 საათით გვიან დავლიოთ!

**— რამდენად შესაძლებელია წამლის მიღება მინერალურ წყალთან ერთად?**

— მინერალური წყლები ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა, მაგრამ ისინი შეიცავენ რკინას, კალციუმს, მაგნიუმსა და სხვა მიკროელემენტებს. ეს განსაკუთრებით ეხება საქართველოს მინერალურ წყლებს, რომლებიც მაღალი მინერალიზაციით გამოირჩევიან. თუ მინერალურ წყალს, მაგალითად, **ბორჯომს, ნაბეღლავს, საირმეს, ლიკანს** წამალს დავაყოლებთ, მასში შემავალი მიკროელემენტები ქიმიურ რეაქციაში შევლენ წამალში შემავალ კომპონენტებთან და თვისებას შეუცვლიან. ამიტომ მინერალური წყლები ისევე, როგორც ჩაი და ყავა, წამლებისგან განცალკევებით უნდა მივიღოთ!

**— ბევრი წამალს რძესთან ერთად სვამს! ამაზე რას იტყვით?**

— რძე შეიცავს **კაზეინს,** რომელიც რეაქციაში შედის კუჭის წვენთან, წარმოიქმნება კალციუმის უხსნადი ნაერთი კაზეინატი, რომელიც, თავის მხრივ, ქიმიურ წამლებს უკავშირდება და იწვევს მათ ბლოკირებას. აქედან გამომდინარე, **რძესთან ერთად წამლების დალევა არარეკომენდებულია!** გვახსოვდეს — წამალი მხოლოდ და მხოლოდ წყალთან ერთად უნდა დავლიოთ და ეს წყალი 100 გრამზე, ანუ ნახევარ ჩაის ჭიქაზე ნაკლები არ უნდა იყოს! ზოგი წამალს წყლის გარეშე, პირდაპირ ყლაპავს, რაც დაუშვებელია, რადგან ასეთ დროს წამალი შესაძლოა, საყლაპავ მილში გაიჩხიროს და მისი ძლიერი გაღიზიანება და ანთება გამოიწვიოს!

**— ვიტამინები როგორ და დროის რომელ მონაკვეთში უნდა მივიღოთ?**

— ვიტამინების უმრავლესობა ცხიმში ხსნადია... აქედან გამომდინარე, ყოველთვის ცხიმიანი საჭმლის შემდეგ უნდა მივიღოთ! ერთიც გვახსოვდეს — **ტეტრაციკლინის** ჯგუფის ანტიბიოტიკებთან ერთად რძის ნაწარმისა და კოფეინის მიღება დაუშვებელია!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



**„გვახსოვდეს — წამალი მხოლოდ და მხოლოდ წყალთან ერთად უნდა დავლიოთ და ეს წყალი 100 გრამზე, ანუ ნახევარ ჩაის ჭიქაზე ნაკლები არ უნდა იყოს!“**

**„დღეში სამი-ოთხი ფინჯანი ნალექიანი ყავა მნიშვნელოვნად ამცირებს ღვიძლის სიმსივნის წარმოშობის რისკს!“**

# კარგად დააკვირდით ქალბატონებს,
## მათი გარეგნობა ბევრ რამეზე მეტყველებს!

**თმები** — თუ მას მშრალი და არაბზინვარე თმა აქვს, ე. ი. A და B ვიტამინი აკლია. თანაც დაბანის შემდეგ ფენს ხმარობს გაცილებით მეტხანს, ვიდრე საჭიროა.

**წამწამები** — კარგია, თუ ქალბატონს ხშირი წამწამები აქვს. ვისაც აქვს ბუნებრივად გრძელი და ზემოთ აპრეხილი წამწამები, ე.ი. ის ბედის ნებიერაა, ცხოვრებაში წარმატებული. სწორი წამწამები პრანჭია ქალბატონებს აქვთ, მოკლე — მოკრძალებულებს.

**ქუთუთოები** — თუ ზედა ნაწილი შესივებული აქვს, ე. ი. სისხლში რკინის ნაკლებობას განიცდის. აუცილებელია ანალიზების აღება და ჰემოგლობინის ნორმის დადგენა.

**თვალი** — თვალს აწითლებს კონტაქტური ლინზები, ზედმეტი კოსმეტიკა, კომპიუტერთან ჯდომა. დაისვენეთ. თუ სიწითლემ არ გაგიარათ, მიმართეთ ექიმს.

**ლაწვები** — ფერმკრთალი ღაწვი ვიტამინებისა და მინერალების ნაკლებობაზე მეტყველებს. მიირთვით მეტი ხილი, ბოსტნეული.

**კანი** — ნაადრევ ასაკში გაჩენილი ნაოჭები თქვენს თავდაუზოგავ მუშაობაზე მეტყველებს. გადაღლილობა მოქმედებს სახის კანის ფერზე — ის ან რუხი ფერის ხდება ან სულაც ღია ბრინჯაოსფერი. დასვენება არ გაწყენდათ. სუფთა ჰაერზე ხშირად ისეირნეთ.



*თავზე ვარცხნილობის ნაცვლად მშრალი თმის ქაოსი გაქვთ და ამის გამო გულს იხეთქავთ? ნუ იდარდებთ დროზე ადრე, სწორი მოვლა დანაკარგებს მინიმუმამდე შეამცირებს.*

## ვუშველოთ გამოფიტულ თმას

ᲘᲖᲠᲣᲜᲔᲗ ᲗᲛᲐᲖᲔ — მშრალი თმა უსახურად რომ არ გამოიყურებოდეს, ხშირად დაივარცხნეთ მასაჟის სავარცხლით. ზუსტად თქვენი თმის ტიპისთვის შეარჩიეთ შამპუნი და ბალზამი, ეს მნიშვნელოვანია.

ᲨᲔᲣᲪᲕᲐᲚᲔᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ — **დახარეთ თავი და თმები წინ გადმოიყარეთ. მერე თითები თმის ძირებში შეიცურეთ და რამდენჯერმე მომუჭეთ ხელები. ამით ვარცხნილობასაც გაიფუმფულებთ და თმასაც ელასტიკურობას შესძენთ. თმას ბზინვარებას სპეციალური მკვებავი ნიღბები აძლევს, რომლებიც ვიტამინ E-ს შეიცავენ. მათი წყალობით თმის დაზიანებული ადგილები აღდგება.**

ᲓᲐᲣᲛᲐᲢᲔᲗ ᲬᲧᲐᲚᲘ — ისარგებლეთ იმ საშუალებებით, რომლებსაც აწერია „მშრალი და დაზიანებული თმისთვის“. ისინი შეიცავენ მკვებავ პროტეინებს, რომლებიც თმის დატენიანებას აძლიერებენ და გამოფიტული შესახედაობა თმას დაბანიდან დაბანამდე უქრება.

ᲘᲑᲠᲬᲧᲘᲜᲔᲗ — **თუ არ გაქვთ სპეციალური საშუალებები, ნუ დადარდიანდებით. საკმარისია, თმა გადაიტკიცოთ თავზე და მშრალი ხელისგულები რამდენჯერმე გადაისვათ, ის აუცილებლად იბრწყინებს. უმჯობესია, იხმაროთ ემულსიები, რომლებიც არ მოითხოვს შემდგომ ჩამობანას. უბრალოდ შეიზილეთ სუფთა სველ თმაზე და ბზინვარება მორიგ დაბანამდე გარანტირებულია.**

ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲗ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ — სწორად შერჩეული თმის მოვლის საშუალებები თმას ელასტიკურს, მბზინავს და დამჯერს ხდის. არავითარი მშრალი და მსხვრევადი თმა, შესძინეთ ქალური სილამაზის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტს ჯანმრთელობა და მშვენიერი შესახედაობა.

# რჩევები მათთვის, ვინც სისტემატურად ილებავს თმას

***თმის საღებავი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კოსმეტიკური საშუალებაა. მისი პოპულარობა მოდური ფერის სწრაფი მიღებითა და ჭაღარა თმის დაფარვის შესაძლებლობითაა გამოწვეული.***



არ გქონდეთ იმის იმედი, რომ თქვენი თმა ზუსტად ისეთი ფერის იქნება, როგორიც ყუთზეა ნაჩვენები. გირჩევთ, დაწვრილებით გაეცნოთ ყუთის უკანა მხარეს მითითებულ ინფორმაციას — იქ ზუსტად წერია, რომელი ტონი მიიღება კონკრეტულად თქვენი საწყისი ფერისგან. თუ ჭაღარა თმა გაქვთ, შეარჩიეთ ნატურალური ფერები. მყვირალა და მოდური ფერი ადვილად და არათანაბრად სცილდება ჭაღარა თმას. თუ თმის ბუნებრივი ფერის მხოლოდ გამოცოცხლება გსურთ, პირველი დონის ტონის მიმცემი საშუალებები გამოიყენეთ. საღებავი ჩამოიბანება 6-10 დაბანის შემდეგ. ტონის მიმცემი საღებავები ახალგაჩენილი ჭაღარის შესაღებადაც გამოდგება. ძალიან მშრალი, ქიმიურად დახვეული ან მელირებული თმის შეღებვამ შეიძლება არასასურველ შედეგებამდე მიგიყვანოთ. თუ თმის 1-2 ტონით გამუქება ან გაღიავება გადაწყვიტეთ (თანაც, ნახევრად ჭაღარა თმა გაქვთ), მეორე დონის ნახევრადმუდმივი საღებავი გამოიყენეთ. ამ დროს საღებავი თავის 24-ჯერ დაბანას „გაუძლებს“. მათ, ვინც გადაწყვიტა, გახდეს მიმზიდველი შავგვრემანი ან მომაჯადოებელი ქერათმიანი ქალბატონი, მესამე დონის მუდმივი საღებავი ესაჭიროებათ, მათი მოქმედება ორ ეტაპად იყოფა: თავიდან ამიაკისა და წყალბადის ზეჟანგის მოქმედებით ნატურალური პიგმენტის ნაწილაკები ღიავდება და ჩაენაცვლება სასურველი ფერის პიგმენტები. შემდეგ გამანეიტრალებელი ნივთიერების საშუალებით იღებება თმის ღერის ზედა ფენა და თმას ბზინვარებაც ეძლევა.




***ᲛᲔᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ*** ***უნდა გამოიყენოთ ორი ტონის სპეციალურად მელირებისთვის განკუთვნილი საღებავი — ერთი ნატურალურ ფერზე ღია, მეორე — ოდნავ მუქი. თავზე დაიხურავთ წვრილნასვრეტიან რეზინის ქუდს. თმის თხელ ფენებს გამოაძვრენთ ნასვრეტებში და გაიღიავებთ.***

ახალი ტონალობა დიდხანს რომ შეინარჩუნოთ, თმა არ დაიბანოთ შეღებვიდან 48 საათის განმავლობაში. ნატურალური PH-ის მქონე შამპუნები ნაზად ასუფთავებს თმას და არ ეხება მღებავ ნივთიერებებს. ქლორიანი წყალი და მზე მღებავი პიგმენტის მტრები არიან, რადგან ჟანგავენ და აუფერულებენ საღებავის გარკვეულ რაოდენობას.

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲒᲕᲘᲠᲩᲔᲕᲡ:

**1) ზუსტად დაიცავით ინსტრუქციაში მითითებული ღებვისათვის სავალდებულო დრო.**

2) არასოდეს შეეცადოთ, თქვენით შეიღებოთ გაღიავებული, მელირებული ან ადრე შეღებილი თმა ხნით.

**3) ჩაიტარეთ ტესტი ალერგიაზე. საღებავის მცირე დოზა დაიდეთ მაჯაზე შიდა მხრიდან და დაელოდეთ რეაქციას.**

4) თმის შეღებვა არ შეიძლება ქიმიური დახვევიდან 48 საათის განმავლობაში.

**5) თუ სქელი ან გრძელი თმა გაქვთ, არ შემოისაზღვროთ ერთი კოლოფი საღებავით. თუ თმა მხრებს ქვემოთაა, აუცილებლად 2 კოლოფი დაგჭირდებათ.**

ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲗ: **თუ ღია წაბლისფერი თმა გაქვთ, ცისფერი თვალები და ღია ვარდისფერი კანი, მოგიხდებათ — სპილენძისფერი ქერა, ჟანგისფერი, სპილენძისფერი საღებავი. ქერა ან ოდნავ მოწითალო ფერის თმის მქონე ქალბატონს, რომელსაც აქვს ღია ვარდისფერი კანი, ცისფერი ან ნაცრისფერი თვალები, მოუხდება „შამპანურის“ ფერი საღებავი, ბეჟი-მოყავისფრო ან სულაც ყავისფერი საღებავი. ხოლო მუქი წაბლისფერი, მოყავისფრო თმის მქონე ქალბატონს, რომელსაც აქვს ყავისფერი ან ნაცრისფერი თვალები, უფერული კანი, მოუხდება მბზინავი შავი, ქლიავისფერი ან ე. წ. „ბურგუნდიულის“ ფერი საღებავი.**

**მუქ წითელთმიანებს, რომლებსაც აქვთ ღია ფერის ან ჭორფლიანი კანი, ცისფერი, მწვანე ან ნაცრისფერი თვალები, ვურჩევთ თმა შეიღებონ წაბლისფერი ან „მოოქროსფრო კაკლის“ ფერი საღებავით.**

# თორმეტი რჩევა სასოწარკვეთილებს

***საკუთარი თავის სიბრალული ყველაზე რთულად დასათმობი გრძნობაა, მაგრამ ადრე თუ გვიან ეს უნდა გააკეთოთ. ხელჩაქნეულებს და ბედთან შეგუებულებს წინ სახარბიელო არაფერი ელით. ასე რომ, რაც ადრე დაიწყებთ, მით უკეთესი.***

**1.** **ყველაზე ბნელი ღამეც კი განთიადით მთავრდება, ღამე შესაძლოა პოლარულიც იყოს, მაგრამ მასაც აქვს დასასრული და ოდესმე აუცილებლად ინათებს. ასე რომ,** ᲓᲐᲘᲑᲠᲣᲜᲔᲗ ᲘᲛᲔᲓᲘ!

**2.** **როგორც კი ინათებს, თქვენ მზად უნდა იყოთ ეფექტური გამოსვლისათვის. ასე რომ, ვიდრე ბნელა, იზრუნეთ და** ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲗ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲝᲑᲐ!

**3.** **ხვალინდელი დღის ლოდინში, შესაძლოა, მრავალი საინტერესო რამ გამოგრჩეთ მხედველობიდან — მათ შორის დაქალის ქორწილიც და ოცნების მამაკაციც. ეს რომ არ მოხდეს,** ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲗ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲘᲗ!

**4.** **ყველა მიკროსკოპული მიღწევა ბედზე გამარჯვებად ჩათვალეთ და მთელი გულით დატკბით ამით.** ᲓᲐᲘᲕᲘᲬᲧᲔᲗ ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲔᲑᲘ!

**5.** **გამოიბერტყეთ თავიდან სულელური აზრები და ნუ შეგეშინდებათ, რომ იქ აღარაფერი დარჩება.** ᲒᲐᲛᲝᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

**6.** **ექიმები ირწმუნებიან, რომ ორგანიზმისთვის ყველაზე საზიანო ქცევებიც კი სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის, თუ ის ძალიან გინდათ და მოგწონთ, ამიტომ, თამამად** ᲛᲘᲘᲚᲔᲗ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ!

**7.** **მონახეთ შავი ლაქები სხვის ბედნიერებაში და სარევლები მის ბოსტანში. მალე მიხვდებით, რომ ის არც ისე ბედნიერია, თქვენ — არც ისე უბედური.** ᲜᲣ ᲨᲔᲒᲨᲣᲠᲓᲔᲑᲐᲗ ᲡᲮᲕᲘᲡᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ!

**8.** **გაამახვილეთ ყურადღება თქვენს საუკეთესო თვისებებზე. ერთ დღესაც აღმოჩნდება, რომ უნიკალური ხართ ვიღაცისთვის.** ᲗᲕᲘᲗᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲪᲝᲓᲕᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ.

**9.** **ახლობლები ოდნავადაც არ არიან დამნაშავენი თქვენს პრობლემებში, პირიქით, თქვენსავით განიცდიან მათ და ცდილობენ, დაგეხმარონ. ნუ დაგესლავთ მათ, პირიქით, შეეცადეთ,** ᲒᲐᲓᲐᲘᲑᲘᲠᲝᲗ ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ!

**10.** ᲓᲐᲘᲡᲐᲮᲔᲗ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲘᲐᲠᲔᲗ ᲛᲘᲡᲙᲔᲜ, **თუნდაც კუს ნაბიჯებით! თავის დროზე მისკენ გაქცევასაც არავინ დაგიშლით.**

**11.** **წარმოიდგინეთ, რომ მხატვარი ხართ და მუქი ფერების საღებავები დიდი ხანია გაგითავდათ.** ᲓᲐᲮᲐᲢᲔᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲜᲐᲗᲔᲚ ᲤᲔᲠᲔᲑᲨᲘ!

**12.** **გამოაბით ლუზა თქვენს იმედებს და მთელი ძალით იბრძოლეთ, რომ აღარსად გაგექცეთ. დაიმახსოვრეთ ერთხელ და სამუდამოდ:** ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐᲐ.



# ბედნიერების მომტანი ყვავილები და ქვები

***„თქვენი ყვავილები“ აგავსებთ ენერგიით, აგიმაღლებთ განწყობას, სასიამოვნო მოგონებებს აღგიძრავთ. შეეცადეთ, სახლში თუ სამსახურში ყოველთვის იქონიოთ ბუნების ეს საოცარი ქმნილებები.***



**იანვარში** დაბადებულებს ვურჩევთ, მიხაკებით დაამშვენონ თავისი ბინა. **თებერვალი** ენძელებისაა, **მარტი** — იების, **აპრილი** — ზიზილების, **მაისი** — შროშანის, **ივნისი** — ვარდის, **ივლისი** — არჯაკელის, **აგვისტო** — გლადიოლუსის, **სექტემბერი** — ასტრის, **ოქტომბერი** — გეორგინის, **ნოემბერი** — ქრიზანთემის, **დეკემბერი** — პიონის (ჰერბერასი და იორდასალამის). „თქვენი ქვები“ კი დაგიცავთ ავი თვალისგან, ბედნიერებასა და იღბალს მოგიტანთ: **იანვარი** — ძოწი; **თებერვალი** — ამეთვისტო; **მარტი** — აკვამარინი; **აპრილი** — ბრილიანტი; **მაისი** — ზურმუხტი; **ივნისი** — მარგალიტი ან მთვარის ქვა; **ივლისი** — ლალი, **აგვისტო** — სარდონიქსი, **სექტემბერი** — საფირონი; **ოქტომბერი** — ოპალი; **ნოემბერი** — ტოპაზი ან ციტრინი; **დეკემბერი** — ლაპისი.

# ფრანგი ფსიქოლოგები გვირჩევენ

*ᲗᲣ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲦᲐᲚᲔᲗ ᲐᲜ ᲡᲐᲝᲯᲐᲮᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲛ ᲡᲘᲥᲐ ᲒᲐᲒᲐᲪᲐᲚᲐᲗ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲘᲘᲦᲔᲗ ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲘ:*

**ᲙᲕᲔᲑᲐ** — დროულად მიიღეთ საკვები. შიმშილის დროს ეცემა სისხლში შაქრის რაოდენობა, რაც იწვევს ყურადღების გაფანტვას. აუცილებლად მიირთვით საკვები დღეში სამჯერ. შიგადაშიგ შეიძლება ხილის ან მჭლეხორციანი ბუტერბროდის მირთმევაც. შოკოლადზეც ნუ იტყვით უარს. დღეში მიიღეთ 2,5 ლიტრი სითხე — წყალი, წვენი, რძე. სითხის მიღება აუცილებელია იმ შემთხვევაშიც, თუ დილიდან საღამომდე თბილ ოთახში გიხდებათ მუშაობა.

ᲒᲝᲜᲔᲑᲐ — **ძლიერი თვლემა თუ მოგერიათ, გაზიანი წყლის ბუშტუკებზე იფიქრეთ. ნუ ინერვიულებთ იმის გამო, რომ მეტისმეტად დაღლილი ხართ, ან ვერ იძინებთ. ერთ ვარჯიშს გასწავლით: დახუჭეთ თვალები, ხელი მუცელზე დაიდეთ, ისუნთქეთ ნელა, დაითვალეთ შვიდამდე. ეს პროცედურა 5-6-ჯერ გაიმეორეთ. დღისით საწოლში გამოძინების მაგივრად, სჯობს, 5 წუთით თვალები დახუჭოთ, გაიხსენოთ სასიამოვნო ამბავი, ან ცოტა ხნით სუფთა ჰაერზე გაისეირნოთ.**

ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ — დიდხანს არ იყოთ ცუდად განათებულ ოთახში. თუ სხვა გამოსავალი არ გაქვთ, ხშირად გამოდით დღის სინათლეზე. ამით წინააღმდეგობას გაუწევთ ჰორმონ მელატონინის გამომუშავებას, რომელიც ორგანიზმის მოთენთვას იწვევს. ჰორმონ ენდოფრომის გამომუშავებას (ადამიანის გუნება-განწყობილებას ამაღლებს) ხელს უწყობს ვარჯიში, სეირნობა. თუ შესაძლებლობა მოგეცემათ, დასაძინებლად დაწექით საღამოს 9 საათზე. ღრმა ძილი ადამიანს ენერგიას მატებს.

***ადამიანის ჯანმრთელობა კუჭ-ნაწლავის ნორმალურ ფუნქციონირებასა და კვების რეჟიმზეა დამოკიდებული. ოცდამეერთე საუკუნის ადამიანისათვის დამახასიათებელი არასწორი ცხოვრების წესი ზოგჯერ სწორედაც მის ნორმალურ ფუნქციას არღვევს ისე, რომ ადამიანი ამას ვერც გებულობს. ყოველივე ამის უგულებელყოფას კი ხშირად ქირურგიულ ჩარევამდე მივყავართ, თუმცა, დროული და სწორი მკურნალობა ბევრ სავალალო შედეგს აგვაცილებს თავიდან. დღეისათვის ჩვენშიც და მთელ მსოფლიოშიც საკმაოდ გავრცელდა ნაწლავების წყლულოვანი დაავადებები, რომელთა ქირურგიული მკურნალობა ერთ-ერთ პირველ ადგილზეა.***



# როგორ ავიცილოთ თავიდან წყლულოვანი დაავადებები?



**წყლულოვან პათოლოგიებს** დღეს ყველა ქვეყანაში ერთნაირი სტანდარტით მკურნალობენ. ამდენად, ვერ ვიტყვით იმას, რომ ის, რაც ევროპასა და ამერიკაში ხდება, ჩვენთვის უცხოა. პრაქტიკულად, თუ ადამიანი დროულად მიხედავს თავს, ქირურგიული ჩარევა არ დასჭირდება. საზღვარგარეთ ნებისმიერ ადამიანს ჯანმრთელობა დაზღვეული აქვს, რაც მის დროულ მკურნალობას განაპირობებს და გართულებამდე საქმე აღარ მიდის.

**სამწუხაროდ, მძიმე სოციალური ყოფიდან გამომდინარე, ჩვენში ნებისმიერი მკურნალობა ხშირად დაგვიანებულია, ყოველივე ამას კი რთულ შედეგებამდე მივყავართ.**

**თორმეტგოჯა ნაწლავზე წყლულის** შემთხვევაში ევროპაში ოპერაციას აღარ აკეთებენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები გვაძლევს ამ დაავადების დროულად გამოვლენის საშუალებას, რათა ქირურგიული ჩარევა საჭირო აღარ გახდეს. ეს ტექნოლოგიები დღეს ჩვენშიც არსებობს, მაგრამ მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბევრი ვერ ახერხებს გამოკვლევების ჩატარებას. ამის გამო ყველა ეს დაავადება ხშირად დაგვიანებული მკურნალობით მთავრდება, რაც ოპერაციულ ჩარევას გულისხმობს.

ოპერაციის მიზეზი ხდება ასევე **მუნჯი წყლული,** რომელიც არ აწუხებს ადამიანს და შემდგომ პერფორაციის სახით ვლინდება.

**კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის სრულყოფილი გამოკვლევისათვის აუცილებელია ჩატარდეს გასტროსკოპიული და რენტგენოლოგიური კვლევა, ასევე უნდა გაირკვეს კუჭის წვენის მჟავიანობა. პაციენტებს ხშირად ეშინიათ მჟავიანობის ზონდით განსაზღვრისა. დღეს უკვე შესაძლებელია, ეს მონაცემი შარდის ანალიზითაც გაირკვეს, კვლევა გამარტივებულია, მთავარია ზუსტი მკურნალობა.**

ბოლო დროის კვლევით მონაცემებს თუ დავეყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში წყლულს იწვევს კუჭში აღმოჩენილი **კამპილობაქტერიები.**

არსებობს ნაწლავური წყლულის მკურნალობის სხვადასხვა სქემები. სწორად შერჩეული სქემა ქირურგიულ ჩარევას აღარ საჭიროებს.

დღეს მთელ მსოფლიოში **ანტიბიოტიკებით მკურნალობას** ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით უყურებენ, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში მათი დანიშვნა აუცილებელია. ეს უნდობლობა **ანტიბიოტიკების** არასწორმა დანიშვნამ და ექიმის გარეშე მისმა მიღებამ გამოიწვია. ანტიბიოტიკი ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა იქნეს დანიშნული.

კვების რეჟიმის ბავშვობის ასაკიდან დაცვა დიდ როლს თამაშობს, მაგრამ ამასთანავე, მსოფლიოში გაშიფრულია გენეტიკური კოდი, რომლის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რომელი დაავადებაა მოსალოდნელი, რაც გვაძლევს გართულების თავიდან აცილების საშუალებას.

რა თქმა უნდა, კვების რეჟიმის დაცვა არის წინაპირობა იმისა, რომ ადამიანს **კუჭ-ნაწლავის სისტემა ჯანმრთელი ჰქონდეს.** განსაკუთრებით არასწორია ღამის საათებში საკვების მიღება, რაც ძალზე უარყოფითად მოქმედებს ორგანიზმზე. უნდა ვიცოდეთ, რომ **მინერალური წყლის** მიღებას თავისი წესი აქვს, რადგან **გაზიანი მინერალური წყალი კუჭის მჟავიანობას მაღლა სწევს, გაზგაცლილი კი დაბლა.** ამიტომ ადამიანმა უნდა იცოდეს რა აწუხებს და შესაბამისად მიიღოს ის. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ **ბოყინს** იწვევს **კუჭის მოტორიკის დარღვევა.** მისი მიზეზი ასევე შეიძლება იყოს **გასტრიტი, თორმეტგოჯას წყლული** ან **საკვების დიდი რაოდენობით მიღება. გასტრიტი ყველა შემთხვევაში მედიკამენტურ მკურნალობას გულისხმობს და აუცილებლად განკურნებადია.**

დღეს მთელ მსოფლიოში დიდია ინტერესი სახელმწიფო წარმოების **კვებით დანამატებზე** (რომელსაც სპეციალური ფარმაცევტული ბაზა აქვს), სწორად შერჩევის შემთხვევაში ის დადებითად მოქმედებს ორგანიზმზე, აზღვევს ოპერაციის შემდგომი რეციდივებისაგან, ასევე ავსებს ორგანიზმს სხვადასხვა მიკროელემენტებითა და ვიტამინებით, რომელთაც საკვებიდან ვერ იღებს.

**კუჭის ან თორმეტგოჯა ნაწლავის სრულყოფილი გამოკვლევისათვის აუცილებელია, ჩატარდეს გასტროსკოპიული და რენტგენოლოგიური კვლევა, ასევე უნდა გაირკვეს კუჭის წვენის მჟავიანობა.**

# დაეხმარეთ საკუთარ თავს

## საკვებით მოწამვლა

***ამ უსიამოვნების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ბოლომდე მოუხარშავი ხორცი ან კვერცხი. აგრეთვე ბაქტერიებითა და ტოქსინებით დასნებოვნებული საკვები.***

თუ მოწამვლისას იქვე ახლოს აქტივირებული ნახშირი ან ფუროზოლიდონი არ აღმოგაჩნდათ, აკუპრესურის მეთოდი მოსინჯეთ — გულისრევის დროს მარჯვენა ხელის ცერით მარცხენა ხელის ცერსა და საჩვენებელ თითს შორის ადგილი ერთი წუთის განმავლობაში დაიზილეთ.



## ფეხების დაღლა

***საღამოობით ფეხები გისივდებათ და გტკივათ? უსიამოვნო სიმპტომების მოხსნა კონტრასტული აბაზანების დახმარებით შეგიძლიათ — რიგრიგობით ჩაყავით ფეხები ხან ცივ, ხანაც ცხელ წყალში. მერე კი ტერფები ქაფურის ზეთით დაიზილეთ.***

ფეხების დაღლას კარგად შველის ზღვის მარილის, აგრეთვე გვირილისა და მინდვრის შვიტას ნახარშის აბაზანები.

ფეხის კუნთების გამაგრებაში კი ბანაობის დროს უხეში ჯაგრისით მათი დაზელა დაგეხმარებათ. ჯაგრისი კარგად გასაპნეთ და მასაჟი ქვემოდან ზევით გაიკეთეთ.



**სპეციალისტის კომენტარი: აბაზანები მართლაც ძალიან კარგი საშუალებაა, მხოლოდ ერთი პირობით — თუ თრომბოფლებიტი არ გაქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონტრასტულმა პროცედურებმა შეიძლება თრომბის მოწყვეტა გამოიწვიოს. რაც შეეხება მასაჟს, მისი გაკეთება არ შეიძლება ვენების ვარიკოზული გაგანიერების დროს და ფეხმძიმობის ბოლო თვეებში, როცა ვენებზე დატვირთვა ისედაც მაღალია.**



## ჯიბლიბო

***ბამბის ტამპონი მდუღარე წყალში ან ცხელ ჩაიში დაასველეთ და მტკივან ადგილზე 5-7 წუთით დაიფინეთ. ასე გაიმეორეთ დღეში რამდენჯერმე.***

ერთ კბილ ნიორს აპკი გააცალეთ და შეწითლებულ ადგილზე წაისვით. გაიმეორეთ ყოველ საათში. ამის შემდეგ ჯიბლიბო აღარ გაიზრდება და ნელნელა მოშუშდება.

სპეციალისტის კომენტარი: **ჩვეულებრივ, ჯიბლიბო მაშინ ჩნდება, როცა საცრემლე ჯირკვალში, ქუთუთოს პირას ან წამწამის ძირში, ჩირქოვანი ბაქტერიები მოხვდება. ნიორს მართლაც შეუძლია მათი გამრავლების შეჩერება: იგი ფიტონციდებს და სხვა ნივთიერებებს შეიცავს, რომლებიც დაავადების გამომწვევ მიკრობებს სპობს. თბილი კომპრესიც კარგი საშუალებაა, რადგან ტკივილს აყუჩებს და ხელს უწყობს ჯიბლიბოს მომწიფებას.**

## იმუნიტეტის შესუსტება

***0.75 ჭიქა ალოეს ფოთლები ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ. შეურიეთ ამავე რაოდენობის თაფლი და ჭიქა-ნახევარი წითელი ღვინო. მიიღეთ ჭამის წინ 1-2 სუფრის კოვზი სამჯერ დღეში.***



სპეციალისტის კომენტარი:

**შესანიშნავი რეცეპტია. ალოე და თაფლი ძლიერი ბიოსტიმულატორებია. ამასთან, ალოეს მაღალი ბაქტერიციდული აქტიურობა ახასიათებს. წითელი ღვინო კი სისხლში ერითროციტების გამომუშავებას უწყობს ხელს, რაც დასუსტებული ორგანიზმისთვის მნიშვნელოვანია.**



## დეპრესია

***გამუდმებული დაღლილობის, შიშის შეგრძნებისას წერტილოვანი მასაჟი მოსინჯეთ. ის დამჯდარ მდგომარეობაში კეთდება.***

ერთდროულად დაიზილეთ ორივე ფეხის მუხლქვეშა ღრმულები. საჩვენებელი თითებით წრიული მოძრაობა შეასრულეთ. ოღონდ მეტისმეტად ნუ გაილაღებთ — მასაჟი ძლიერი არ უნდა იყოს და არც 5 წუთზე მეტხანს გაგრძელდეს.

# მიხეილ ცაგარელი:
# ასტროლოგია, მეგობრობა და ზოდიაქოს ნიშნები



***— მხიარულ, გულღია ლომს რისი უნარი შესწევს, რისთვის არის მუდამ მზად? სამეგობროდ როგორი ადამიანით დაინტერესდება და რატომ არ არის მარტივი მასთან მეგობრობა? ემოციური და კომუნიკაბელური ქალწული რთულ სიტუაციაში მეგობარს რით ეხმარება? ადამიანებს იოლად რატომ ვერ უმეგობრდება? სამეგობროდ ვის ამჯობინებს და რატომ? სოციალური სასწორი რას მოითხოვს მეგობრებისგან? რის დაცვას ცდილობს და რას ემსგავსება მასთან მეგობრობა? რისი უნარი აქვს და თავად როგორი მეგობარი ესაჭიროება? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ, ზოგადად, როგორი მეგობრები არიან ამა თუ იმ ზოდიაქოს წარმომადგენლები და რა ესაჭიროებათ მჭიდრო ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად.**

— **5. ლომის ნიშნით დაბადებულ (ტიპურ) წარმომადგენლებს ყველასთან მეგობრობა სურთ. თუმცა, ამისთვის საკუთარ თავთან მუშაობა და იმის გაცნობიერება მართებთ, რომ მეგობრობა მხოლოდ საკუთარ თავზე და საკუთარ პრობლემებზე საუბარი არ არის.** ცხადია, ყოველთვის მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელიც მუდამ ყურადღებით მოუსმენს, მაგალითად, **თევზების ან კირჩხიბის** ნიშნით დაბადებული, თუმცა, თავად **ლომი უფრო ინტერესდება ისეთით, რომელზეც სათანადო გავლენას ვერ მოახდენს, ანუ, ვინც შეეწინააღმდეგება, დისპუტში ჩაებმება და ზოგჯერ შენიშვნებსა და რჩევებს მისცემს. ლომი, როგორც წესი, მხიარული, გულახდილი და ენერგიულია. მას კარგი ორგანიზატორული მონაცემები და უნარი აქვს და მუდამ მზად არის, მეგობარს მხარში ამოუდგეს. თუმცა, ლომთან მეგობრობა მარტივი არ არის, რამეთუ მას გაძლიერებული „ეგო“ აქვს, ზოგჯერ შურის შეგრძნებაც ეუფლება.** გარდა ამისა, ფეთქებადი ხასიათისაა. ზოგიერთი მათგანი ამპარტავანი და ქედმაღალია, რაც მის მეგობრებს პრობლემებს უქმნის. ნიშანდობლივია, რომ თავად **ლომიც,** ნებსით თუ უნებლიეთ, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად მეგობრებს განსაკუთრებული სპეციფიკურობით ირჩევს. ერთი მხრივ, ის ვერ იმეგობრებს ადამიანთან, რომელიც მას რამით დაჯაბნის. მეორე მხრივ კი, სურს, წარმატებული, ძლიერი, ლამაზი, ჭკვიანი მეგობრები ჰყავდეს, რომლებითაც იამაყებს. რაც მთავარია, თავად ის ნებისმიერ წრეში და ნებისმიერ დროს ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. ამიტომაც, **ლომისთვის** იდეალურია ისეთი მეგობარი, რომელიც სხვა ყველაფერთან ერთად ხშირად შეაქებს და ქათინაურებით გაახალისებს.

**6. ქალწულის ნიშნით დაბადებულები კარგი მეგობრები არიან. ტიპური ქალწული საკმაოდ კომუნიკაბელურია, დიდძალ ინფორმაციას ფლობს და რთულ სიტუაციაში ძალუძს როგორც ღირებული რჩევის მოცემა, ისე ფიზიკურად თუ ფსიქოლოგიურად დახმარების გაწევა. მიუხედავად ამისა, ის ადამიანებს იოლად ვერ უმეგობრდება, რადგან საკმაოდ კრიტიკული, ემოციური და დაძაბულია.** ამავდროულად, პერიოდულად გადამეტებული თავმდაბლობა და დაბალი თვითშეფასებაც ახასიათებს. ამიტომ დამეგობრებისთვის გარკვეული დრო ესაჭიროება და, შესაძლოა, მეგობრებიც გზადაგზა ცხოვრების მანძილზე შეიცვალოს. **მას მოსწონს გავლენიან, ეფექტურ, ცნობილ, შეძლებულ ადამიანებთან დამეგობრება. ამგვარად, თავს უფრო დაცულად იგრძნობს. ქალწულის ნიშნით დაბადებულმა** სხვებზე უკეთ იცის, როგორ უნდა იცხოვროს და ამა თუ იმ სიტუაციაში როგორ მოიქცეს. ის ასევე მარტივად უმკლავდება პირადი ხასიათის პრობლემებსაც, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ მეგობარი მას სჭირდება არა მხარდაჭერისთვაის, გულის გადაშლისთვის ანდა საწუწუნოდ, არამედ, უბრალოდ, ურთიერთობისთვის. ამ შემთხვევაში იგულისხმება არა ჭორაობა და არაფრის მომცემი საუბარი, არამედ საერთო ინტერესი, მაღალსულიერი და ინტელექტუალური თემები, დასვენება, გართობა და ბევრი სხვა რამ. ცხადია, **ქალწულიც** ადამიანია და შესაძლოა, მასაც დასჭირდეს დახმარება, მაგრამ, **ძირითადად, თავად მეგობრებისგან ითხოვს ურთიერთგაგებას, გულახდილობას, კეთილსინდისიერებასა და ერთგულებას, რათა ასი პროცენტით ენდოს იმ ადამიანს, ვისთანაც მეგობრობს.** თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ადამიანთა დიდი ნაწილი არ გამოირჩევა, ერთდროულად სტაბილურობით, ერთგულებითა და სანდოობით, **ქალწულისთვის** ყველაზე კარგი მეგობრები **მიწის სტიქიის წარმომადგენლები** (კურო, ქალწული, თხის რქა) იქნებიან.

**7. სასწორის ნიშნით დაბადებული მეტად სოციალურია. მას მოსწონს ირგვლივ ბევრი ხალხი, ამიტომაც ბევრი მეგობარიც ჰყავს და ხშირად მათ თავშეყრას ცდილობს. ის მეგობარს არასოდეს შეგოჭავს რაიმე ჩარჩოთი და თავადაც თავისუფლებას ინარჩუნებს.** წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა გაღიზიანდეს და აგრესიული გახდეს. **სასწორი გულახდილი და ერთგული მეგობარია, მაგრამ მასთან მეგობრობა „აიწონა-დაიწონას“ მსგავსია. ერთი მხრივ, მუდამ მზადაა მეგობრებს დახმარება გაუწიოს, მეორე მხრივ კი ზედმეტს არასოდეს გააკეთებს.** ნებისმიერი სახის თუ სირთულის დახმარებისას ყოველივეს ისე მოაგვარებს, რომ, საბოლოო ჯამში, თავად მეგობარმა შეძლოს საკუთარი პრობლემის გადაჭრა. ამგვარად, **სასწორი ცდილობს, გონივრული და ყოფიერი ბალანსი დაიცვას, რომელიც არც მას დააზარალებს და მეგობრისთვისაც კარგი გაკვეთილი და რეალური დახმარება იქნება.** გარდა ამისა, **სასწორს** ძლიერი ანალიტიკური აზროვნება და გამჭრიახი გონება გააჩნია. ნებისმიერ სიტუაციაში ძალუძს სწორი დასკვნების გაკეთება, ამიტომ შეუძლია ძალიან კარგი რჩევის მიცემა, რაც მეგობარმა ყურადღებით უნდა ისმინოს და გაითვალისწინოს კიდეც. თავად **სასწორს** კი ისეთი მეგობარი ესაჭიროება, რომელიც ცვლილებებისთვის მზად არის, ცხოვრებისეული სირთულეების არ ეშინია და საჭიროებისას თავად მას დაეხმარება კომფორტის ზონიდან გამოსვლაში, ახლებურად ცხოვრების შეგრძნებაში, ახალი გამოცდილებისა და სიამოვნების მიღებაში. ასეთებად კი უფრო მოიაზრებიან **ვერძის, ლომის, მშვილდოსნის და მერწყულის ნიშნით** დაბადებულები.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 20–26 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
**მომატებული ენერგიულობა და მშვენიერი ფსიქოსომატური მდგომარეობა ჩანაფიქრის განსახორციელებლად გამოიყენეთ. მიმდინარე მოვლენები საშუალებას მოგცემთ, სამსახური შეიცვალოთ ან საყვარელი საქმე აკეთოთ. ოჯახის წევრთა დახმარებით ფინანსური მდგომარეობაც სავსებით დამაკმაყოფილებელი იქნება. შესაძლოა, ახლობელს თქვენი დახმარება დასჭირდეს. რომანტიკული კავშირი კი ბევრ სიამოვნებას მოიტანს და ცვლილებებისკენ გიბიძგებთ.**

**კურო** (21.04-20.05)
**ემოციებისა და ქცევის დამალვა გაგიჭირდებათ, მაგრამ ახალ იდეებსა და გეგმებს ნურავის გაანდობთ, რათა მათ განხორციელებაში ხელი არ შეგიშალონ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობისთვის კარგი პერიოდია. უცხოელებთან ან სხვა ქალაქში მცხოვრებლებთან თანამშრომლობით ფინანსურ მდგომარეობას გაიუმჯობესებთ. მეუღლესთან ან შეყვარებულთან მიმართებით კი სიტყვები გააკონტროლეთ, რათა კამათი აირიდოთ.**

**ტყუპი** (21.05-22.06)
**იდეათა სიუხვე დაგეხმარებათ დაგროვილი საქმეების დასრულებასა და ცხოვრებისეული ცვლილებების განხორციელებაში. ხელმძღვანელობასთან ან კოლეგებთან არსებული წინააღმდეგობების გადალახვისას თქვენი ორიგინალური იდეები სათანადოდ დაფასდება. შეყვარებულთან რომანტიკული დამოკიდებულება თავდაჯერებას შეგმატებთ და ხვალის იმედს გაზრდის. ახლო მანძილზე მოგზაურობა კი ახალი შთაბეჭდილებებით აგავსებთ და ახალ ადამიანებთან დაგაკავშირებთ.**

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
**ცნობისმოყვარეობისა და პრაქტიკულობის დახმარებით უამრავ საქმეს გაართმევთ თავს. ახალ ჩანაფიქრთა განხორციელება მცირეოდენ გარისკვას საჭიროებს. ოჯახური, სასიყვარულო და პარტნიორული ურთიერთობისას მეტი მოთმინება გამოავლინეთ და ყველაფერზე ნუ გაიბუტებით. ნუ გადაიღლებით და მძიმე ფიზიკურ დატვირთვასაც ერიდეთ, რათა ჯანმრთელობას არ ავნოთ. მოგზაურობა და უცხოელებთან კავშირები კი დადებით შედეგს მოგიტანთ.**

**ლომი** (23.07-23.08)
**სასიამოვნო მანერები და მომხიბვლელობა ურთიერთობისას დახმარებას გაგიწევთ და ბევრ სფეროში წარმატების საწინდარი იქნება. თქვენი საქმიანობით შეძლებულ და გავლენიან პარტნიორებს მოიზიდავთ. ახლო ნათესავები პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარებიან. მიუხედავად ამისა, კმაყოფილი მაინც არ იქნებით. ემოციურობა და ეგოიზმი კი შესაძლოა, თქვენს იმიჯსა და პრესტიჟზე ცუდად აისახოს.**

**ქალწული** (24.08-23.09)
**კარიერული წინსვლისა და პოპულარობის გაზრდისთვის ხელსაყრელი პერიოდია. ძველი ჩანაფიქრები თამამად განახორციელეთ, რათა მომავალში მშვიდად იყოთ. წვრილმანი პრობლემების მიუხედავად, საქმეში მიზნის მიღწევა გაგიადვილდებათ. შეყვარებულთან და ახლო ნათესავებთან უფრო ტაქტიანი და დიპლომატიური იყავით. ამგვარად საწადელსაც ადვილად მიაღწევთ და არც არავის გააღიზიანებთ. მოგზაურობამ შესაძლოა, თქვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინოს და ახალი მიზნებისკენ გიბიძგოთ.**

**სასწორი** (24.09-22.10)
**განწყობა გაგიუმჯობესდებათ და მიზანმიმართულად მუშაობის სურვილიც მოიმატებს. გადაადგილება-მოგზაურობების რაოდენობა გაიზრდება. თავდაჯერებას შეგმატებთ ფინანსური სტაბილურობა და ახლობლების მხარდაჭერა. შესაბამისად, ეცადეთ, პარტნიორებთან შეთანხმებით იმუშაოთ და შეუფერხებლად მიიღოთ და გააანალიზოთ აქტუალური ინფორმაცია. ახალ ნაცნობობას კი შესაძლოა ახალი სასიყვარულო ურთიერთობა მოჰყვეს.**

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
**სიტუაცია თქვენ ირგვლივ დამშვიდდება და არაერთი პრობლემა თავისთავად ან მარტივად მოგვარდება. საქმიან წრეში დიდი ავტორიტეტით ისარგებლებთ, რაც სხვებზე გავლენის მოხდენის საშუალებას მოგცემთ. საოჯახო და პირად ურთიერთობაში კი მეტი თავდაჭერა და ტაქტი გმართებთ, რათა სიმშვიდე და კეთილგანწყობა შეინარჩუნოთ. მიზნის მისაღწევად, შესაძლოა, აუცილებელი იყოს მცირეოდენი დათმობა და კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება.**

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
**სტაბილური კვირაა, აღსავსე ფინანსური კეთილდღეობითა და რომანტიკულობით. შესაძლოა, ახალი სამსახურის ან საქმის შეთავაზებაც მიიღოთ. ეცადეთ, მხიარულად და საინტერესოდ გაერთოთ, მაგრამ მგზავრობა ჯობს, გადადოთ, რათა გაუგებრობებმა შთაბეჭდილება არ გაგიფუჭოთ. ახალმა სასიყვარულო ურთიერთობამ, შესაძლოა, ძველის გაწყვეტის საკითხი დააყენოს. დიდია ახალი საინტერესო ნაცნობობის ალბათობაც.**

**თხის რქა** (22.12-19.01)
**თქვენი იდეები გარშემო მყოფების დიდ ინტერესს გამოიწვევს, მაგრამ ჩანაფიქრის განხორციელება ან ახალი საქმის დაწყება შესაძლოა, გადაიდოს. თქვენი ყურადღება ოჯახისა და ნათესავების პრობლემებისკენ იქნება მიპყრობილი. შეყვარებულთან ურთიერთობა საგრძნობლად გაუმჯობესდება, თუ მასთან გულახდილად ისაუბრებთ. მყარი ჯანმრთელობის მიუხედავად, სასიკეთო იქნება სადმე გამგზავრება და დასვენება.**

**მერწყული** (20.01-18.02)
**მიზანსწრაფვა და თავდაჯერება მოგემატებათ. პროფესიულ წრეებში თქვენი ავტორიტეტი გაიზრდება, რის გამოც, შესაძლოა, თქვენ წინაშე ახალი პერსპექტივები გადაიშალოს. გარდა ამისა, ეს კარგი პერიოდია იურიდიული და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის. სასიყვარულო პარტნიორს მეტი ყურადღება ესაჭიროება, რათა არ განაწყენდეს. ახლო მანძილზე მოგზაურობა ძალების აღდგენასა და დასვენებაში დაგეხმარებათ. სანაქებო ჯანმრთელობა კი ხელს შეუწყობს ახალი კავშირების დამყარებასა და ინფორმაციის ათვისებას.**

**თევზები** (19.02-20.03)
**ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ახლო მეგობრები და ძველი საქმიანი პარტნიორები დაიხმარეთ. არ არის გამორიცხული ერთობლივი საქმეც წამოიწყოთ. ხელმძღვანელი პირები თქვენი მატერიალური კეთილდღეობის გარანტი გახდებიან. ოჯახში ჰარმონიული გარემოს შესანარჩუნებლად ეცადეთ, შვილებთან და მეუღლესთან უფრო რბილი და დამთბობი იყოთ და არ დაღალოთ თქვენი პრეტენზიებითა და ჭირვეულობით. მოგზაურობა კი დადებით ემოციებს გიქადით.**

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 20, 21, 24 და 26 მარტი

**7 მარტი – სავსემთვარეობა,**
**21 მარტი – ახალმთვარეობა, პიკი – 21.27 საათზე;**
**გაზაფხულის ბუნიობა და დღეღამტოლობა.**



**მაღაზია «ბუკვიცა»**
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე
*574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90*
**მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 20 მარტი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 07.05 საათზე, ჩადის 19.13 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 06.42 საათზე, ჩადის 17.40 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 07.49 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** თვითშემეცნების, ქველმოქმედების, ფოტოგრაფირების დღეა. ხვალინდელი **ახალმთვარეობის** წინა დღეს მოერიდეთ ცდუნებას, ცუდ აზრებს, ილუზიებს, პროვოკაციებს, სიცრუეს, მკვეთრ სინათლესა და მძაფრ სურნელს. დღე მშვიდად გაატარეთ! იმუნიტეტი იკლებს. წარსულს გაატანეთ თქვენი მანკიერებანი. არ არის სასურველი დეპრესია-აგრესიის გამოვლენა, ახალი საქმის დაწყება, სესხის აღება ან გაცემა, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მიღება, საიდუმლო საქმის წარმოება, ხალხმრავალ ადგილებში ყოფნა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, მოსამზადებელი სამუშაოებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები, თვალები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 21 მარტი, სამშაბათი

**მზე** გადაინაცვლებს (01.26) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 07.04 საათზე, ჩადის 19.14 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (20.02) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 07.08 საათზე, ჩადის 18.57 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 07.58 საათზე. **ახალმთვარეობაა,** პიკი — 21.27 საათზე. ამ დროს იწყება I დღე და I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.58 საათიდან 20.01 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** გაზაფხულის დღეღამტოლობისა და ბუნიობის საკრალურ, წლის ერთ-ერთ ყველაზე ენერგეტიკულად ძლიერ დღეს, მზე გადაინაცვლებს **თევზების** ზოდიაქოდან **ვერძის** ზოდიაქოს ნიშანში, რაც გააძლიერებს ენერგიულობას, ოპტიმიზმს, ბრძოლისუნარიანობას, ენთუზიაზმს, დამოუკიდებლობას, ორგანიზატორულ მონაცემს, დიქტატორულ თვისებებს, კამათისკენ მიდრეკილებასაც. ილოცეთ, სურვილები ჩაუთქვით, უარყოფითი აზრები მოიშორეთ და იფიქრეთ სიკეთესა და ბედნიერებაზე. დღეს, ამავდროულად, ახალმთვარეობის გამო ტრავმულ-ავარიულობის, ცდუნებებისა და შეცდომების მაღალი ალბათობაა. ყურადღებით იყავით! არ არის სასურველი ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, ახალი საქმის დაწყება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, თვალები. **ქვების** გამოყენება არ არის მიზანშეწონილი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 22 მარტი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 07.02 საათზე, ჩადის 19.15 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 07.32 საათზე, ჩადის 20.12 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 08.05 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** წინდახედულობით იმოქმედეთ, პრინციპით „მშვიდჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი". მხოლოდ კარგზე იფიქრეთ და ცუდი აზრები მოიშორეთ. სასიკეთოა მიტევება. ყველას ბედნიერება უსურვეთ. არ არის სასურველი გარისკვა, ილუზიების აყოლა, სულსწრაფობა, წესების დარღვევა, ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, სესხის აღება ან გაცემა, ალკოჰოლის მიღება, ხელშეკრულების დადება, სტომატოლოგიური პროცედურები. გეგმებს ნურავის გაანდობთ. თქვენი მიზნები სიღრმისეულად გააანალიზეთ. კარგი დღეა ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად. მგზავრობისას მეტი ყურადღება გმართებთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თევზებისთვის.

## 23 მარტი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 07.00 საათზე, ჩადის 19.16 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (22.38) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 07.55 საათზე, ჩადის 21.25 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 08.13 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 21.13 საათიდან 22.38 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს პლანეტა **პლუტონი** გადაინაცვლებს **მერწყულის** ზოდიაქოში (11 ივნისამდე), რაც აისახება და შეცვლის სახელმწიფოებრიობის და ძალაუფლების ცნებასა და დამოკიდებულებას, ახალ ფორმას შესძენს მსოფლიოს პოლიტიკური სისტემის რეფორმებს, მოსალოდნელია გლობალური ცვლილებები, მტკივნეული, თუმცა, განვითარებისთვის აუცილებელი. დღეს მეტი მოთმინება გამოიჩინეთ, მეტი დრო დაუთმეთ კონტაქტებს. ნუ განმარტოვდებით. დღეს დაწყებული საქმე აუცილებლად ბოლომდე უნდა მიიყვანოთ. კარგი დღეა მგზავრობისთვის, ტექნიკურ მოწყობილობებთან კონტაქტისთვის, ეფექტურია შარდსასქესო სისტემის მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, გრძნობათა ორგანოები, ყელი. **ქვები:** წითელი იასპი, იაგუნდი, ლალი, ფირუზი, აქატი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 24 მარტი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.58 საათზე, ჩადის 19.17 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 08.20 საათზე, ჩადის 22.33 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 08.22 სათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს შესაძლებელი იქნება მნიშვნელოვანი საკითხების აქტიურად გადაწყვეტა. სიცოცხლისუნარიანობა იმატებს. მოსალოდნელია, სავაჭრო სფეროში წარმატების მიღწევა. ხელი შეეწყობა მსხვილ საყიდლებს. კარგი დღეა ქორწინებისთვის, სასიყვარულო კონტაქტებისთვის, უძრავი ქონების, სამშენებლო მასალების, მუსიკალური აპარატურის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, მგზავრობისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, შემოქმედებისთვის. ეფექტურია შარდსასქესო სისტემის მკურნალობა, სუნთქვითი ვარჯიში, კანისა და თმის მოვლა. არ არის სასურველი ყვირილი, განკითხვა, გაკიცხვა, სულსწრაფობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ონიქსი, მარჯანი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 25 მარტი, შაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.58 საათზე, ჩადის 19.18 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 08.20 საათზე, ჩადის 22.38 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 08.33 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 20.19 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ენერგიისა და ქმედითუნარიანობის მმართველი პლანეტა **მარსი** გადაინაცვლებს კირჩხიბის ზოდიაქოში (20 მაისამდე), რაც მოქმედებებისას გააძლიერებს ინტუიციას, იდუმალებას, შემოქმედებითობას, ნებისყოფის გამოვლენას, შეუპოვრობას და ასევე ემოციურობას, სიცრუისა და ილუზიებისკენ მიდრეკილებას, საოჯახო-სანათესავო კონფლიქტების ალბათობასაც. კარგი დღეა მოგზაურობისთვის, რთული დიპლომატიური საკითხის გადასაწყვეტად, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, კისრის მკვეთრი მოძრაობა, სულსწრაფობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, მარგალიტი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 26 მარტი, კვირა

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 06.59 საათზე, ჩადის 19.18 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (04.42) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 09.21 საათზე, ჩადის 23.16 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 08.49 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 04.41 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სასიკეთო დღეა კონტაქტებისთვის, ახალი კავშირების დასამყარებლად, წყლის პროცედურებისა და არომათერაპიისთვის. მოერიდეთ უჰაერო სივრცეში ყოფნასა და სიმძიმის აწევას. კარგი დღეა ინფორმაციის მოძიებისა და გაცვლისთვის, საქმიანი მიმოწერისთვის, საკომუნიკაციო საშუალებების შესაძენად, ახალი პროფესიის ასათვისებლად, სწავლისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, რემონტის დაწყება, თმის შეჭრა-შეღებვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, ჰიაცინტი, აკვამარინი, ლაბრადორიტი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

## საეკლესიო კალენდარი

✝ **20 მარტი. ორშაბათი.** მღვდელმოწამეთა, ქერსოვნეთელ ეპისკოპოსთა: ბასილისა, ეფრემისა, ევგენისა, აღათოდორესი, ელპიდისა, ესთერისა, კაპიტონისი; ღირსისა პავლე წრფელისა.

✝ **21 მარტი. სამშაბათი.** ღირსისა თეოფილაქტე აღმსარებელისა, ნიკომიდიელი მთავარეპისკოპოსისა.

✝ **22 მარტი. ოთხშაბათი. განზოგება დიდი მარხვისა. წმიდისა კესარი მკურნალისა, გრიგოლ ღმრთისმეტყველის ძმისა;** წმიდათა მოწამეთა: ბაბუასი, ბებიასი, მამისა და დედისა და ორთა შვილთა მათთა.

**23 მარტი. ხუთშაბათი. ღირსისა იოანე ხახულელისა, ოქროპირად წოდებულისა;** მოწამისა კოდრატე კორინთელისა და მისთანა ხუთთა მოწამეთა: კვიპრიანესი, დიონისესი, ანეკტოსი, პავლესი და კრისკენტოსი; ღირსისა ანასტასია პატრიკიასი.

✝ **24 მარტი. პარასკევი.** სოფრონ იერუსალიმელი პატრიარქისა; მღვდელმოწამისა პიონისი, ზმირნელი ხუცისა და მისთანათა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მოწამისა ეპიმაქესი.

✝ **25 მარტი. შაბათი. მიცვალებულთა ხსენება. კეთილმსახურისა მეფისა მოწამისა დემეტრე თავდადებულისა;** გრიგოლ დიალოღოსისა, რომის პაპისა; ღირსისა თეოფანე აღმსარებელისა, სიღრიანელისა; მართლისა ფინეზისა; ღირსისა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველისა; **საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე.**

✝ **26 მარტი. კვირა. დიდმარხვის მე-4 კვირა. ღირსისა იოანე სინელისა. აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.**



**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი,** გაზეთები — **„საქართველოს რესპუბლიკა", „ვრასტანი", „ვეჩერნი ტბილისი", „ასავალ-დასავალი"** და მედიაჰოლდინგი **„რეპორტიორი"** ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ***ცნობილი პოეტი და პუბლიცისტი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობისა და საქართველოს ქალთა საბჭოს წევრი***

**მთვარისა კერესელიძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

***პანაშვიდი:*** *ორშაბათს, 20 მარტს.*
***დაკრძალვა:*** *სამშაბათს, 21 მარტს, 3 საათზე.*
***მისამართი:*** *ვაჟა-ფშაველას მე-4 კვარტალი, მე-3 ბ კორპუსი, ბ. 47*

**სოფიკო კერესელიძე, ლიდა წერეთელი, ჯაბა ხუბუა** ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი ადამიანის, ძვირფასი ქალბატონის

**მარინა გენებაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს.

***პანაშვიდი:*** *ორშაბათს, 20 მარტს.*
***დაკრძალვა:*** *სამშაბათს, 21 მარტს, 2 საათზე.*
***მისამართი:*** *სოფელი დიღომი, თეთრი დუქნის ქუჩა 7.*




თამარისი Tamarisi

# დაინახე:




**ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38**

**571 19 93 93    598 79 40 00**

**www.facebook.com/tamarisioptics**

**შევიძენ რუმინულ წიგნის თაროებს კარგ მდგომარეობაში.**

**593-64-26-01, 574-40-78-70**


## 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: **1. სამურაი; 6. კასკა; 12. სეული; 13. რეალობა; 14. უნაგირი; 15. უმეცარი; 16. ნეტავ; 17. კიტრი; 18. ოლივინი; 22. ჰაიტი; 23. კარტიე; 24. ნიავი; 26. სალარო; 27. მტილი; 30. გაბრო; 32. კია; 33. მესი; 34. საყურე; 35. ლისტი; 36. ნარზანი; 37. სვია; 40. აბრისი; 43. ვანდეა; 44. სედანი; 47. კოკა; 48. მერკელი; 49. სირია; 51. ლამის; 52. ლამა; 54. მირიანი; 57. კაპუცინი; 58. იოვანა; 61. მესა; 62. ნაგანო; 63. შამპანი; 64. როზგი; 65. ტომი; 66. უდიერი; 67. ანტონიონი.**

შვეულად: **1. სკუდო; 2. მჭადი; 3. რაინი; 4. ისინი; 5. ლუსტრა; 6. კიუვეტი; 7. სტეტჰემი; 8. არაქისი; 9. რაიკინი; 10. ნოსტრა; 11. ბალიში; 19. ლუარა; 20. ვიადუკი; 21. ნეოგენი; 23. კაბერნე; 25. ვისტი; 28. ტალანტი; 29. ლასკერი; 31. ოტავა; 32. კრივი; 33. მის; 34. სპა; 38. ვიოლა; 39. ავაზა; 41. ბლეფი; 42. სტეკა; 44. სილიო; 45. დომრა; 46. ნასკა; 49. სოპრანო; 50. რეცეპტი; 52. ლიმიტი; 53. მესამე; 54. მენიუ; 55. რაგბი; 56. ნიორი; 59. ვაზა; 60. ნაია.**

**კატალოგიკაბარელიკანიბალისტადიამანტისაინი**
**კალასისინიორაგულივერიკობალტიმორიელისოფია**

| გარკვეული წესით შედგენილი რაიმე საგნების სია | ფილმი ლ. მიზილის მონაწილეობით | ქართული მინერალური წყალი | ლოდსატყორცნი მანქანა ძველად | ალმასი, ბრილიანტი ძველად | თეფში |
|---|---|---|---|---|---|

| შინაური ცხოველი | მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ | მოცულობის საზომი აშშ-ში | კაციჭამია, ველური | რისამე განვითარების საფეხური | ლოგარითმის წილადური ნაწილი | იანის საპირისპირო |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. პრივილეგიური სამხედრო წოდების წარმომადგენელი ფეოდალურ იაპონიაში; 6. რკინის ქუდი; 12. კორეის რესპუბლიკის დედაქალაქი; 13. სინამდვილე; 14. ცხენის ზურგზე დასადგამი მოწყობილობა; 15. უცოდინარი, უვიცი; 16. ნატვრის სიტყვა; 17. ბოსტნეული; 18. მოყვითალო მწვანე მინერალი ვულკანური ქანების შემადგენლობაში; 22. კუნძული ვესტინდოეთში; 23. ფრანგული საიუველირო ფირმა; 24. სუსტი ქარი, სიო. 26. ბილეთების გასაყიდი სათავსი თეატრში, კინოთეატრში; 27. ბაღი, ბაღ-ბოსტანი (ძვ.); 30. კედლის მოსაპირკეთებელი შავი ქანი; 32. კორეული ავტომობილი; 33. არგენტინელი ფეხბურთელი; 34. ყურის სამკაული; 35. უნგრელი კომპოზიტორი; 36. ე.წ. ნართების სასმელი; 37. ხვიარა ბალახოვანი მცენარე, გამოიყენება ლუდის წარმოებაში; 40. კონტური; 43. კონტრრევოლუციის კერა; 44. მსუბუქი მანქანის ტიპი; 47. თიხის ჭურჭელი; 48. გერმანიის ექსკანცლერი; 49. აზიის სახელმწიფო; 51. „თითქმის“ — სინონიმი; 52. ლამაისტების ბუდისტ-ბერმონაზონი ტიბეტში; 54. პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე; 57. ერთგვარი ამერიკული მაიმუნი; 58. ბერძენი მომღერალი ქალი; 61. კათოლიკური ღვთისმსახურება, წირვა; 62. ქალაქი იაპონიაში; 63. საფრანგეთის ისტორიული ოლქი; 64. დამნაშავის დასასჯელი წკეპლა ძველ რუსეთში; 65. მულტფილმი „... და ჯერი“; 66. უტიფარი, მოურიდებელი ადამიანი; 67. იტალიელი რეჟისორი.

შვეულად: 1. ძველებური იტალიური ოქროს მონეტა; 2. სიმინდის „პური“; 3. მდინარე გერმანიაში; 4. „ის“ — მრავლობით რიცხვში; 5. ჭალი; 6. გზის გასწვრივ გაყვანილი რუ; 7. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; 8. მიწის თხილი; 9. რუსი სატირიკოსი მსახიობი; 10. მაფიოზების ორგანიზაცია კოზა-...; 11. ლოგინის ნაწილი; 19. მდინარე საფრანგეთში; 20. ხეობაზე გაყვანილი ხიდისებრი ნაგებობა; 21. დედამიწის ისტორიის მესამეული ნახევარი; 23. ფრანგული ვაზის ჯიში; 25. ბანქოს ერთგვარი თამაში; 28. დიდი ნიჟი; 29. გერმანელი მოჭადრაკე; 31. კანადის დედაქალაქი; 32. სპორტის სახეობა; 33. მიმართვა გაუთხოვარი ქალისადმი ინგლისში; 34. ლაშქარი, ჯარი (ძვ.); 38. ვიოლინოს წინაპარი; 39. გარეული მტაცებელი ცხოველი; 41. ფილმი ჩელენტანოსა და ქუინის მონაწილეობით; 42. მოქანდაკის ხის საჭრისი იარაღი; 44. ერთგვარი საჭმელი სოკო; 45. რუსული ხალხური სიმებიანი საკრავი; 46. უდაბნო პერუში; 49. ქალის სასიმღერო ხმა; 50. რისამე დამზადების წესი; 52. ზღვრული ნორმა; 53. სამის რიგითი ნომერი; 54. საჭმელების სია რესტორანში; 55. „ბორჯღალოსნების“ სპორტი; 56. ბოსტნეული; 59. ლარნაკი; 60. ინდური კობრა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ბერძენი საოპერო მომღერალი ქალი | ქალბატონო (იტალ.) | ჯ. სვიფტის პერსონაჟი | ქიმიური ელემენტი, ლითონი | ოზოზას მსგავსი შხამიანი ცხოველი | ბულგარეთის დედაქალაქი |
|---|---|---|---|---|---|

| ქიმიური ელემენტი, ლითონი | გველის ხმიანობა | თევზის სახეობა | ... ანჯაფარიძე | ქალაქი აშშ-ში | ... ვირსალაძე | საჭმელი ბავშვის ენაზე |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.

| თვის რიცხვები | ვერძი | კურო | ტყუპები | კირჩხიბი | ლომი | ქალწული | სასწორი | მორიელი | მშვილდოსანი | თხის რქა | მერწყული | თევზები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20 ორშ. | | | | | | | | | | | | |
| 21 სამშ. | | | | | | | | | | | | |
| 22 ოთხშ. | | | | | | | | | | | | |
| 23 ხუთშ. | | | | | | | | | | | | |
| 24 პარ. | | | | | | | | | | | | |
| 25 შაბათი | | | | | | | | | | | | |
| 26 კვირა | | | | | | | | | | | | |

რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2023 წლის 20 – 26 მარტი №13 (1477)
გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი
*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: (+995) 32 215-25-25; (+995) 32 215-35-35;
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**

